

A painting of a forest with a circular path and animals. The scene is viewed through a dense forest of tall, thin trees. In the center, a circular path winds through a clearing, where several dark-colored animals, possibly horses or deer, are walking. The background shows a sunset or sunrise with a warm glow on the horizon. The overall mood is serene and contemplative.

XX საუკუნის  
გეომანერენოვანი პოეზიიდან

დათო ბახბაქაძის თაჩგმანები

**XX საუკუნის გერმანულენოვანი პოეზიიდან**

**თვითგამოცემა**

**AUS DER DEUTSCHSPRACHIGEN POESIE  
DES XX. JAHRHUNDERTS**

**GEORG TRAKL**

**HANS ARP**

**ERNST MEISTER**

**PAUL CELAN**

**HANS MAGNUS ENZENSBERGER**

AUS DEM DEUTSCHEN INS GEORGISCHE ÜBERSETZT  
VON  
DATO BARBAKADSE

Umschlagabbildung:

GIA BUGADSE: DIE SPIRALE (2003, Tbilissi)

Bindung: LEVAN KAVLELI

SELBSTVERLAG, Tbilissi 2012, Mai

Erste Auflage

თვითგამოცემა, თბილისი 2012, მაისი

პირველი გამოცემა

წიგნი გამოდის სამ ეგზემპლარად, ხელნაწერის უფლებით.

ISBN 978-9941-0-4450-2

**XX საუკუნის  
გერმანულენოვანი ჰოეზიიდან**

**გეორგ თრაკლი  
ჰანს არპი  
ერნსტ მაისტერი  
ჰაულ ცელანი  
ჰანს მაგნუს ენცენსპერგერი**

**გერმანულიდან თარგმნა  
დათო ბარბაქაძემ**



# გეორგ თრაკლი

1887-1914



## შემოდგომაზე

ამონთებულან ლობურებთან მზესუმზირები,  
მზენათელს წყნარად მისხდომიან ავადმყოფები.  
ხნულებს დამღერენ მუყაითად ქალთა რიგები,  
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.

მოგიყვებიან ფრინველები შორეულ ამბებს,  
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.  
ეზო-კარიდან ვიოლინოს ჰანგები აღწევს.  
დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის მტევნები.

სახე კაცისა აღსავსეა ლალი ფერებით.  
დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის მტევნები.  
ფართოდ განხვნილი დაშთენილან საცხედრები,  
მზის სხივთა მიერ ნაჩუქურთმევ-ნაალერსევი.

## ჩემი გული სალამოობით

სალამოყამი ღამურების ძახილს მოუცავს.  
მინდორზე როკავს წყვილი ცხენი  
და წითელი ნეკერჩხალი გაბმით შრიალებს.  
მგზავრს გზად ფუნდუკი აუჩნდება მოულოდნელად.  
დიდებულია სურნელება კაკლისა და ახალი ღვინის.  
დიდებულია: უღრან ტყეში მთვრალი კაცის მიმოხეტება.  
შავ ტოტებს მიღმა სნეული ხმით რეკენ ზარები.  
სახე ცვარით დაინამება.

## გლებები

სარკმელს სიმწვანე და სინითლე მოეფინება.  
შავად შეკვამლულ და ქერდაბალ დარბაზში ერთგან  
მოახლეები და გლებები სადილად სხედან;  
პური ტყდება და გრილ კათხებში ღვინო ისხმება.

შუადღის ჟამია, მიცემული უღრმეს სიჩუმეს,  
ხანად და ხანად ძუნწი სიტყვა ჩამოვარდება.  
სარკმელში მოჩანს სავარგულთა მწირი ნათება  
და - შორი ზეცა, ტყვიასავით მძიმე და მრუმე.

კერაზე ცეცხლი იკლავება და იგრიხება  
და მიმობზუის ბუზთა გუნდი ერთხმა ბზუილით.  
გასუსულ ქალებს მორევიათ ჩლუნგი დუმილი  
და ღვივის მათი საფეთქელი, სისხლით ივსება.

ხარბად მზირალი, ნაანყდება ზოგჯერ თვალს თვალი,  
ძროხის ხვითქი რომ მოეფრქვევა ოთახს მსუბუქად.  
მსახური ლოცვას წამოიწყებს მონოტონურად,  
ხოლო კარს მიღმა თავის სათქმელს ამბობს მამალი.

და კვლავ - სათიბში, სადაც ხშირად ძრწოლა შეიპყრობს  
მათ, თავთავების ფორიაქში გამოხვეულებს,  
და გამყინავად და თანაბრად მოქნეულ ცელებს  
ხმა აქვთ იმ ცელის, ერთადერთი აჩრდილი რომ ფლობს.

## სიცოცხლის სული

ჩაშლა, ფოთლეულს მსუბუქად რომ ჩამოაბნელებს, -  
ტყეში ბინადრობს უშორესი მისი დუმილი.  
მიინავლება, ვით აჩრდილი, მალე სოფელი.  
დაიკოს ბაგე შავ ტოტნარში ჩუმად მეტყველებს.

მიეფარება მალე მზერას კაცი ეული,  
იქნებ მწყემსია, შავ ბილიკს რომ დასწრაფებია.  
გამოაბიჯებს წყნარად მხეცი ხეთა ტევრიდან,  
თვალი ღვთაებრივს სადაც ხედავს გაოცებული.

ლურჯი მდინარე მილივლივებს, კოხტად მარები,  
მწუხრის ცა ღრუბლის გამოჩენით არის მოცული;  
და იქვე - სულის მდუმარება ანგელოზური.  
ნადგურდებიან წარმავალი სურათ-ხატები.

## ტყისპირი

კარლ მინიხს

მრუმე წაბლნარი. ხანდაზმულები დასრიალებენ  
ფრთხილად უმშვიდეს  
შემნუხრების ჟამს; კობტა ფოთლები ირგვლივ მსუბუქად  
ჭკნება და ხმება;  
სასაფლაოზე შაშვი გარდაცვლილ ბიძაშვილს ტკბილად  
შეეხუმრება,  
ანგელას ქერა მასწავლებელი თან ახლავს ახლა და  
გვერდს უმშვენებს.

ეკლესიების ვიტრაჟებიდან იმზერს სიკვდილის წმინდა  
ხატება;  
თუმც სისხლისფერი ფონი სარკმელთა ქუფრია და სულს  
გლოვით ალავსებს.  
დღეს დაკეტილი არის კარიბჭე. მნათე განაგებს ტაძრის  
გასაღებს.  
მოჩვენებებს კი ბაღში დაიკო შინაურულად ებაასება.

ძველ სარდაფებში ღვინო დგება და ოქროსფერი და  
კამკამა ხდება,  
ვაშლი სურნელებს. და სიხარული ცხრა მთას იქიდან  
როდი ანათებს.  
და მოუნუსხავთ უმაღ ბავშვები ხანგრძლივ მიმნუხრზე  
ნაამბობ ზღაპრებს;  
ნაზ სიგიჟესაც გამოუჩნდება ხშირად ეს ოქრო -  
ჭეშმარიტება.

მოედინება სილურჯე, სავსე რეზედებით და ოთახებს  
სანთლის  
შუქი ანათებს. და მორჩილთათვის უკვე მზად არის  
სასუფეველი.  
ტყისპირს სრიალით ეშვება თავქვე კაცი მავანი, ბედი  
ეული;  
დღე გაილია და ზღურბლზე ჩნდება ანგელოზური  
სიმშვიდე ღამის.

## სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში

დამიბრუნდები, მწუხარებავ, ისევ და ისევ,  
ო, მყუდროება ეული სულის.  
დასასრულად იწვის ოქროს დღე.

კეთილხმოვანი, დაძირული მსუბუქ სიგიჟეს,  
თვინიერად მიეცემა ტკივილს მორჩილი.  
მზერა მიაპყარ! ბინდდება უკვე.

მოგვიბრუნდება კვლავაც ღამე; მოთქვამს მოკვდავი  
და თანაუგრძნობს მსგავსი, მოკვდავი.

მოცახცახე შემოდგომის ვარსკვლავქვეშეთში,  
ჟამთასვლის კვალად, თავი მიწყვი უფრო მძიმედ  
ჩაეკიდება.

## გარდასახვა

მე-2 რედაქცია

ბაღები, წითლად დაფერილი, შემოდგომური:  
სიცოცხლე სრულად წარმოჩნდება ამ სიჩუმეში.  
კაცს ყავისფერი ლერწმის ღერი უჭირავს ხელში,  
მისი მზერა კი ყრუ ტკივილით არის მოცული.

მნუხრზე: ნაბიჯი, შავმა მიწამ რომელიც იცის,  
წითელ წიფელთა მდუმარებას უეცრად არღვევს.  
ლურჯი ნადირი ცდილობს სიკვდილს მუხლმოყრით  
დახვდეს,  
შემაძრწუნებლად განილევა სამოსი მისი.

ტრაქტირის ირგვლივ ნეტარება სუფევს ნამდვილი,  
მწვანე ბალახში ჩაკარგულა იერი მსმელის.  
ანწლის ნაყოფი, ღვინით თრობა, ფლეიტა ნელი,  
რეზედის სურნელს მიმოაბნევს ქალი ჩავლილი.

## კაცობრიობა

ცეცხლოვან უფსკრულს შერჩენილი კაცობრიობა,  
ბნელ, მეზრძოლ შუბლთა მიმოქცევა, ცემა დაფდაფთა,  
სისხლის ბურუსში მწყობრად სვლა და რკინის ზეობა,  
სასონარკვეთა და წყვდიადი მგლოვიარ თავთა:  
ნითელი ფული, ევას ჩრდილი და ნადირობა.  
ღრუბელი, შუქით დარღვეული, ეს ზიარება.  
პური და ღვინო აღსავსეა სათნო დუმილით  
და აქ თორმეტი მოციქულის არის შეკრება.  
ზეთისხილის ქვეშ, ისმის ძილში მათი ყვირილი;  
თომას ხელი კი ჭრილობაში ჩაიძირება.

## DE PROFUNDIS

ველი ნამკალი, აი, სად წვიმს შავბნელი წვიმა.  
ხე მოჟამული, აი, რა დგას განმარტოებით.  
ქარი ავსული, აი, რაა უკაცური ქოხმახების ბატონ-  
პატრონი.  
ჰოი, რარიგად მნუხარეა სალამო ესე.

ობოლი გოგო  
სოფლის პირს ძუნნად შემორჩენილ თაველს მშვიდად  
მიმოაგროვებს.  
მნუხრის ბინდ-ბუნდში გავლებული მისი თვალეხი  
ოქროვანი ბრწყინვალეებით აღივსებთან,  
ზეციურ საქმროს მოუთმენლად მოელის საშო.

უკუქცევის ჟამს  
ეკალ-ბარდში მწყემსებმა ნახეს  
გახრწნილებამორეწილი ტკბილი სხეული.

მე ვარ აჩრდილი, უკუნ სოფლებს მოშორებული.  
ღმერთის სიჩუმეს მივირთმევედი  
ტყის წიაღში შობილი წყლიდან.

ჩემს სახეზე ცივმა რკინამ გადაიარა.  
ჩემი გული ობობებმა დაისაკუთრეს.  
აი, სხივი, ჩემს ბაგეზე რომელიც გაქრა.

ღამით, ვერან და უკაცრიელ ალაგად შთენილს,

გარს მეჯარვოდა ნაგავი და მტვერი ვარსკვლავთა.  
კვლავაც გალობენ  
თხილნარში ბროლის ანგელოზები.

## ფსალმუნი

მე-2 რედაქცია

*ედღვნება კარლ კრაუსს*

აი, ნათელი, ქარმა რომ დანთქა.

აი, ტრიალი ველ-მინდორი, ნაშუადღევს რომ დატოვა  
მთვრალმა.

აი, ვენახი, ხრიოკი და ობობებით სავსე ხვრელებით  
გაშავებული.

აი, სივრცე, რძით რომელიც გადაათეთრეს.

განუტევა სული შეშლილმა. აი, სამხრეთის ზღვის  
კუნძული,  
მზის ღვთაებასთან შესახვედრად გამზადებული. ისმის  
დოლის ხმა.

საბრძოლო ცეკვებს ასრულებენ მამაკაცები.

ხოლო ქალები ლიანებში და ყაყაჩოებში განაგრძობენ  
თეძოთა რხევას,  
როცა ზღვა იმღერს. ო, დაკარგულო ჩვენო ედემო.

ნიმფებმა უკვე მიატოვეს ოქროს ტყეები.

სადღაც უცხოს ასაფლავებენ. მერე ყუყუნა წვიმა იწყება.

მინის მთხრელად პანის ვაჟი განუცხადდებათ,  
შუადღისას რომ ადუღებულ ასფალტზე სძინავს.

აი, ეზოში, ციცქნა კაბებით, გულისდამფლეთი  
სიღარიბით სავსე, ბავშვები!

აკორდებით და სონატებით განმსჭვალული ოთახები.

აი, ჩრდილები, თვალისმომჭრელ სარკეებს რომ  
შეერევინან.  
ჰოსპიტლის სარკმლებს ათბებიან მოკეთებული  
ავადმყოფები.  
ჩვენთვის თეთრ გემს არხით მოაქვს სისხლოვანი  
ეპიდემია.

ვიღაცის ბოროტ სიზმარეულში კვლავ აღჩნდება დაი  
უცნობი,  
ვინც მის ვარსკვლავებს თხილნარში მცხრალად  
ეთამაშება.  
სტუდენტი ვინმე, შესაძლოა ორეული, სარკმლით  
მზირალი, მას თვალს ადევნებს.  
ხოლო მის უკან გარდაცვლილი მისივ ძმა დგას, ან  
დაეშვება ქვემოთ ძველი, ხვეული კიბით.  
რუხი ნაბლნარის სიბნელეში გაფითრდება ახალგაზრდა  
მორჩილის სახე.  
ბალი სალამოს დაენტქმება. ხოლო მონასტრის  
გალერეაში ლამურები დაშრიალებენ.  
თამაშს შეწყვეტენ კარისკაცის ბავშვები და ზეცისეულ  
ოქროს ეძებენ.  
ბოლო აკორდი კვარტეტისა. ყრმა, თვალდავსილი,  
ხეივანში ცახცახით გარბის;  
მოგვიანებით, ცივ კედლებთან, საცნაურია აჩრდილი დისა,  
ზღაპრებით და ნათლიერი ლეგენდებით გარემოცული.

აი, ნავი ცარიელი, მიმწუხრზე რომ შავი არხის დინებას  
მოაქვს.

ძველისძველი თავშესაფრის ყიამეთში ბოლოვდება  
ნანგრევები კაცობრიობის.  
ბალის კედელთან გარდაცვლილი ობლები წვანან.  
სიბინძურით დალაქავებულფრთებიანი ანგელოზები  
გამოდიან მოჟამული ოთახებიდან.  
გადაყვითლებულ მათ ქუთუთოებს წვეთ-წვეთად სდის  
მატლი და ჭია.  
როგორიც ახსოვთ ბავშვობის დღეებს, ეკლესიასთან  
მოედანი ისეთივე ქუფრი და ყრუა.  
საგუბართა ვერცხლოვან ფსკერზე ოდინდელი  
ცხოვრებანი ჩაიქროლებენ  
და მგლოვიარე წყლისკენ დაძრულან აჩრდილები  
შეჩვენებულთა.  
თეთრი გრძნეული სამარეში თავის გველებს ეთამაშება.  
განიხვნებიან მდუმარედ ღმერთის ოქროს თვალები  
საწამებელ ადგილთა ზედა.

## სიკვდილის სიახლოვე

მე-2 რედაქცია

ო, მწუხრი, ყრმობის უკუნ სოფლებს დაშურებული.  
ტირიფების ქვეშ  
მწუხარების მონამლული ამოხვრით ივსება ტბორი.

ო, ტყე, რომელიც წყნარად დახრის თაფლისფერ  
თვალებს,  
როცა ეულის დაჩონჩხილ ხელებს  
აღტაცებულ დღეთა ძონი ჩამოსცვივდება.

ო, სიახლოვე სიკვდილისა. ვილოცოთ. როცა  
ღამე მოანეწ, გრილ ბალიშზე  
საკმევლისგან გაყვითლებულ შეყვარებულთა გალეული  
კიდურები მოეშვებიან.

## ამინ

ძველი ოთახი - ღვთის თარეშს მინებებული;  
ყვითელ კედლებზე - აჩრდილები; ბნელ სარკეებში  
ჩვენთა ხელთა სპილოსძვლისფერი სევდა-ნაღველი  
მოიკრუნჩხება.

მკვდარ თითებს შორის იღვრებიან ნაცრისფერი  
მარგალიტები.

ღურჯი ყაყაჩოს  
თვალებს განხვნიან სიჩუმეში ანგელოზები.

ღურჯია მწუხრიც;  
ჟამი ჩვენი გადაგებისა; კვალად - აჩრდილი აზრადელის,  
რუხი ბალის დამბნელებელი.

## მწუხრის სიმღერა

სალამოჟამი რომ დგება და დაბურული ბილიკებით  
დავემართებით,  
ჩვენს წინ ჩვენივე გაფითრებული სახეები  
წარმოსდგებიან.

როცა გვწყურია,  
ჩვენი მწუხარე ყრმობის სიტკბოს -  
ტბორის თეთრ წყლებს - დავენაფებით.

დავდუმებულვართ, გარდაცვლილნი, ანწლის ბუჩქებში,  
ნაცრისფერი თოლიების ჭვრეტად ვქცეულვართ.

მოგროვდებიან ქუფრი ქალაქის თავს ღრუბლები  
გაზაფხულისა,  
ხოლო ქალაქი დუმს, ვით განთქმულ დროთა მოწესე.

თვალეები დინჯად აღახილე,  
ავადმყოფურ შენს ხელს ხელი როცა შევახე,  
ეგე ჟამი გადავიდა დიდი ხანია.

მაგრამ როს ჰანგი, კეთილი და ბუნდოვანი, სულს  
ესტუმრება,  
მეგობრის ლანდშაფტს შემოდგომურს კვლავაც თეთრად  
გამოუჩნდება.

## ღამის სიმღერა

უძრავის სუნთქვა. ნადირის სახეს  
გააშეშებს სილურჯე, ლურჯი ფერის სინმინდე.  
ძლიერებით აღსავსეა დუმილი ქვაში;

ღამეული ფრთოსნის ნიღაბი. სამი ლბილი ხმა  
აჟღერდა ერთ ხმად. ელაი! შენი იერია,  
მდუმარედ რომ დაიხრება ლურჯი წყლის თავზე.

ო! მისმიერი წყნარი სარკე ჭეშმარიტების.  
მარტოსულის სპილოსძვლისფერ საფეთქელთან  
დაცემული ანგელოზის ანარეკლი მოისახება.

## ჰელიანი

სულის ეული დრო რომ დგება,  
მშვენიერია მზეზე გასვლა  
და ზაფხულის ყვითელ კედელთა გაყოლებით  
გასეირნება.  
სათუთად ისმის ბალახებში ნაბიჯების ხმა; პანის  
ვაჟიშვილს  
სამარადისო ძილით სძინავს ამ ნაცრისფერ  
მარმარილოში.

მნუხრის ტერასზე თაფლისფერი ღვინით ვთვრებოდით.  
ფოთლებიდან ატამი წითლად შემოგვღვლიოდა;  
ნელი სონატა, სიცილი ლალი.

საამოა ღამის სიჩუმე.  
ხოლო ბნელ ველზე  
დათქმული გვაქვს პაემანი მწყემსებთან და თეთრ  
ვარსკვლავებთან.

როცა მოაწევს შემოდგომა,  
კორომი ჩვენს წინ მთელი თავისი სინათლით და  
ბრწყინვალეებით აიმართება.  
წითელ კედელთა გაყოლებით ვეხეტებით მშვიდობიანნი  
და მწყურვალ მზერას გავადევნებთ ფრინველთა ფრენას.  
მიმნუხრზე თეთრი წყლით ივსება ფერფლის ურნები.

შიშველ ტოტნარში ზეიმობს ზეცა.

სუფთა ხელებით მოაქვს გლახკაცს პური და ღვინო  
და ნება-ნება მწიფს ნაყოფი მზით ავსებულ საკუჭნაოში.

ო, რარიგად მკაცრია და სერიოზული ძვირფას მკვდართა  
სახე-იერი!  
მხოლოდ მართალი მზერის ძალით აღივსებიან  
სიხარულით მათი სულები.

უძლეველია მდუმარება განძრცვილი ბალის,  
სადაც ნორჩ მორჩილს შუბლი მოურთავს ყავისფერი  
ფოთლის გვირგვინით  
დაენაფება მისი სუნთქვა ყინულის ოქროს.

ხელები ლურჯი წყლის სიძველეს შეერევიან  
ან დაიკოთა ლოყებს ალერსით დაიცავენ ცივი ღამისგან.

ჰარმონია და სიფაქიზე აღავსებს ნაბიჯს სიკეთით სავსე  
ოთახებთან,  
სადაც ნეკერჩხლის შრიალია და სიმარტოვე  
და, შესაძლოა, ჯერაც ისმის გალობა შაშვის.

მშვენიერი და დიადია სიბნელეში ადამიანი,  
გაკვირვებული რომ მიდის და შეერხევა ნაკვთი ყოველი,  
ხოლო აღისფერ ბუდეებში უხმაუროდ მოძრაობენ მისი  
თვალები.

მწუხრის ლოცვის ჟამს ვილაც ნოემბრის შავ ნგრევაში  
დაეტანება,

ჩაიკარგება კეთრით სნეულ კედლებსა და ძველ ტოტებს  
შორის,

სადაც მოწესეს გაუვლია,  
დანთქმულს თავისი შეშლილობის სიმთა მიერ  
გამოცემულ მსუბუქ ჰანგებში,

ჰოი, რარიგად ეულია აღსასრული მწუხრის ქარისა.  
მომაკვდავი თავს ჩაჰკიდებს ზეთისხილის ხეთა  
წყვდიადში.

შემზარავია გადაგება ადამის მოდგმის.  
მაშინ აღავსებს თვალხილულის ნათლიერ მზერას  
ოქრო მისივ ვარსკვლავებისა.

ზარის მიმქრალი ხმოვანება სალამო ჟამს შეერევა და  
ჩაიქცევინ მოედანზე შავი კედლები,  
გარდაცვლილი ჯარისკაცი მოითხოვს ლოცვას.

ვაჟიშვილი გაფითრებულ ანგელოზად შეაბიჯებს  
მამა-პაპის ცარიელ სახლში.

ჯერ კიდევ როდის შორს, თეთრთმიან მოხუცებთან  
წავიდნენ დები.  
ხოლო მძინარემ სახლის კარსელში მიყრილები ნახა ისინი:  
დაბრუნებულან გლოვით ლოცვის შორი გზებიდან.

ო, დების მყრალ და სიბინძურედ შესქელებულ, მატლიან  
თმაში

დაძირულან ვერცხლოვანი მისი ფეხები;  
გარდაცვლილები გამოდიან ცარიელი სენაკებიდან.

ო, შუაღამის ცეცხლოვანი წვიმების ჟამს თქმულნო  
ფსალმუნნო,  
მოახლები სათნო თვალებს ჭინჭრით როცა  
უსწორდებოდნენ;  
ანწლის ბავშვური ნაყოფები  
ცარიელი სამარისკენ განცვიფრებით დადრეკენ თავებს.

ნაზად გორავენ გაყვითლებული მთვარეები  
ყრმის მდულარე თეთრეულის თავს,  
ვიდრე ბავშვს ზამთრის მდუმარება თან წაიყვანდეს.

ამაღლებული ბედი ქედრონს ქვემიუძღვება,  
იქ, სად კედარი, უწყინარი ქმნილება, ხარობს  
მამის ლურჯ წარბქვეშ.  
ღამეჟამს ფარას საძოვრისკენ მიდევნის მწყემსი.  
ადამიანს რომ ტყეში რკინის ანგელოზი უახლოვდება,  
ხოლო სხეული წმინდანისა გახურებულ ცხაურზე დნება,-  
იქნებ ეს მხოლოდ ყვირილია კაცისა ძილში?

თიხის ქობმახთა გარეშემო აღისფერი ღვინო ისხმება,  
გაყვითლებული ჭვავის ძნები იმღერენ და  
ზუზუნებენ ფუტკრები და გადაიფრენს მდუმარედ წერო.  
ხდება: ხვდებიან საღამო ხანს, ქვის ბილიკზე, მკვდრეთით  
აღმდგარ მიცვალებულებს.

შავ წყლებში სჭვრეტენ კეთროვანნი თავიანთ სახეს;  
ან ვარდისფერი ქედების მხრით მონაბერ, მხსნელ ქარს  
მოთქმა-ვედრებით აგებებენ გასვრილ ტანსაცმელს.

გაფაციცებით მოივლიან ღამის ჩიხებს ყმანვილქალები,  
ისინი ძვირფას მწყემსს ეძიებენ.  
შაბათდღეობით ქოხებიდან არე-მიდამოს ჰაეროვანი  
სიმღერები მოეფინება.

ყრმასაც სიმღერით მოიგონებდეთ,  
სიგიჟეს მისას, თეთრ წარბს მისას, აღსასრულს მისას,  
ხრწნამორევნილმა თვალი ლურჯად რომ გაახილა.  
ჰოი, რარიგად მწუხარეა ეს პაემანი.

შავ ოთახებში - კვლავ სიგიჟის საფეხურები,  
ძველგარდასულთა აჩრდილები - გაღებულ კარში,  
სადაც ვარდისფერ სარკეში სჭვრეტს თავის თავს სული  
ჰელიანის და  
თოვლი და კეთრი ედინება მისი შუბლიდან.

ცარგვალზე ჩაქრნენ ვარსკვლავები  
და სინათლის თეთრი ხატები.

საფლავის ძვლები ამოარღვევენ საფარველს და  
ბორცვზე დუმან ჩაშლილი ჯვრები.  
საკმევლის სურნელს მიმოაბნევს ალისფერი ქარი ღამისა.

ჰოი, თვალებო, დამსხვრეულებო და შავ ხახებში

დაძირულებო!  
შვილიშვილის გონებას რომ მკრთალი ბინდი  
გარემოიცავს,  
ის მოსასვლელი, უბნელესი აღსასრულის შესახებ  
ფიქრობს;  
მის თავს ზემოთ, წყნარი ღმერთი ქვე დაზიდავს ლურჯ  
ქუთუთოებს.

## ბავშვობა

ანწლი, ნაყოფით დახუნძლული; ხოლო ბავშვობა  
ლურჯ მღვიმეში ყუჩად მკვიდრობდა. იქ, სადაც ბილიკი  
განილევა,  
და მოჟამული ველის ბალახის შარიშური მიმოიბნევა,  
ფიქრს მოუცავს მშვიდი ტოტები; შრიალი ფოთლის,

კლდეებს შორის რომ ლურჯი წყლის ხმას გამოსცემს,  
სწორედ იმგვარი.  
სუბუქია შაშვის გალობა. უხმოდ ჰმზერს მწყემსი  
მზეს, შემოდგომის გორაკიდან ამოგორებულს.

მხოლოდ სულია ლურჯი წამი, სხვა არაფერი.  
ტყისპირს აღჩნდება დამფრთხალი მხეცი, მშვიდობის  
ნიშნად  
დადუმდებიან ძველისძველი ზარები და ბნელი სოფლები.

მოკრძალებით საცნაურჰყოფ ბნელი წლების აზრს,  
მარტოდ შთენილი ოთახების კვლავ სიგრილეს და  
შემოდგომას.  
ყრუდ ისმის წმინდა სილურჯეში მანათობელი ნაბიჯების  
ხმა.

გაღებული სარკმლის წკარუნი, ძლივსგასაგონი;  
ბორცვზე ჩაშლილი  
სასაფლაო ცრემლებამდე შეძრავს დამნახველს;  
ერთ დროს მოსმენილ ლეგენდათა კვლავ გახსენება;

გაცისკროვნდება მაინც სული, ჟამიდან ჟამზე,  
ოდეს მხიარულ ადამიანებს და ზაფხულის ბნელოქროვან  
დღეებს აღიდგენს.

## ჟამნი

ერთურთის მიმართ ბნელი მზერა შეყვარებულთა,  
ქერათა და მანათობელთა. დანატრებული მათი  
მკლავები,  
გამყინავი წყვდიადის წიაღ, უსუსურად ერთვიან  
ერთურთს.

აღისფერ მსხვრევას დაეტანა კურთხეულთ ბაგე.  
აირეკლავენ  
მრგვალი თვალები გაზაფხულის ნაშუადღევს  
დაბინდულ ოქროს;  
ნაპირებს და სიშავეს ტყისა; მწვანითმოსილ ძრწოლებს  
მწუხრისა;  
იქნებ ფრთოსანთა გამოუთქმელ ფრენას და - სავალს  
არშობილისა, უკუნ სოფელთა და მარტოსულ ზაფხულთა  
პირას,  
და გალეული სილურჯიდან, ჟამიდან ჟამზე,  
გარდაცვლილი გამოაბიჯებს.

წყნარად შრიალებს პურის ყანა გაყვითლებული.  
მკაცრია კაცის ცხოვრება და მოცლა არა აქვთ სოფლად  
გლეხთა ფოლადის ცელებს,  
დიდრონ დირეს იმორჩილებს ხურო ბეჯითად.

აღისფერს იკრებს ფოთლეული შემოდგომაზე. მონესის  
სული  
მშვიდად განვლის მზენათელ დღეებს; მწიფობს ყურძენი

და საზეიმო არის ჰაერი ფართოდ გაშლილ  
კარმიდამოთა.  
ტკბილსურნელებენ დაყვითლული ნაყოფები;  
მხიარულების  
წყნარი სიცილი ჩაბნელებულ სარდაფებში, მუსიკა, ცეკვა;  
გარდაცვლილი პატარა ბიჭის ნაბიჯი და გარინდება  
დაბინდულ ბაღში.

## გზად

მათ მიმწახვერის ჟამს საცხედრეში მიიტანეს უცნობი  
მკვდარი;

კუპრის სუნი; წითელ ჭადართა ნელი შრიალი;  
ჭკის ბნელი ფრენა; საგუშაგო ჩაიბარეს ჯარისკაცებმა.  
მზე მიეფარა შავ თეთრეულს; გარდასული ეს საღამო  
ჩვენთანაა ისევ და ისევ.

გვერდით ოთახში და შუბერტის სონატას უკრავს.  
ღიმილი მისი ერთობ სათუთად იძირება დაშრეტილ ჭაში,  
რომელიც მიმწახვერს ეგებება ლურჯი ხმაურით. მოდგმა  
ჩვენი რარიგ ძველია!

ბაღში ჩურჩული განიბნევა; გამოეთხოვა ამ ყომრალ ცას  
უკვე მავანი.  
ხოლო კომოდზე სურნელებენ მნიფე ვაშლები. ბებია  
ოქროს კელაპტრებს ანთებს.

რარიგ თბილია შემოდგომა! ხანმოყრილ პარკში, მაღალ  
ხეებქვეშ,

ნაზია ჩვენი ნაბიჯების ხმა. მკაცრია ფრიად  
სუმბულისდარი პირისახე საღამოისა.  
ლურჯია წყარო შენს ფეხებთან; იღუმალეებით აღსავსეა  
შენთა ბაგეთა აღისფერი უსაზღვროება,  
მთვლემარე ფოთლებს რომ დაჩრდილავს, ჩამოშლილი  
მზესუმზირების დაბინდულ ოქროს.  
დაგმძიმებია ყაყაჩოსგან ქუთუთოები, ჩემს შუბლს  
მიკრულნი მისცემიან სათუთ ოცნებას.  
მოაწევს ზარის სათნო ხმა და მკერდი თრთოლვით

განიმსჭვალება. ჟამს მიმწუხრისას  
ჩემში ლურჯ ღრუბლად ჩამოეშვა შენი ხატება.

დამღერებული გიტარაზე, შორეული დუქნიდან რომ  
მომეყურება;  
ველური ანწლის ბუჩქები და დღე ნოემბრის, დიდი ხნის  
ნინ გადაგებული,  
სანდო ნაბიჯთა ხმოვანება მწუხრის კიბეზე; გარუხებულ  
დირეთა მზერა,  
ღია სარკმელი, რომელსაც ტკბილი იმედი შერჩა -  
ო, ღმერთო ჩემო, ეს ყოველი არის ისე გამოუთქმელი,  
რომ მუხლს ვიყრი გაოგნებისგან.

რარიგ ბნელია, ო, ეს ღამე! ჩემს ბაგეებზე  
ჩამოქრება ალი ბრდღვიალა. სიკვდილით დუმილს  
დაენტქმება

შიშნეულ სულის ჰანგი ეული.

ბინძურ გუბეში ჩაეკიდოს, დაე, თავი ღვინით ძლეული!

## სანახი

მე-2 რედაქცია

სექტემბრის მწუხრი; მგლოვიარედ აჟღერდება მწყემსთა  
ბნელი მოძახილი  
დაბინდულ სოფლად; ნაპერწკალი ხლტის სამჭედლოში.  
ყალყზე დგება დაძაგრული შავი ქურანი; სუმბულისდარი  
კულულები გლეხის ქალისა  
მისი ბრდღვიალა ნესტოების მხურვალეებას მინებებია.  
ტყისპირს სიჩუმე ნება-ნება ენაცვლება ფურიირმის  
ყვირილს.

ხოლო ყვითელი ყვავილები შემოდგომისა  
უტყვად მიდრეკენ თავებს ტბორის ლურჯი მზერისკენ.  
ხე ჩაინაცრა მენამულ ცეცხლში; ბნელსახიანი ღამურები  
ინყებენ შრიალს.

## ყრმა ელისისადმი

ელის, შავ ტყეში შავი შაშვი თუ ამეტყველდა,  
ნიშანია შენი სიკვდილის.  
ენაფებიან ბაგენი შენნი მთით მონადენი ლურჯი წყაროს  
გრილოვანებას.

სისხლად სდიოდეს, დაე, შენს შუბლს  
ლეგენდები ძველთუძველესი  
და უბნელესი განმარტება ფრინველთა ფრენის.

ხოლო შენ ფრთხილი ნაბიჯებით შეხვალ ღამეში,  
დახუნძლულია ღამე იგი ალისფერი ყურძნის მტევნებით,  
მშვენიერია მკლავთა შენთა მიმორხევა ამ სილურჯეში.

ჰანგს მიმოიღვრის ეკალ-ბარდი,  
სად მთვაროვანი შენი თვალები დაბუდებულან.  
ო, რა ხანია, ცოცხალთ შორის აღარ ხარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,  
რომელშიც ბერის ცვილის თითები დაინთქმებიან.  
შავი მღვიმეა სიჩუმე ჩვენი,

საიდანაც, ჟამიდან-ჟამ, თვინიერი გამოდის მხეცი  
და დამძიმებულ ქუთუთოებს ქვე დახრის დინჯად,  
მიმოებნევა შენს საფეთქელს შავი ცვარ-ნამი,

უკანასკნელი ოქრო უკვე ჩაშლილ ვარსკვლავთა.

# ელისი

მე-3 რედაქცია

1

სრულყოფილია მდუმარება ოქროვანი დღის.  
ძველ მუხიანში  
აღწნდები, ელის, უმშვიდესი, მრგვალი თვალებით.

მათი სილურჯე აირეკლავს თველემარებას  
შეყვარებულთა.

შენს ბაგეებთან  
ვარდისფერი მათი ოხვრა აღესრულება.

საღამოჟამზე მძიმე ბადეებს ეზიდებოდა წყლიდან  
მეთევზე.

კეთილი მწყემსი  
ტყისპირისკენ მიდევნის ფარას.  
მართალ არიან, ჰოი, რარიგ, ელის, შენი ყოველი დღენი.

მშვიდად ეშვება  
ზეთისხილის გაშიშვლებულ გალავანთან ლურჯი სიჩუმე.  
შორს ბერიკაცის ყრუ სიმღერა მიინავლება.

ნავი ოქროსი  
მიმოარწევს, ელის, შენს გულს ეულ ზეცაში.

2

ნაზად წკრიალებს ზანზალაკი ელისის მკერდში,  
მწუხრის ჟამს,  
როცა თავი მისი შავ ბალიშში ჩაიძირება.

ასკილის ბუჩქებს შეხიზნული  
ლურჯი მხეცი სისხლისგან მშვიდად განიტვირთება.

განაპირებით დგას რუხი ხე  
და ლურჯ ნაყოფს მიმოიფანტავს.

ნიშნები და ვარსკვლავები  
მწუხრის ტბორში უხმაუროდ დაინთქმებიან.

დაზამთრებულა გორაკთა მიღმა.

ლურჯი მტრედები  
უკუნ ღამეში სვამენ ელისის ბროლის შუბლიდან  
მომდინარე ყინულოვან ოფლს.

საცნაურია დღენიადაგ  
შავ კედლებთან ღვთის ეული ქარის წრიალი.

## ჰოჰენბურგი

მე-2 რედაქცია

სახლში არაა სულიერი. ოთახებში - შემოდგომა;  
მთვარითნათელი სონატა და  
გამოღვიძება დაბინდულ ტყის პირს.

ადამიანის თეთრი სახე მოეძალვის შენს ფიქრს ნიადაგ,  
დროის და ჟამის აურზაურს მოშორებული;  
მეოცნების თავს ნეტარებით დაზიდულან მწვანე ტოტები,

ჯვარი და მწუხრი;  
ჟღერადს ალისფერ მკლავებს მოხვევს და გულში იკრავს  
მისივ ვარსკვლავი,  
უპატრონო სარკმლებთან რომ დაკიდებულა.

ხოლო თრთის ბნელში უცხო ვინმე,  
მერე განხვნის ქუთუთოებს და გადმოსცქერის  
ადამიანურს,  
რომელიც ერთობ შორეულია; წინკარში ქარის ხმა  
ვერცხლოვანი.

## სებასტიანე სიზმრად

ადოლფ ლოოსს

1

დედას, ყრმით ხელში, თეთრი მთვარე გზას უნათებდა,  
კაკლის ხისა და ხანიერი ანწლის ჩრდილში  
გაბრუება ყაყაჩოს სითხით, შაშვის ჩივილი;  
და, ნება-ნება,  
მისი თავისკენ თანაგრძნობით იხრებოდა წვერიანი და  
მშვიდი სახე,

სარკმლის წყვილიაღში; და ნივთთა წესრიგს,  
წინაპრებისგან ნაანდერძევს,  
დაქცევა ნთქავდა; სიყვარული; ოცნებები შემოდგომური.

წელიწადის ასერიგად უბნელესი დღე, მწუხარე ყრმობა,  
ბავშვი რომ გრილი წყლებისკენ და ვერცხლოვანი  
თევზებისკენ ეშურებოდა,

სიმშვიდე, მზერა;  
როცა შეშლილი შავი ცხენიდან ის ქვასავით ძირს  
ეცემოდა,  
ჩამოდოდა რუხ ღამეში მის თავთან მისივ ბედის  
ვარსკვლავი;

ან როცა დედის გაყინული ხელებიდან საღამოჟამს თავს  
დაიხსნიდა

და წმინდა პეტრეს შემოდგომური სასაფლაოსკენ  
მიმავალ გზას შეუყვებოდა,  
საკუჭნაოს სიბნელეში მყიფე გვამი მშვიდად ესვენა  
და ქუთუთოებს გახსნიდა და მზერას მისკენ  
გამოინვდიდა.

ის კი პანია ჩიტი იყო, შიშველ ტოტზე დასკუპებული,  
ნოემბრის მწუხრის ხანგრძლივი ზარი,  
მამის სიმშვიდე, როცა ის, ძილში, დაეშვებოდა  
განათებული ხვეული კიბით.

2

სულის მშვიდობა. მარტოსული საღამო ზამთრის.  
მწყემსების ბნელი სახეები ძველისძველ ტბორთან;  
ყრმა - ჩალის ქოხში; ო, რა წყნარად  
იძირებოდა მისი მზერა შავ ციებაში.  
ლამის სინმინდე.

ან როცა იგი, მამის ძლიერ მკლავს მინდობილი,  
დადუმებული ადიოდა ქუფრ გოლგოთაზე  
და შებნელებულ კლდის ნიშებში  
მისივ მითიდან გადმოსული ადამიანის ლურჯი სახე  
ეცხადებოდა.  
ხოლო გულის ქვეშ, ჭრილობიდან მენამული სისხლი  
დიოდა.  
ო, რა სათუთად ამოიმართა ბნელით მოცულ მის სულში  
ჯვარი.

სიყვარული; ხოლო მაშინ შავ ალაგზე თოვლი დნებოდა,  
ძველ ანწლში ლაღად გროვდებოდა ლურჯი ნიავი,  
კაკლის ჩრდილში შეკრული თალი;  
და ყრმას თავისი ვარდისფერი ანგელოზი წყნარად  
ერვენა.

სიხარული; მწუხრის სონატა ანკრიალდა გრილ  
ოთახებში,  
რუხ განივძელზე  
ვერცხლისფერი თოჯინიდან გამოცოცდა ლურჯი  
ფარვანა.

ჰოი, სიკვდილის სიახლოვე. ქვის გალავნისკენ  
იხრებოდა უტყვად ბავშვის ყვითელი თავი,  
ხოლო მაშინ, მარტის თვეში, მთვარე ჩაიქცა.

3

თაღებქვეშ ღამის აკლდამისა ვარდისფერი, სააღდგომო  
ზარების რეკვა  
და ვარსკვლავების ვერცხლოვანი ხმა, -  
რომ მძინარის შუბლს ბნელი სიგიჟე ცახცახით მოსწყდა.

ო, რა სიჩუმით დაეშვება, დავინყებულზე მოფიქრალი,  
ქვემოთ,  
ლურჯი ნაკადულის პირს, სადაც, მწუხრის ჟამს, მწვანე  
ტოტებში,  
შავი შაშვი უცხოს უხმობდა.

როცა მოხუცი ჩონჩხადქცეულ ხელს ჩაჰკიდებდა  
და სეირნობდნენ ქალაქის ჩაშლილ გალავანთან ყოველ  
მიმწუხრზე,  
ხოლო მავან შავსამოსიანს ვარდისფერი ჩვილი  
მოჰყავდა.  
კაკლის ხის ჩრდილში სული აღჩნდა ბოროტეულის.

ნაბიჯები ზაფხულის მწვანე საფეხურებს შეეხებიან. ო,  
რა წყნარად  
ჩაიქცა ბალი შემოდგომის რუხ სიჩუმეში,  
ძველი ანწლის სურნელება და მწუხარება,  
სებასტიანეს ჩრდილში როცა ანგელოზის ვერცხლოვანი  
ხმა დასამარდა.

## ჭაობთან

მე-3 რედაქცია

მგზავრი შავ ქარში; ფრთხილად განფანტავს ხმელი  
ლეღქაშის შარიშური

ჭაობის დუმილს. ველურ ფრინველთა  
გუნდს გამოაჩენს მოჟამული ცა;  
განივი ლტოლვა ქუფრი წყლების თავს.

ფორიაქი. ჩაშლილ ქოხში  
ლპობა შავ ფრთებს ააშრიალებს;  
ქარში ოხრავენ სახიჩარი არყის ხეები.

მიტოვებულ ფუნდუკში - მწუხრი. შინმისაქცევ გზას  
უთვალთვალებს  
მობალახე ფარას შეყრილი მსუბუქი სევდა;  
ლამის ხატება: ჟამიდან ჟამზე ამოყვინთავენ გომბეშოები  
ვერცხლის წყლებიდან.

## გაზაფხულზე

უჩუმრად ჩანვა თოვლი ბნელი ნაბიჯების ქვეშ,  
ხის ჩრდილში  
ფრთხილად იხსნებიან შეყვარებულთა ვარდისფერი  
ქუთუთოები.

მენავეების ბნელ დაძახილს  
ვარსკვლავი და ღამე მოსდევს ისევ და ისევ;  
წყნარია და რიტმულია ნიჩბების ცემა.

აყვავდებიან ჩამოქცეულ გალავანთან მალე  
იები,  
და ასე მშვიდად იფარება მარტოსულის საფეთქელი  
მწვანე ბალახით.

## სალამო ლანსში

### მე-2 რედაქცია

მოგზაურობა დაბინდული ზაფხულის გავლით,  
გაყვითლებულ თავთავთა მიღმა. თეთრ თაღებქვეშ,  
სადაც მერცხალს მიმოფრენა ეამებოდა, ალისფერი  
ღვინით ვთვრებოდით.

მშვენიერია: ო, სევდა და ნითლად სიცილი.  
მწუხრი და მწვანის ბნელი სურნელი  
მოცახცახედ გვიგრილებენ ადუღებულ შუბლს.

ჩასდევნებიან ვერცხლის წყლები ტყის საფეხურებს,  
ლამეჟამი და სიცოცხლე, უტყვად დავინწყებული.  
მეგობარი; სოფლის გზებზე - ფოთლები უხვად.

## ბერთამთაზე

მე-2 რედაქცია

შემოდგომის თელების ჩრდილში, ჩაქცეული ბილიკი რომ  
ქვედამართულა,  
საცნაურია ფოთლოვანით შეკრულ სადგომთა და  
მძინარე მწყემსთა სიშორე,  
ნიადაგ თან სდევს მგზავრს სიგრილის ბნელი ხატება.

ძველისძველი ხიდურის თავს - ყრმა სუმბულის ხმით,  
ტყის დავიწყებულ ლეგენდათა ნელი-ნელ მთქმელი,  
ხაფი ჩივილი ძმის, სნებისგან ძალამიხდილის.

ააშრიალებს მეტყველ მწვანეს მუხლი უცნობის,  
ქვოვანი თავი;  
ქალების ჩივილს ლურჯი წყარო ხმაურით გათქვამს.



იხილა, თოვლი აცვიოდა შიშველ ტოტნარს და  
ბინდით მოცული სახლის წინკარს და მკვლელის  
აჩრდილს.

ქვე იხრებოდა არშობილის თავი ვერცხლისფრად.

## ღამით

სილურჯე ჩემი თვალებისა ამ ღამეში ამოინურა,  
ჩემი გულის წითელი ოქრო. ო! ნათლიერი რა სიმშვიდით  
იფერფლებოდა.  
გახვეულიყო, ჩაძირვადი, შენს ღურჯ სამოსში;  
აღიბეჭდავდა ალისფერი შენი ბაგე მეგობრის შეშლას.

## სიმშვიდე და მდუმარება

შიშველ ტყეში მწყემსები მზეს ასაფლავებდნენ.  
ეზიდებოდა დაძენილი ბადით მეთევზე  
გაყინული ტბორიდან მთვარეს.

ლურჯ ბროლში  
სახლობს ფერმიხდილი ადამიანი, ლოყით თავის  
ვარსკვლავს მიკვრია,  
ანდა თავს სულაც ალისფერი ძილისკენ დახრის.

თუმცა, ფრინველთა შავი ფრენა კვლავ აათროლოებს  
მზირალს, და - ლურჯი ყვავილის ნათელს,  
ფიქრს მისცემია ახლომყოფი მდუმარება დავინწყებულის,  
ანგელოზი ჩამოშრეტილი.

კვლავ დაიღამებს მთვარენათელ ქვიანში შუბლი;  
დაიკო კი მანათობელ ყრმად  
გამოუჩნდება შემოდგომას, კუპრისფერ ლპობას.

## ანიფი

გახსენება: თოლიების ძახილს მოუცავს  
კაცთა სევდის ბნელი ცის თალი.  
შემოდგომის იფნის ჩრდილში უჩუმრად მკვიდრობ,  
გორაკის მართალ წესრიგს შერთული;

კვლავ დაეშვები მწვანე წყლისკენ,  
მწუხრი რომ დგება,  
სიყვარული აჟღერებულს; მშვიდობით გხვდება ბნელი  
მხეცი,

ვარდისფერი ადამიანი. ლაყვარდოვანი ამინდით  
მთვრალი,

მომაკვდავ მწვანეს ატოკებს შუბლი  
და დედის მართალ მზერას აღიდგენს;  
ო, რარიგ ერთვის ბნელს ყველაფერი;

მამათა  
მკაცრი ოთახები, ძველი ავეჯი,  
გადამთიელს მკერდს დაუმძიმებს.  
ო, ნიშნებო და ვარსკვლავებო.

დიდია ბრალი დაბადებულის. ვაი, სიკვდილის  
ოქროს ნიღბებო,  
სულს უგრილესი ყვავილობა რომ ესიზმრება.

მთვარის ნაბიჯის მოთვალთვალე, შიშველ ტოტნარში,

უფრო და უფრო ხმას იმაღლებს ღამის ფრინველი.  
ყინულოვანი ქარი იმღერს სოფლის კედლებთან.

## დაბადება

მთები: სიშავე, დუმილი, თოვლი.  
ნადირობა ტყიდან წითლად მოედინება;  
ო, ხავსისფერი თვალები მხეცის.

დედის სიმშვიდე; შავ ნაძვნარში  
განიხვნიებიან მძინარე მკლავნი,  
შუქმილეული ცივი მთვარე როცა დაჩნდება.

ო, დაბადება კაცთაგანის. კლდის ძირს ლურჯი წყლის  
ლამეული ისმის ჩურჩული;  
დაცემული ანგელოზი მის ხატს მზერას ოხვრით  
მიაპყრობს,

ყრუ ოთახში სიფერმკრთალე გამოიღვიძებს.  
ორ მთვარედ  
ბრწყინავს ქვადქცეული დედაბრის მზერა.

ვაი, ყვირილი ახალშობილის. ჩვილის საფეთქელს  
შავი ფრთებით ეხება ღამე,  
ჩამოეშვება ალისფერი ღრუბლებიდან თოვლი  
მდუმარედ.

## აღსასრული

მე-5 რედაქცია

*კარლ ბორომოის ჰაინრიხს*

თეთრ ტბორს  
ველურმა ფრინველებმა გადაუფრინეს.  
მომნუხრზე ჩვენი ვარსკვლავები ყინულოვან ქარს  
გვიგზავნიან.

გადმოიხრება ჩვენს საფლავებზე  
დამსხვრეული შუბლი ღამისა.  
ვერცხლის ნავი მუხიანში მსუბუქად გვარწევს.

ისევ და ისევ რეკენ ქალაქის თეთრი კედლები.  
ეკალხლართებში,  
ო, ჩემო ძმაო, გზას მივიკვალავთ ბრმა ისრები  
შუალამისკენ.

## სიყრმის ჟამს გარდაცვლილისადმი

ო, კუპრისფერმა ანგელოზმა ხის გულიდან რა სიმშვიდით  
გამოაბიჯა,  
მნუხრის ჟამს, ლურჯად მოჭავლულ ჭასთან,  
თამაში ჩვენი უცნაური სიმშვიდით რომ აღივსებოდა.  
მიმოვიდოდით უხმაუროდ, შემოდგომის ლეგა სიგრილეს  
მივაპყრობდით დაზაფრულ მზერას,  
ო, ალისფერი სიტკბოება მწიფე ვარსკვლავთა.

იგი კი, ლურჯად მოლიმარი, უკიდევანო მდუმარებით  
სავსე ბავშვობის იდუმალ ჭურს გამომწყვდეული,  
იგი ბერთამთის ქვის საფეხურებს ჩაუყვავა და  
გარდაიცვალა;  
ხოლო მეგობრის ვერცხლოვანი და სათნო სახე  
გრძნეულმა ბაღმა, ფოთლოვანმა, ძველმა ქვებმა  
შემოინახეს.

სიკვდილს და ხორცის მწვანედ გახრწნას უმღერდა სული,  
და ტყის ფორიაქს დაერთვოდა  
გულმოდგინე ჩივილი მხეცთა.  
კოშკთ გამჭვირვალე სიმაღლიდან უწყვეტ ნაკადად  
იღვრებოდა ხმოვანება ლურჯი ზარების.  
ჟამმა ჩამოკრა, ყველა ლანდი აღაჩინა ცეცხლოვანმა  
მზემ,  
ლპობის აჩრდილებს დაუპყრიათ მირიადი შიშველი  
ტოტი;  
მნუხრი. გალავნის ბინდ-ბუნდიდან მოანია შაშვის  
გალობამ,

სული სიყრმის ჟამს გარდაცვლილის შემოვიდა ჩუმად  
ოთახში.  
ო, სისხლი იგი, ყელს, სასიმღეროდ შემართულს, რომ  
განერინება,  
ლურჯი ყვავილი; ო, ღამის წიაღს შერევნილი  
მდუღარე ცრემლი.

ოქროვანი ღრუბლები. ჟამი. ხშირად მოუხმობ  
მიცვალებულს მარტო შთენილი,  
და, მასთან ტკბილად მოუბარი, დაუყვები მწვანედ  
მჩქეფარე ნაკადულისკენ მიმავალ ბილიკს.

## მწუხრი სულისა

მე-2 რედაქცია

ტყისპირთან მშვიდად გვეგეგება  
ბნელი ნადირი;  
გორაკზე მშვიდად ბოლოვდება მიმწუხრის ქარი,

წყდება შაშვის ხმა,  
ლელიანში  
შემოდგომის უნაზესი ფლეიტები დადუმებულან.

შენ კი შავ ღრუბელს დაურწვევიხარ,  
ყაყაჩოს წვენით დაბანგული მიმოივლი  
ღამეულ ტბორებს,

ვარსკვლავებით მოჭედულ ზეცას.  
ისევ და ისევ, სულიერებით სავსე ღამე  
დის მთვაროვანი ხმოვანებით განიმსჭვალება.

## ჩამავალი მხარის სიმღერა

ჰოი, სულის ფრთებისცემა ბნელდამეული:  
ოდეს მწემსები ვიყავით და ჩამობურულ ტყეთა წიაღ  
ვეხეტებოდით,  
ნითელი მხეცი, მწვანე ყვავილი და მოდუდუნე ნაკადული  
ოდეს კრძალვით  
ქედს მოიხრიდა. ო, ჭრიჭინას პირველქმნილი  
ამონამღერი,  
სამსხვერპლო ქვაზე მოყვავილე ბრდღვიალა სისხლი  
და ტბორის მწვანე სიჩუმის თავს ხმოვანება ეული ჩიტის.

ო, ჯვაროსნულ ლაშქრობანო და მხურვალე ტანჯვანო  
ხორცის. ალისფერი ნაყოფის ცვენავ  
მიმწუხრის ბაღში, სადაც ერთ დროს მიმორბოდნენ  
უმანკო ყრმანი,  
ხოლო ამჟამად მეომარნი, ჭრილობათაგან და  
ვარსკვლავთა სიზმართაგან თავდაღწეულნი.  
ჰოი, ნათება ულბილესი, ღამის სილურჯის.

ჰოი, თქვენ, ჟამნო მდუმარების და ოქროვან  
შემოდგომათა,  
ოდეს ალისფერ ნაყოფს ვკრებდით მონესენი  
მშვიდობიანნი;  
ხოლო ირგვლივ ტყეები და მთის ფერდობნი  
განიხარებდნენ.

ჰოი, თქვენ, ციხე-სიმაგრენო, ნადირობანო;  
სიმყუდროვევ მიმწუხრისაო,

ოდეს დასაზღვრულ თვის სამყოფში მართლად ბჭობდა  
ადამიანი  
და უტყვი ლოცვით ღვთის ცოცხალ თავს მოიხელთებდა.

ჰოი, მიწურვის მწარე ჟამი,  
ოდეს შავ წყლებში გავარჩიეთ ქვოვანი მზერა.  
მაგრამ ელვარედ განიხვნებიან ვერცხლოვანი  
ქუთუთოები შეყვარებულთა:  
**ერთი** მოდგმის. ვარდისფერი სასთუმლის პირით  
მოედინება გუნდრუკი და  
მკვდრეთით აღმდგართა უტკბილესი საგალობელი.

## ფერისცვალება

სალამოჟამი როცა დგება,  
ლურჯი მზერა უჩუმრად გტოვებს.  
თამარინდის ტოტზე გალობს პანია ჩიტი.

ქვადქცეულ ხელებს გულზე იკრეფს  
სათნო მონესე.  
მარიამს თეთრი ანგელოზი გამოუჩნდება.

საცნაურმყოფლის ჟამი თუა  
ლამის გვირგვინი,  
იით, ვაზით და თავთავით ნნული.

შუბლს რომ ვერცხლისფერ ხელებში ჩარგავ,  
შენს ფეხებთან  
გარდაცვლილთა კუბოები განიხსნებიან.

უნყინრად მკვიდრობს შენს ბაგეზე  
ბნელი სიმღერის ყაყაჩოს წვენი  
მთვრალი მთვარე შემოდგომისა;

ყვითელ ქვიანში წყნარად მჟღერი  
ლურჯი ყვავილი.

## თბილი მშრალი ქარი

მთვარენათელი ზამთრის ღამე, თვალდავსილი ჩივილი  
ქარში,  
ყრმობა, შავ სხლტესთან ნაბიჯები წყნარად კვდებიან.  
მწუხრიჟამის ხანგრძლივი ზარი.  
გვიახლოვდება თეთრი ღამე წყნარი ხეტებით,

ქვოვანი ყოფის ტანჯვას და ტკივილს  
მოზრდღვიალე სიზმრებად აქცევს,  
რომ არასოდეს გაეცალოს დამპალ სხეულს მწარე ეკალი.

ღრმად ოხრავს თვლემას მიცემული სული მოშიში,

მიმომსხვრეულ ხეებს შორის ღრმად ოხრავს ქარი,  
და დედისეულ ჩივილსახეს რწევა მოიცავს  
ამ მდუმარე მწუხარების

მარტოსულ ტყეში; ღამეები,  
სავსენი ცრემლით, ცეცხლოვანი ანგელოზებით.  
ჩონჩხი ბავშვისა, ვერცხლისფრად რომ მიეფშვნება  
შიშველ გალავანს.

## მგზავრი

მე-2 რედაქცია

ისევ და ისევ, თეთრი ღამე იმ გორაკზე ჩამოისვენებს,  
სადაც ალვის ხე ვერცხლოვანი ხმოვანებით  
გამორჩეულა,  
ვარსკვლავნი და ქვანი სუფევენი.

მოეთალება მთის ნაკადულს მთვლემარე ხიდი,  
ასდევნებია ყრმას მკვდრის ხატი,  
ვარდისფერი უღრანების ნამგალა მთვარე

და ლოცვად შემდგარ მწყემსთა სიშორე. ძველ ქანებს  
შორის,  
ბროლის თვალებით გადმოიმზერს ირგვლივ გომბეშო,  
მოყვავილე ქარი იღვიძებს, მკვდრისმსგავსის ფრთოსნურ  
ხმას და ნაბიჯს  
წყნარად მოსავს ტყეში სიმწვანე.

მეხსიერებას ხეს და ნადირს წარმოუდგენს ეს ყოველივე.  
ხავსის ნელი სვლა;  
და მგლოვიარე წყლებში ელვარედ დანთქმული მთვარე,  
ელვარედ რომ იძირება მწუხარე წყლებში.

ის ბრუნდება და დაწრიალებს მწვანე ნაპირთან,  
შავი გონდოლის რწევა მსჭვალავს ქალაქს ჩაქცეულს.

## კარლ კრაუსი

ჭეშმარიტების დიადი და თეთრი მოწესე,  
ხმა უნმინდესი, რომელშიც უფლის სუნთქვა სუფევს  
ყინულოვანი,  
განრისხებული ჯადოსანი,  
ხოლო ცეცხლოვან სამოსელქვეშ - მეომრის ლურჯი  
აბჯრის ჟღერიალი.



## ვნება

მე-3 რედაქცია

მწუხრის ბაღში რომ ორფეოსი მკვდარს დაიტირებს  
და ირგვლივ ჰანგი ვერცხლისფერი მიმოიღვრება,  
ვინ ხარ შენ, მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ განსვენებულო?  
იგლოვს ლერნამი შემოდგომის  
და ლურჯი ტბორი,  
მწვანე ხეებქვეშ სულის მლაფავი,  
დის აჩრდილის ფრთხილი გუშავი;  
ბნელით მოცული სიყვარული  
ველური მოდგმის,  
დღის ძალა ოქროს საცერში რომ ააჩხრიალებს.  
სიმშვიდე ღამის.

იქ, სად უღრანი ნაძვნარია,  
წყვილი მგელი სისხლს ურევდა  
ქვოვან ალერსში; ბილიკის თავს  
ოქროვანი გაქრა ღრუბელი,  
მოთმინება და მდუმარება ბავშვობის ჟამის.  
ისევ და ისევ დაჩნდება მკვდარი  
ტრიტონის ტბორთან,  
სინაზით სავსე, სუმბულისებრკულულიანი.  
დე, საბოლოოდ ჩამოიმსხვრეს ეს გრილი თავი!

რამეთუ მიწყვი თანამდევია ლურჯი მხეცი,  
მომზირალი მწუხრის ხეებქვეშ,

ამ ბნელ ბილიკთა  
მოთვალთვალე, შეძრული მერე ღამეულ  
კეთილხმოვანებით,

ნაზი სიგიჟით;  
ან, სულაც, ისევ ხმოვანებდა  
ქვოვან ქალაქში,  
მომნანიებლის გრილ ფეხებთან,  
საკრავი, სავსე ბნელი ექსტაზით.

## სიკვდილის შვიდი საგალობელი

ცისფრად ბინდდება გაზაფხული; წყალს დახარბებულ  
ხეთა ცოტებში  
წყვდიადი დაძრწის დაისის და დასასრულის ჟამს,  
შავი შაშვის სათნო ჩივილს ყურმიპყრობილი.  
ღამე - მდუმარედ მანათობელი; მხეცი, სისხლისგან  
განლეული,  
გორაკზე რომ ნელა ეცემა.

მიმოირწევა სველ ჰაერში მოყვავილე ვაშლის ცოტნარი,  
გამოხლართული, თავს ვერცხლისფრად ითავისუფლებს,  
ღამეულ თვალებს ნება-ნება გარდაეცვლება; ცას  
მომწყდარი ვარსკვლავები;  
უნაზესი გალობა ყრმობის.

შავი ტყისკენ მოჩვენებად დაეშურა ძილსმიცემული,  
და ლურჯი წყარო მინას გაბმით ჩაჰბუტბუტებდა,  
როგორ ამაღლდნენ გაფითრებული ქუთუთოები  
თოვლითფენილი მისი სახიდან;

და ბუნაგიდან  
წითელი მხეცი განდევნა მთვარემ;  
ქალების ბნელ გვრინს სული ოხვრით ამოუვიდა.

თეთრი უცხო  
საკუთარი ვარსკვლავისკენ მოელვარედ იწვდიდა  
მკლავებს;

მკვდარმა დუმილით დაუტევა ჩაშლილი სახლი.

ო, ადამის ძის ლპობადი სახე: გაყინული ლითონისგან  
ჩამონაკეთული:

ღამე და შიში დაძირულ ტყეთა,  
მხეცის ველური სამკვიდრებლის;  
საამური ქარი სულისა.

ის შავი ნავით მიჰყვებოდა  
აღისფერი ვარსკვლავებით სავსე დინებას, და იხრებოდა  
ამწვანებული ტოტნარი მისკენ, მშვიდობის ნიშნად,  
ვერცხლოვანი ღრუბლის ყაყაჩო.

## ზამთრის ღამე

თოვლი მოვიდა. შუაღამე როცა გადავა, ალისფერი ღვინით გამომთვრალ ადამიანთა ბნელ გარემოცვას და მათი კერის წითელ ცეცხლს ტოვებ. ო, უკუნეთი!

შავი ყინვა. მკაცრია მინა, სიმწრის სუნი მოიცავს ჰაერს. ავს მოასწავებს, როცა შენი ვარსკვლავები იხურებთან.

რკინისგზის ყრილზე ქვადქცეული ნაბიჯებით მძიმედ მავალი, მრგვალი თვალებით, ჰგავხარ ჯარისკაცს, შავ სანგარზე მოიერიშეს. წინ!

უმწარესი თოვლი და მთვარე!

წითელი მგელი, ანგელოზი რომელსაც ახრჩობს. შენი ფეხები ისე, როგორც ლურჯი ყინული, ჩხრიალებენ სიარულისას, ხოლო სახეზე შეგყინვია გლოვითა და ქედმაღლობით სავსე ღიმილი და შენი შუბლი ფერმიხდილა ავხორცი ყინვით;

ანდა მდუმარედ დაიხრება ქოხს შეხიზნული დარაჯის ძილის მიმართულებით.

ბევრისმზიდავ მხრებს ცეცხლით მოსავს ვარსკვლავთა სფერო და ღმერთის ძერებს დარჩენიან საძიძგნად შენი ლითონის გული.

ო, ქვის გორაკი. ჩუმი ლღვება და ავინყდებათ ვერცხლისფერ თოვლში ჩარჩენილი გრილი სხეული.

შავია ძილი. ყინულზე ყური დიდხანს მისდევს ვარსკვლავთა ნაგზევს.

გაღვიძებასთან ერთად სოფლად ზარები რეკდნენ. აღმოსავლეთის კარიბჭიდან ვერცხლოვანი ნაბიჯებით მოდიოდა ვარდისფერი დღე.

## განსაწმენდელი

შემოდგომის გალავნებთან, აჩრდილები  
გორაკის თავს მონკრიალე ოქროს ეძებენ,  
გამხმარ ჭადართა სიჩუმეში  
მგლოვიარე მწუხრის ღრუბლები.  
ბნელ ცრემლებს აფრქვევს ეს დრო,  
წყევლა, როცა გული მეოცნებისა  
წითელი მწუხრის სიალისფრედ ჩამოღვარულა,  
აკვამლული ქალაქის სევდა;  
უცხოს, გზად მავალს,  
ოქროს სიგრილე მიენევა სასაფლაოდან,  
ასდევნებოდეს თითქოს ჩრდილში მყიფე ცხედარი.

წყნარად ჩამორეკს ქვის შენობა;  
ობოლთა ბალი, ჰოსპიტალი ბნელით მოცული,  
ხოლო არხში - წითელი ნავი.  
წამოდგებიან მეოცნებედ, წყვდიადი კი ქვე დასცემს  
მყისვე

ხრწნამორევნილ ადამიანებს  
და კუპრისფერი კარიბჭიდან  
ანგელოზები გამოდიან ცივი შუბლებით;  
სილურჯე, დედის სიკვდილის ზარი.  
მის გრძელ თმებს შორის  
ცეცხლოვანი მიგორავს თვალი, დღემრგვალი და  
მინის ტანჯვა უდასასრულო.

გრილ და უაზრო ოთახებში

ლპება ავეჯი, დაჩონჩხილი ხელებით ეძებს  
სილურჯის წიაღ  
არანმინდა ბავშვობა ზღაპრებს,  
კარს და ზანდუკს ქონიანი ვირთხა შემოდრღნის,  
გულს  
აშეშებს თოვლის სიჩუმე.  
ხოლო შიმშილის ცეცხლოვანი შეჩვენებები  
ექოებად იბნევიან მძაღე ყომრალში,  
კუპრისფერი ხმლები სიცრუის,  
დაიხურაო თითქოს მძიმედ რკინის ქიშკარი.

## მზე

ყოველდღიურად გორაკს თავზე ყვითელი მზე  
ნამოადგება.

მშვენიერია ტყე, ბნელი მხეცი,  
ადამიანი; მონადირე ან სულაც მწყემსი.

მწვანე ტბორში გაბრწყინდება თევზი ალისფრად.  
წყნარად მიცურავს ლურჯი ნავი მეთევზისა  
ცარგვალქვეშეთში.

მნიფს ნება-ნება ვაზი, ხორბალი.  
კვლავ შემართულან სიკეთე და ბოროტება,  
დღე რომ ფრთხილად მიიდრიკება.

როცა ღამდება,  
ზეაწევს დინჯად მგ ზავრი მძიმე ქუთუთოებს;  
მზე პირქუში ხეობიდან ამოირღვევა.

## დატყვევებული შაშვის გალობა

*ლუდვიგ ფონ ფიკერს*

ბნელი სუნთქვა - მწვანე ტოტებში.  
ლურჯი ყვავილი ეფინება ეულის  
სახეს, ოქროსფერ ნაბიჯს,  
სულისმლაფავს ზეთისხილის ქვეშ.  
დამე მთვრალ ფრთებს ააშრიანებს.  
მორჩილება კი რა სინყნართ იღვრება სისხლად,  
ნამი, რომელიც ნელ-ნელა და ნვეთ-ნვეთად სდის ქაცვს,  
მოყვავილეს.  
შემოჭდობია დამსხვრეულ გულს  
თანალმობა ელვარე მკლავთა.

## ზაფხული

მნუხრის ტყეში მიჩუმდება  
გუგულის გვრინი.  
დაიზიდება მძიმედ თაველი,  
ალისფერი - იქვე - ყაყაჩო.

გორაკის თავს იმუქრება  
შავი ავდარი.  
მინდვრად  
ჭრიჭინას ძველი სიმღერა აღესრულება.

აღარ შრიალებს  
წაბლის ფოთოლი.  
საცნაურია შენი კაბის შარიშური  
ხვეულ კიბეზე.

ბნელ ოთახში -  
ოდენ სანთლის მკრთალი ციალი;  
მას ვერცხლოვანი ხელი  
აქრობს;

უვარსკვლავო, ქარმშვიდი ღამე.

## წელინადი

ბავშვობის ბნელი მდუმარება. ამწვანებულ იფნის  
ხეებქვეშ,  
ძოვს მორჩილება მოლურჯო მზერის. ოქროს დუმილი.  
სიბნელეს იის სურნელება ალაფრთოვანებს; დაისის  
პირზე  
თავთავის რწევა, მარცვლები და ოქროსფერი ჩრდილები  
სევდის.  
ძელს შემოკაფავს ხურო; მიმქრალ არემარეში  
იღვწის წისქვილი; მწვანე თხილნარში ალისფერი ბაგე  
მრგვალდება,  
წითლად იხრება კაცთაგანი მდუმარე წყლისკენ.  
შემოდგომას, და ტყის სულს, კვლავაც მშვიდობა  
მსჭვალავს; მარტოსულს თან სდევს  
ოქროს ღრუბელი, შვილიშვილის შავი აჩრდილი.  
ქვოვან ოთახში - დაისის დრო; ჟამმოთეულ  
კვიპაროსებქვეშ,  
წყაროსთან, ცრემლის ღამეული სურათები  
მოგროვებულან;  
ამოცისკრების ოქროს თვალი, დასასრულის ბნელი  
გაძლება.

## დაისის მხარე

მე-4 რედაქცია

*ელზე ლასკერ-შულერს, მოკრძალებით*

1

ლურჯი მღვიმიდან,  
როგორც მკვდარი, გამოდის მთვარე,  
და ქვოვან ბილიკს  
მირიადი ყვავილი აწვიმს.  
ვერცხლოვანია სნეულების ტირილის ხმა  
მწუხრის ტბორის პირს.  
შავი ნავი დაუგდიათ და  
სიკვდილი წყალში უპოვნიათ შეყვარებულებს.

ხოლო კორომზე, სუმბულთა შორის,  
ელისის ფეხის ხმა-წკრიალი იღვრება და  
მუხიანში იკარგება ჟამიდან ჟამზე.  
ჰოი, ყრმის სახე,  
ბროლის ცრემლთაგან  
და ღამეულ აჩრდილთაგან ჩამონაკვეთული!  
მარადცივი საფეთქელი  
კბილცეცხლოვანი ელვის ძალით  
ინათებს კვალად,  
მწვანე ქედებს  
გაზაფხულის ავდარი როს დაეუფლება.

2

სავსე არიან რაოდენი ჰაეროვნებით  
ჩვენი სამშობლოს მწვანე ტყეები,  
და - ჩამოქცეულ კლდეთა ფერხთით  
დამსხვრეული ბროლის ტალღები;  
ძილი მოთქმად გადაგვექცეოდა;  
ეკლოვან სხლტეთა გაყოლებით  
მგალობელნი სეირნობენ  
მწუხრის ზაფხულჟამს,  
ვენახთა შორით ფენილი ნათლის  
წმინდა სიმშვიდეს აღუვსია ნაბიჯი მათი;  
აი, ჩრდილები - მგლოვიარე არწივები -  
ყინულოვან სტომაქში ღამის.  
ნაზად აშუშებს  
სევდის ალისფერ ჭრილობებს მთვარე.

3

ჰოი, თქვენ, დიდო ქალაქებო,  
ქვით ნაშენნო  
ვაკემინებზე!  
ასე კაცი უსამშობლო  
მდუმარედ მისდევს,  
სახეჭუფრი, ქარის დინებას,  
ბექს შეფენილ შიშველ ხეთა რიგს.  
თქვენ, ყოველგან მომაკვდავო მდინარეებო!  
ოდეს დაისის საშიშ ნითელს

აღმოვაჩინთ ავდრის ღრუბლებში,  
უსაშველო აგვიტანს ძრწოლა.  
დასაღუპად განწირულო, ჰოი, ხალხებო!  
უძღურ ტალღებად მიმსხვრეული  
ღამის ნაპირთ,  
ვარსკვლავები, ჩასაქცევად განწირულები.

## სულის გაზაფხული

ამოყვრება ძილში; ქარი ეხეტება შავბნელ ჩიხებში,  
გამეფებულა გაზაფხულის ლურჯფეროვნება მსხვრევად  
ტოტნარში  
და ალისფერ ნამში ღამისა, ვარსკვლავები ქრებიან  
ირგვლივ.  
მდინარეს მწვანე ბინდი მოსავს, ვერცხლისფერი - ძველ  
ხეივნებს,  
ქალაქის კოშკებს. ო, ნაზად თრობა  
დარწეულ ნავში და შავი შაშვის ბნელი ძახილი  
ბავშვურ ბაღებში. საჩინოვდება ვარდისფერი მარმაში  
უკვე.

წყლების ხმაური საზეიმო. ო, მინდვრიანი ნაპირების  
სველი ჩრდილები,  
მხეცის ნაბიჯი; და სიმწვანე, ტოტნარი სისხლად  
ჩამომდინარე  
არხევს ბროლის შუბლს; მანათობელ ნავს.  
წყნარად ხმოვანებს მზე ვარდისფერ ღრუბლებში,  
ბორცვთან.  
დიდ არს სიჩუმე ნაძვნარისა, მდინარის ნაპირს  
მოჯარული მკაცრი ჩრდილები.

წმიდა არს! წმიდა! სად ჰგებენ ბილიკები სიკვდილსაშიში,  
დუმილის რუხი ქვიანი და სიპები ღამის,  
უამრავი მშფოთვარე ჩრდილი? მზის უფსკრული,  
მანათობელი.

როცა გპოვებდი, დაო, ეულ ველობზე  
ტყისა, და იყო შუადღე, დიდი იყო დუმილი მხეცის;  
სითეთრე ველურ მუხის ძირში, და ვერცხლისფრად  
ყვაოდა ქაცვი.  
ძღევამოსილი სიკვდილი და - მომღერალი კოცონი  
გულში.

ბნელად განბანენ წყლები თევზთა მშვენიერ თამაშს.  
გლოვის საათი, მზის უტყვი მზერა;  
უცხოა სული დედამინაზე. რარიგ სულისად  
ჩამობინდდება  
ჩამოშლილ ტყეთა თავზე სილურჯე და სოფელში  
ბნელი ზარის ხანგრძლივი რეკვა; პროცესია  
დადუმებულთა.  
წყნარად ყვავილობს მურტი მკვდრის თეთრ  
ქუთუთოებზე.

წყნარია წყლების ხმიანობა მონურვილი ნაშუადღევის  
ჟამს  
და მივარდნილი ადგილები ბნელად მწვანობს ნაპირებზე,  
აღსავსეა ვარდისფერი ქარი სილადით.  
მნუხრის გორაკზე - ძმის გალობა უსათუთესი.

## ბნელში

მე-2 რედაქცია

დადუმებულა სული ლურჯი გაზაფხულისა.  
დაისის ჟამის სველ ტოტებქვეშ  
მოყვარულის შუბლი დანთქა ციებ-ცხელებამ.

ო, როცა ჯვარი გამწვანდება. ბნელ საუბარში  
ერთურთი იცნეს კაცმა და ქალმა.  
ჩამოშიშვლებულ გალავანთან  
მოხეტიალე ეულს მისი ვარსკვლავები ასდევნებთან.

ტყის მთვართნათელ ბილიკთა თავზე  
დავინყებული ნადირობის  
ეკალ-ბარდი დაიდრიკა; ჩამოშლილი კლდეებიდან  
ჩაიმსხვრევა სილურჯის მზერა.

## მიცვალებულის გალობა

კარლ ბორომოის ჰაინრიხს

ჰარმონიით აღსავსეა ფრთოსანთა ფრენა.

შეგროვებულან მწვანე ტყეები  
დადუმებულ ქოხთან მიმწუხრზე;  
შელის ბროლიადი საძოვრები.  
წყვედიადის ძალით დაცხრებიან ნაკადულის დუდუნი და  
სველი ჩრდილები,

ყვავილები, საამოდ რომ ხმოვანებენ ქარში ზაფხულჟამს.  
ფიქრსმიცემული კაცის შუბლი უკვე ბინდით  
გარემოცულა.

ხოლო მის გულში ლამპარი კრთის, დიდი სიკეთე,  
და - ნადიმი მშვიდობიანი; რადგან წმინდაა პური და  
ღვინო,  
უფლის ხელით მოწოდებული; უტყვად მოგაპყრობს  
ღამესავსე თვალებს  
შენივ ძმა, ეკლიანი ყარიბობით ღონემიხდილი.  
ო, ბინადყოფნა, განმსჭვალული ღამის სილურჯით.

და მდუმარება გარდასულთა აჩრდილებსაც  
სიყვარულით ჩაიკრავს გულში,  
იმ დიდი გვარის მობრდღვიალე ტანჯვებს და ქვითინს,  
ღვთისმოსავი, მარტოდშთენილ შვილიშვილს რომ  
შემკვიდრებია.

ქვადქცეულ ზღურბლზე, წამებული  
სიგიჟის შავი წუთებიდან კვლავ ელვარედ  
გამოფხიზლდება,  
და ძლევით მსჭვალავს სილურჯე და შემოდგომის  
დასასრული, გაბრწყინებული,

მშვიდი სახლი და ტყის ლეგენდები,  
მიჯნა და წესი და მთვარიანი ბილიკები განსვენებულთა.

## ჰელბრუნში

მიმწუხრზე კვლავაც ლურჯი მოთქმის კვალში ჩადგომით  
გორაკთან, ტბორთან გაზაფხულისა -  
როცა მის თავზე ირწეოდნენ აჩრდილები დიდი ხნის წინ  
აღსრულებულთა,  
აჩრდილები ეკლესიის წინამძღოლთა, ძვირფას დედათა -  
ყვავილებს მათსას, მართალ იებს  
მწუხრის მიწა მოურთავთ უკვე, და მირაკრაკებს ლურჯი  
წყაროს

ბროლის ნაკადი. ასე სულისად მწვანდებიან  
მუხები მკვდრების დავინყებულ ბილიკთა თავზე,  
ტბორის თავზე - ოქროს ღრუბლები.

## გული

თეთრი იყო ტყეთა წიაღ ველური გული;  
ო, ბნელი შიში  
სიკვდილისა, რუხ ღრუბლებში  
ოქრო ასე გარდაცვლილიყო.  
ნოემბრის მწუხრი.  
სასაკლავოს დაფჩენილ კართან  
იდგა ღარიბი ქალების გროვა;  
კალათებში  
იყრებოდა მყრალი ხორცი და შიგნეული;  
წყეული ხარკი!

დაისის ლურჯ მტრედს  
მშვიდობა არ მოუტანია.  
საყვირთა ბნელი ხმოვანებით  
იყო აღსავსე თელების  
სველი ოქროს ტანები.  
ნაკუნებად ქცეული დროშა,  
ახრჩოლებული სისხლის სუნად,  
რამეთუ სასტიკ  
მწუხარებაში ჩაძირულა კაცი მავანი.  
ო, რკინის დრონი  
დამარხულან სინითლეში მიმწუხრის ჟამის.

გაფითრებული მთვარით მოსილი  
ყმანვილქალის  
ოქროს სახე

დაჩნდა ბნელი სახლის კარსელში,  
იქვე - გლესკაცის კარ-მიდამო შემოდგომური.  
ლამის ქარიშხლით გადატეხილი შავი ნაძვები,  
მოდრეკილი მათი სიმტკიცე.  
ო, გული,  
თოვლის სიგრილეში მინავლული მისი ციმციმი.

## ძილი

მე-2 რედაქცია

დანყევლილნო ბნელნო შხამნო  
და თეთრო ძილო!  
ეს უჩვეულოდ უცხო ბალი  
დაბინდულ ხეთა  
აღსავსე არის გველებით და ფარვანებით,  
ობობებით და ღამურებით.  
არაქაურო! დაკარგული შენი ჩრდილი  
მენამულში მიმწუხრის ჟამის,  
ბნელი კორსარი  
მლაშე ზღვაში უბედობისა.  
მიმოეშალნენ ღამის ქობას თეთრი ჩიტები  
ფოლადით ნაგებ  
და ჩაქცეულ ქალაქთა თავზე.

## ავდარი

ველურო მთებო, ამაღლებულო  
მნუხარებავ არნივებისა.

ოქროს ღრუბელი

დაფენია კლდეთა უდაბნოს.

ყოვლისდამთმენი სიმშვიდეა საცნაური სუნთქვაში

ფიჭვთა,

კუპრისფერ კრავთა, უფსკრულის თავზე,

მეყვსეულად სადაც სილურჯე

უცნაურად დადუმებულა,

ულბილესი ზუილი ბაზთა.

ზურმუხტისფერი, ო, ყვავილი -

ო, მდუმარება.

მთის ნაკადულთა ბნელი სულები

გულს ზღაპრულად შეძრავენ და შეაშფოთებენ,

სრული ნყვდიადი,

ხეობას რომ თავს დაატყდება!

გზასაცდენილი

თეთრი ხმები საშიშ ჭიშკრებთან,

მიმორღვეულ ტერასებთან,

ძალმოსილი რისხვა მამათა, გვრინი

დედათა,

ყმანვილკაცის საომარი ოქროს ყიჟინა

და არშობილის

გაუხელელ თვალთა გოდება.

ჰოი, ტკივილო, ცეცხლოვანო გამოხედვავ  
დიადი სულის!  
ცხენების და საზიდრების  
შავ ჯგლეთაში გაბრწყინდება  
საზარელი ელვა ვარდისფრად  
და აჟღერებულ ფიჭვნარში ქრება.  
ხოლო ამაყ თავს  
მიმზიდველი სიგრილე მოსავს,  
მოვარვარე მნუხარება  
გამწყრალი ღმერთის.

ძრწოლავ, შავო და შხამიანო  
გველო, მტვრად იქეც სიპ ქვიანებში!  
მონყდება ცრემლთა  
ნიაღვარი და დაქანდება,  
ქარიშხალი-თანაგრძნობა,  
საცნაური მუქარით სავსე მეხთატეხაში  
თოვლით მოსილ მწვერვალთა ირგვლივ.  
ცეცხლი  
ნათელყოფს დაფლეთილ ღამეს.

## სალამო

მდუმარე ტყეებს  
გარდაცვლილ გმირთა სახეებით  
აღავსებ, მთვარევ;  
შეყვარებულთა მორცხვი ალერსით,  
ხრწნადი კლდეების შემომჯარველ  
სახელოვან დროთა ჩრდილებით  
მიმოავსებ,  
ნამგალა მთვარევ;  
ლურჯად ინათებს ქალაქის მხარე,  
სადაც ცივი და ავბოროტი საცხოვრისი გაუმართავს  
ხრწნამორევნილ გვარს,  
და თეთრ შვილიშვილს  
განუმზადებს უკუნ მომავალს.  
მთვარისშთანმთქმელო, ჰოი, ჩრდილებო,  
სუნთქვა თქვენი ხომ  
მთის ტბის მხოლოდლა  
შიშველ კრისტალს დაენაფება.

## ღამე

მე შენ მოგიძღვნი ამ სიმღერას, ო, ნაპრალო  
პირველყოფილო,

თქვენ, მთებო,  
ღამის ქარიშხლებით თავმოყრილებო;  
მრუმე კოშკებო,  
აღსავსენო ჯოჯოხეთის გამოხედვებით  
და ცეცხლოვანი ცხოველებით  
და უხეში გვიმრით, და ნაძვით,  
ბროლის ყვავილით.  
შენ, უსასრულო ნამებაო,  
ღმერთს რომ ეძიებ,  
შენ, სათნო სულო,  
გამწყრალ ფიჭვნარს და  
ჩანჩქერს სუნთქვით დანაფებულო.

ირგვლივ ოქროსფრად აენტება  
ცეცხლი ღრუბელთა.  
ხოლო შავ კლდეებს  
ქარიშხალი,  
შეშლილი და სიკვდილნასვამი -  
მყინვარის  
ტალღა ულურჯესი -  
ჩამოემხოზა,  
ველს მოედება უძლეველი ზარის ქუხილი:  
ჩირაღდნები და წყევლა-კრულვა,  
ავხორცობის

ბნელი თამაში,  
ქვადქცეული თავი  
ზეცას შეჭიდებია.

## ნაღველი

უძლეველი ხარ, ბნელო პირო  
შინაგანისა, შემოდგომის ღრუბლებისგან  
ნაძერწო სახევ,  
მნუხრიჟამის ოქროს სიმშვიდის;  
მწვანედ კვდომადი მთის მდინარე  
დამსხვრეულ ფიჭვთა  
აჩრდილების სამეუფოში;  
სოფელი,  
ლბილად განლევადი ლეგა ხატებად.

შავი ცხენები ჯირითობენ  
დანისლულ ველზე.  
ჯარისკაცებო!  
ქედიდან, სადაც მზე მიგორავს სულისმლაფავი,  
სისხლი სიცილით ჩაიქცევა -  
უტყვ მუხიანში! ო, მრისხანე ნაღველი  
ჯარის; ელვარე ზუჩი  
ალისფერ შუბლს ზრიალით მოსწყდა.

მოაწევს რარიგ ცივი ღამე შემოდგომისა,  
ვარსკვლავთა ნათლით შემმოსავი  
მამაკაცთა დამსხვრეული ძვლების დამყურე  
მშვიდი მონაზვნის.

## შინ დაბრუნება

მე-2 რედაქცია

უბნელესი წლების სიგრილე,  
ტკივილი და იმედი  
იცავს გიგანტურ ლოდებს,  
უკაცრიელ მთებს,  
შემოდგომის ოქროვანი სუნთქვა,  
ღრუბლები მიმწუხრისა -  
ეს სისუფთავე!

ღურჯი თვალებით მიმოიშვრს  
ბროლის ბავშვობა;  
ბნელ ნაძვნარში  
სიყვარული, იმედი კვალად,  
რომ ცეცხლოვანი ქუთუთოების  
ცვარი უწყვეტად დაეცემა  
მიუძრავ ბალახს!

ო! იქ ბილიკი ოქროვანი,  
ჩაქცევადი თოვლში  
უფსკრულის!  
ღურჯ სიგრილეს  
შეისუნთქავს ღამის ხეობა,  
რწმენა, იმედი!  
მარტოსულო სასაფლაო, სალამი შენდა!

## გვრინი

ძილს და სიკვდილს, გულქვა არწივებს,  
ამ უმთავრესის გარშემო აქვთ ღამეული ბჭობა-გნიასი:  
ადამიანის ოქროს ხატი  
მარადისობის ყინულოვანი ტალღის ძალით  
დასამარდება. შემზარავ რიფებს  
მიემსხვრევა ცეცხლოვანი სხეული და  
ზღვის თავს  
ბნელი ხმის ჩივილი მიმოიქცევა.  
ქარიშხლიანი სევდის დაო, მზერა მიაპყარ,  
ვარსკვლავქვეშეთს  
დაენტქმება მფრთხალი ნავი,  
ღამის უტყვ სახეს.

## გროდეკი

მე-2 რედაქცია

აჟღერდებიან სასიკვდილო იარაღის ძალით მიმწუხრზე  
შემოდგომის ტყეები და ოქროს ველები  
და ლურჯი ტბები, მზე რომელთა თავზე  
მცხრალად გადაგორდება; ღამე ჩაიკრავს  
მომაკვდავ მებრძოლთ, ხაფ ღრიალს  
მათი დამსხვრეული ბაგეებისა.

მაგრამ ძენნათა ფესვებში წყნარად გროვდება  
ნითელ ღრუბელთა გუნდი, მასში გამწყრალი ღმერთი  
სახლობს

დაღვრილი სისხლი, სიგრილე მთვარის;  
კუპრისფერ ხრწნაში იძირება ყოველი ქუჩა.  
ღამეჟამის და ვარსკვლავების ოქროს ტოტნარქვეშ  
მიმოირწევა დის აჩრდილი უტყვი ტყის წიაღ,  
მისასალმებლად სისხლად დენილ თავებთან და გმირთა  
სულებთან;

და წყნარად ჟღერენ ლერწამში ბნელი ფლეიტები  
შემოდგომისა.

ო, სიამაყით აღსავსე გლოვა! მათი ბრინჯაოს  
საკურთხევლები!

სულის მხურვალე ცეცხლი კვებავს დღეს ძლიერ  
ტკივილს,

არშობილ ბადიშთ.



# ვენიციანი

1886-1966



## შტრასბურგული კონფიგურაცია

1

მე ბუნებაში დავიბადე. მე შტრასბურგში დავიბადე. მე ლრუბელში დავიბადე. მე ტუმბოში დავიბადე. მე ბოლოკაბაში დავიბადე.

ოთხი ბუნება მაქვს. ორი ნივთი მაქვს. ხუთი გრძნობა მაქვს. გრძნობა უნივთობაა. ბუნება უაზრობაა. ადგილი და ბუნებისთვის და. ბუნება თეთრი არწივია. ადგილი და და ბუნებისთვის დადა.

მე ხუთლილიან წიგნს ვძერწავ. ხელოვნების კაფვა შავი ჭკუასუსტობაა.

დადა ციურიხში დაიბადა. ციურიხს რომ შტრასბურგი გამოვაკლოთ დარჩება 1916.

2

ნიმფა სიცოცხლის კუთვნილებაა.

გენერალს ბუნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

პირამიდულ ტუმბოს აქვს ოთხი დიდი ორი ხვრელი. პირამიდული ტუმბო ბუნებაში შავ ფრთოსნებს ტუმბავს. მე ვტუმბავ ბუნებას. შენ ტუმბავ ხელოვნებას.

შტრასბურგი ღრუბელზე მდებარეობს.

ხუთი ცოცხი წევს. ოთხი ცოცხი ზის. ორი ცოცხი დგას.

იცი ბუნება ღილია. იცი ბუნება შავი ხვრელია. იცი ხელოვნება შავი ხვრელია. ყველა ხვრელში ღრუბელია. გამომიძერწე ხვრელში ხვრელი და ამ ხვრელში ორი ხვრელი და თითოეულ ამ ორ ხვრელში ოთხი ხვრელი და თითოეულ ამ ოთხ ხვრელში ხუთი ხვრელი.

სიხარულთა შორის ღრუბლის ტუმბო ბოლოკაბიან ღრუბლებს ტუმბავს. ღრუბლის ტუმბო ტუმბავს ნიმფური ხელოვნების ბოლოკაბის საპირისპიროდ.

3

მე შტრასბურგში დავიბადე.

მე ლექსების ხუთი წიგნი გამოვეცი. ამ წიგნთა სახელებია სამი ფრინველი - ღრუბლების ტუმბო - პირამიდების ბოლოკაბა - თეთრცოდნობ შავტუხობ - ოთხი დიდი ორი ხვრელი ოთხი ცოცხი.

1916-ში ციურისში სიხარულთა შორის დადა ვმოზე. დადა არის უაზრობისთვის ეს არ ნიშნავს სისულელეს. დადა უაზროა როგორც ბუნება და სიცოცხლე. დადა არის ბუნებისთვის და ხელოვნების საპირისპიროდ. დადას ისე როგორც ბუნებას სურს ყოველ ნივთს მისი არსებითი ადგილი მიანიჭოს.

გარდა ამისა ნაწილობრივ მჯდომარე ნაწილობრივ ფეხზემდგომი ქანდაკებას ვეკუთვნი. ვერავინ დამიმტკიცებს რომ ოდესმე ერთი ნიმფა ერთი გენერალი ან ერთი არწივი მაინც გამომიძერწავს.

4

იცი ვერავინ დამიმტკიცებს რომ მე არ ვარ არწივი. არწივი სიცოცხლეს ეკუთვნის. იცი არწივს ხუთი სიცოცხლე და ოთხი ბუნება აქვს. იცი არწივს გარდა ამისა სახელწოდებაც აქვს. შენ შავტუხობ გენერალს ხუთი სახელწოდება აქვს ხუთი ღილი თავის ორ გრძნობაზე და ოთხი ხვრელი თავის სიხარულებში. მაგრამ ბუნება და მე სიხარულთა და შობილ ნივთთა წინააღმდეგი ვართ. ბუნება წევს ზის თუ დგას სიცოცხლეს ეკუთვნის.

თეთრბოლოკაბიანი შავი ღრუბელი სიხარულთა შორის ფრინველნივთს ბადებს.

\* \* \*

ვაი ჩვენი კეთილი კასპარი მოკვდა.

ვინ უნდა ატაროს ამის მერე შავი ხუმრობით ღრუბლის კულულში გადამალული მობრდღვიალე დროშა.

ვინ დაფქვავს ამის მერე ყავას ძველ კასრში.

ვინ დაამზადებს ამის მერე გაქვავებული პარკისგან იდილიურ შველს.

ვინ აურდაურევს ამის მერე გემებს ზღვაში მისალმებაში ქოლგაში ხოლო ქარებს მეფუტკრის ძახილში ოზონის თითისტარში თქვენო უდიდებულესობავ-ში.

ვაი ვაი ვაი ჩვენი კეთილი კასპარი მოკვდა. ცაონმიდავ კასპარი მოკვდა.

მისი სახელი როცა ჩაესმით ზართა ბელღებში მწუხარებისგან გულსაკლავად გრუხუნებენ ჩალის გემები. ამიტომაც განვაგრძობ მოთქმით მისი გვარის გამეორებას კასპარ კასპარ.

რატომ დაგვტოვე. რა სახით მოგზაურობს ახლა შენი მშვენიერი დიადი სული. ვარსკვლავად იქეც თუ მხურვალე ქარიშხალში წყლის ჯაჭვად ან იქნებ შავი სინათლის ჯიქნად ან კლდოვანი არსის მკვნესარე დაფდაფის გამჭვირვალე აგურად.

ახლა კი შრება ჩვენი ქოჩორი და ფეხისგულები და კოცონი აქვთ შენთებული ნახევრადდანახშირებულ ფერიებს.

მზის უკან ახლა შავი კეგელბანი ქუხს და აღარავინ ამუშავებს კომპასებს და ურიკის თვლებს.

ვინ მიუჯდება ამის მერე ფოსფორიზებულ ვირთხას-  
თან ერთად სადილად მარტოსულ ფეხშიშველ მაგიდას.

ვინ განდევნის ამის მერე სიროკოს ეშმაკს როცა მას  
ცხენების შეცდენა სურს.

ვინ განგვიმარტავს ამის მერე მონოგრამებს ვარსკვ-  
ლავეებზე.

მისი ბიუსტი დაამშვენებს ჭემმარიტად კეთილშობილ  
ადამიანთა ბუხრებს მაგრამ ეს არ არის თავის ქალასთვის  
ნუგეში და საყნოსი თუთუნი.

\* \* \*

ვარსკვლავებიდან შავი ქარები ჯაჭვებივით ჩამოშვებულან.

ბარჯები შავად გალაქულ კედლებს უტევენ.

გავარვარებულან ქალაქთა გეგმები.

შვიდ ბადახშზე მიმორბიან სახლები ან ციბრუტივით ბრუნავენ ბროლებზე.

ფართო ეზოებში ჭექა-ქუხილი მიმოქრის და მწველავი დედოფლები თავიანთი სკამებიდან ყირავდებიან.

მინის ყელთაგან მოქირავნეები და მოქირავნეთაგან მოქირავნეები ამოდიან თავიანთი გაღვანიზებული ობობებით.

სატყუარებს მინის ჩონჩხუკა და ქაოსის მსგავსი ხალხი მოჰყვება.

ვინ ჩაატარებს პანანინა ჩვენს კუბოებს ცივი ცისკრის ვარსკვლავქვეშეთში.

\* \* \*

დიდგვაროვანი ქალბატონი საზეიმოდ ტუმბავს ღრუბლებს გათრიმლული ტყავისა და ქვის ტომრებში.

გიგანტური ამწეები უხმოდ ეწევიან მორაკრაკე ტოროლებს ცისკენ.

ბამბის თოჯინებით გამოტენილა ქვიშის კოშკები.

რაბებში ამონიტები დისკოები და დოლაბებია გაგუჯული.

გემებს ჰანსი და გრეტა ჰქვიათ და ცურვას ისე განაგრძობენ რომ ვერაფერს ხვდებიან.

დრაკონი დალდასმულია ნარნერით კუნიგუნდულა და თოკზეა გამობმული.

ქალაქებს ფეხები მოხერხილი აქვთ სამრეკლოებისთვის კი მხოლოდ სარდაფებში გადაადგილების სრული თავისუფლება მიუნიჭებიათ ამიტომაც არ გვევალება ბრწყყალების რქების და ფლუგერების გასუფთავება.

\* \* \*

გადაყლაპული ბიჭუნები ჯადოსნურ ბუკს აჟღერებენ.

ოქროს ფეხსაცმლიანი ანგელოზები წითელი ქვეებით სავსე ტომრებს აცარიელებენ.

უკვე ისახება ანძები და თანავარსკვლავედები.

მონყალების დები საჰაერო ციხე-დარბაზთა საფულეთა მიგდებულ ბავშვთა ოხშივრიან ძროხის ნაჭერთა დარახტულ კურდღელთა და ახლად გატიკინებულ ლომთა ნაკვალევებს მიუთითებენ.

ცეცხლოვან მანაზე ამხედრებული ფრინველები ზეცას სერავენ.

ცვილისცხვირა ვარსკვლავები თაიგულებს აცემინებენ.

კაცი და თავგი დამთვრალან და რბილ თითებზე მიცურავენ.

მოცახცახე არყის ხეების თავზე აღმოდებული ლომები მიმოქრიან.

ვისაც კუდი აქვს ის ამ კუდზე ფარანს იმაგრებს. მთელი ღამე თავდაყირა დგანან და დრაკონზე ამხედრებული ცეკვავენ. ლატანზე ცოცვა და სპორტული ჭიდაობა ღამეს ვაუ-ვაუთი ავსებს.

\* \* \*

რკინის ტოლჩებიდან მოხარხარე მხეცები ქაფდები-  
ან.

ღრუბლის საგორავები მხეცებს მათივე ძვალ-რბილი-  
დან ერეკებიან.

ქვის ხანის ქვებზე ფლოქვები შიშვლად დამდგარან  
და გატრუნულან ტოტებთან და თევზის ფხებთან.

ირმის რქები თოვლის გუნდებს ჩხვერენ.

მეფეები სკამებს მთებისკენ მიაჭენებენ და დეკემბრის  
ბუკით ასე ქადაგებენ: დაუშვით ჩალის ხიდები მოიტანეთ  
რკინის ნერილები უხმოდ და კარგად გასაგონად.

ყინულის ბოთლში გვრიტები იყინებიან.

\* \* \*

ფოთლოვან ტყეებში ავარიაში მოხვედრილ ფრინველთა ბენვახერხები ჟღურტულებენ

სინგურისფერი კათხის ცხოველები ერთმანეთში ჩინური კოლოფებივით ლაგდებიან

მარიონეტი ვარსკვლავები მარიონეტი ყვავილები და მარიონეტი კაცუნები სამართავ ძაფებს წყვეტენ

კარტეზიანელი მყვინთავები თავიანთი ტარსიკონიანი კარეტებით მიქრიან მარილსახდელებში რომლებიც ლუდოვიკო XIV-ის ბალებზე უფრო მშვენიერია

ნიშნულიან ჭოკს ნელ-ნელა მალლა მივუყვები

ჩემს კვერცხებს საგზაო მანძილის აღმნიშვნელი ქვის სვეტების ხვრელებში ვათავსებ

## წამმზომი

მე რომ როცა  
ერთი ორი  
მე რომ როცა  
სამი ოთხი  
მე რომ როცა  
რომელია  
მე რომ როცა  
ნიკ-ნიკ-ნიკ-ნიკ  
მე რომ როცა  
ხუთი ექვსი  
მე რომ როცა  
შვიდი და რვა  
მე რომ როცა  
შეჩერდა და  
მე რომ როცა  
ამოძრავდა  
მე რომ როცა  
ცხრა და ათი  
მე რომ როცა  
თერთმეტი და  
აი უკვე  
თორმეტია.

## საჭიროება

დაიძინე უმოკლესო შენ პანიავ ძინ ძინ ძინ  
ნაბორძიკდა მამრობითი  
ნითელია მამრობითი  
ნითელია შენ და შენ  
რა თქმა უნდა მამლაყინნაც  
რა თქმა უნდა ყველა ვერძიც  
რა თქმა უნდა ვირის ძეხვიც

ვაუ ვაუ გლირვირრლი ცირ  
ნაბორძიკდა საშუალო  
ნითელია საშუალო  
ნითელია შენ და შენ  
რა თქმა უნდა დადას ცხენიც  
რა თქმა უნდა დადას სახლიც  
რა თქმა უნდა ჩაიდანიც

დაიძინე უმოკლესო შენ პანიავ ძინ ძინ ძინ  
ნაბორძიკდა მდედრობითი  
ნითელია მდედრობითი  
ნითელია შენ და შენ  
რა თქმა უნდა ფურირემიც  
რა თქმა უნდა ძუც და ნეზვიც  
რა თქმა უნდა ჩეჩმის ყელიც

## დაბნეული ანგელოზების საქმენი და უხამსობანი

დეზერტირი ანგელოზები თოვლივით ბზუიან  
კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ სამყაროში  
მოელვარენი ერთმანეთში სიგრძივ ძვრებიან  
ისე როგორც უძირო კასრში  
სახერხ ხარისხზე ნაპერწკლებს აკვესებენ  
ათავისუფლებენ მიჯაჭვულ ყვავილებს  
და ქვებს ზღვაში გადაუძახებენ  
ქვები მათ ფილტვებს ისეთი სასონარკვეთით ებლაუჭ-  
ებიან

როგორც დასაძირად განწირული ბგერები მწვანე შე-  
ჯამების ფოთლებს

საგალობელთა კრებულებისგან აგებული ბარიკადებ-  
ის უკან ანგელოზები ყვირიან "კოზირი"

ხელიდან იძრობენ ხელთათმანებს  
ოთხფეხა სითხეებზე იძინებენ  
და წრიულ სულისსანმენდად გარდაისახებიან  
რომელიც უსასრულობაზე ოდნავ მაღლაა დაკიდებ-  
ული

და ათეისტურ სცენისთავზე უსახელო სხეულად წარ-  
მოსდგება

ასეთია ერთ წელს საქმის ვითარება  
მეორე წელს დროშების მონაცვლეობა წყდება  
შეძახილი კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ სამყარო-  
ში

მხოლოდ ფხრინფხრენის რიტუალის აღსრულებისას  
გაისმის

მაგალითად როცა დროით სავსე ქოთანს მსოფლიოს  
ქურიდან გადმოდგამენ  
მესამე წელს ახალი სამყარო უკვე ძველია  
ანგელოზები ფრთებს ინომრავენ  
და ტყავის ლარნაკის მსგავსი მოხეტიალე ქარებივ-  
ით აქროლსურნელება მონდომებიან  
თუმცა ამ სურნელს რალაც უფრო მძაფრი სურნელი  
ისე მძლავრად ახშობს  
რომ ანგელოზები ამ დროს ორ თანაბრად დიდი ზომ-  
ის ცივ პორციად მიმოიშლებიან  
შავ ფერს აღიარებენ  
სახელითა-ს ამინ-ად აქცევენ  
გალობის დასაწყისს კი სიმღერის დასასრულად  
და ეს მაშინ როცა განუბანელ ორიგინალში  
ბოლოსდაბოლოს ანგელოზები ვარსკვლავთა ეტლის  
ხელნაში ჩაებმებიან  
და ქიმერებთან ერთად სამუდამოდ უჩინარდებიან

## ვარდები მიაბიჯებენ ფაიფურის ქუჩებზე

ზღაპრის კიდეზე ღამე ვარდებს იქსოვს.  
იშლება თაიგული ყარყატთა ნაყოფთა ფარაონთა არ-  
ფათა.

სიკვდილი თავის კაპკაპა თაიგულს სიცარიელის ფეს-  
ვებქვეშ დაატარებს.

საკვამურებზე ყარყატები კაპკაპებენ.

ღამე ჩალით გამოტენილი ზღაპარია.

ვარდები მიაბიჯებენ ფაიფურის ქუჩებზე თავიანთი  
წლების გორგლისგან ვარსკვლავს ვარსკვლავზე იქსოვენ.

ვარსკვლავთა შორის ნაყოფს სძინავს.

ცარიელი ქვეყნები ჩალით გამოტენილი წლები მოცი-  
ნარი ჩემოდნები ცეკვავენ.

ყარყატები ფარაონებს ნთქავენ.

საკვამურებიდან ვარდები იზრდებიან.

სიკვდილი ერთმანეთის მიყოლებით ნთქავს წელიწა-  
დებს.

ფარაონები ნთქავენ ყარყატებს.

ნაყოფთა შორის ვარსკვლავს სძინავს. ზოგჯერ ძილ-  
ში ნაზად იცინის როგორც ფაიფურის აფრა.

ჭრიალნი ზღაპარნი ქსოვანი ქუჩანი შეფუთულნი ყა-  
რყატნი ცეკვავენ.

ვარდისანი არიან ფესვნი ფარაონთა.

ყარყატები ალაგებენ თავიანთ საკვამურებს თავიანთ  
ჩემოდნებში და ფარაონთა ქვეყანაში მიფრინავენ.

## ადამიანი ფლეიტისტია

ადამიანი ფლეიტისტია.

ადამიანი ქნარზე დამკვრელია.

ადამიანი ტაძრის მშენებელია.

მაგრამ ადამიანი სიკვდილის მომტანი ხმლის მჭედელიც არის.

საქმის როგორი ცოდნით არის აღნუსხული ჰომეროსის სიმღერებში ხოცვა-ჟლეტის შედეგები.

ადამიანი მშვენიერებით გაბრუებული ობობაა.

ადამიანი დაუნდობელი მგელია, რომელიც გუგუს იძახის.

ადამიანი მშვილდოსანია, რომელიც ფუტკარას კლავს, უიმედოდ გონებაშეზღუდული მკვლეელია, ატომსოკოების მომყვანი მეზაღეა, თავზე რომ მამაპაპური ჩაჩი ახურავს და ყველაფერს, რისთვისაც დღემდე მიუღწევია, მიმღწევებითურთ, სამუდამო ჩრდილში გასარიყად წირავს.

ადამიანი ვაუვაუს მყეფარი მოსამართლეა, არასაკმაო საფუძვლის ოთხმაგი ფესვია, რომლის კენწეროზეც ურიცხვი პანია ფლუგერია დამაგრებული, ბიძია თომას ქობია, კუთვნილ ფეხებზე მოჯირითე საკონცერტო როიალია.

მაგრამ ადამიანი, ყოვლის უწინარეს, განსახიერებაა უზნეო საქმის, რომელმაც მას, როგორც ჩანს, ფიქრი და ლოცვა დააფინყა. ადამიანის დანახვისთანავე კისრისტებით გაქცევა და დედამინის უღრმეს, უბნელეს ნაპრალებში გადახვეწა სჯობს.

ადამიანი მიმზიდველად მოჩარჩოებული თავისი რვა ლიობიდან გამუდმებით უშვებს ცისფერ ორთქლს, ყავისფერ ბურუსს, რუხ კვამლს.

უგუნური, უსასტიკესი, ცოფით სავსეა მისი სწრაფვის მიზანი. ადამიანს ბუნებრივი ჰგონია არაბუნებრივი მოთხოვნილებები. რაკი ფრთები არ გააჩნია, სურს ფრთები ჰქონდეს და იფრინოს. ფრთები მას განსაკუთრებით იზიდავს. თავი ღმერთად წარმოუდგენია, ტრაკქვეშ ამოდებული ერთი კასრი ბენზინის იმედად ცაში როცა მიჰქრის.

მაგრამ ადამიანი სულჩადგმული კვირტიც არის.

მაგრამ ადამიანი პოეტიც არის.

მაგრამ ადამიანი წმინდანიც არის, ცისარტყელასფერებიანი ანგელოზი.

## სიბნელე ხდება უფრო ბნელი

უფრო და უფრო ბნელი ხდება მიწის სიბნელე.  
სწორედ სიბნელები მრავლდებიან პარაზიტისებრი  
ხმაურადამიანები  
ბომბმზარეულები  
მანქანსაყვარლები  
კენტავრები, ნახევრად ადამიანი ნახევრად მანქანა  
ფეხბურთის ბურთის თავიანი ადამიანები  
ადამიანები რომლებსაც აღარაფერი აკავშირებთ ოდ-  
ინდელ გულთან  
ადამიანები, რომლებიც თავდაყირა დგანან და ფიქ-  
რობენ, რომ ყველა სხვაც თავდაყირა დგას და დადის.  
რაც უფრო მოჩვენებითად უაზროდ მრისხანებენ, ხმა-  
ურობენ, ფეთქდებიან, უმავთულოდ ვრცელდებიან, განი-  
ბნევიან, ზებგერიითი სიჩქარით ფრენენ,  
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მიწაზე.  
რაც უფრო მძლავრად ამოიქმენენ ადამიანები პროგ-  
რესის ფოლადოვანი კოშკებიდან,  
რაც უფრო აბეტონებენ მთებს და ველებს ადამიანე-  
ბი,  
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მიწაზე.  
რაც უფრო მონდომებით ფუთფუთებენ ადამიანები  
ღმერთის სამოსის ნაკეცებში,  
რაც უფრო ზარატუსტრობენ და გაურიშანკარობენ,  
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მიწაზე.

## ვაკე

ვაკეზე რომელიც ცარიელ ჰორიზონტს ერწყმოდა სკამზე ვიჯექი.

ვაკე ბეჯითად იყო მოასფალტებული.

ჩემსა და სკამს გარდა არაფერი უკეთ თითქმის არაფერი მოიხილებოდა.

ცა იყო უცვლელად მტრედისფერი.

მზე არ მატებდა მას სიცოცხლეს.

ამოუხსნელი გონებისმიერი ნათელი ასხივოსნებდა უკიდევანო ვაკეს.

სხვა სამყაროდან ხელოვნურად პროექცირდება მეთქი ეს მარადი დღე ასე მეგონა.

არც მეძინებოდა არც მშობოდა არც მწყუროდა არც მცხელოდა არც მციოდა.

რაკი ვაკეზე არაფერი ხდებოდა და არაფერი იცვლებოდა

დრო იყო მხოლოდ მოჩვენებითი.

მცირედი დრო მხოლოდ ჩემში ცოცხლობდა ისევ უმთავრესად სკამის წყალობით.

სწორედ ამ სკამზე ყურადღების შედეგი იყო მთლად რომ ჯერაც არ დამეკარგა წარსულის გრძნობა.

დროდადრო ისე ვახტებოდი სკამს როგორ ცხენი.

ხან პირდაპირ გავრბოდი და ხან სკამს ირგვლივ ჩორ-თით ვუვლიდი.

ვფიქრობ ამ საქმეს ვახერხებდი

და ან სულაც ვერ ვახერხებდი

სივრცეში ხომ ვერაფერი მოვიხილე

რასთან მიმართებითაც ჩემი მოძრაობის დადგენას  
შევძლებდი.

ვიჯექი სკამზე ვფიქრობდი დამწუხრებული მაგრამ  
არა სასონარკვეთილი

იმის გამო რომ სამყაროს გული ასეთ შავ ნათელს ასხ-  
ივებდა.

## ტყვიის ბრტყელი ღრუბელი

კაცი

რომელიც ბაყაყს ჰგავს

ზურგზე ახტება

მეორე კაცს

რომელიც ბაყაყს ჰგავს.

გოგონა

რომელიც მტრედს ჰგავს

ნატიფი კლანჭიანი თითებით

ცის ჯიქნიდან

ჯამში მცირეოდენ ცისფერ რძეს წველის.

ადამიანები

რომლებიც ბოცვრებს ჰგვანან

მოედანზე სკუპ-სკუპით დახტიან.

რა ხანია უდარაჯებდა

ტყვიის ბრტყელი ღრუბელი

ამ ბოცვრის მსგავს ადამიანებს.

ფრთხილად და სწრაფად ეშვება და

ჭყლეტს ბოცვრის მსგავს ადამიანებს.

როცა ღრუბელი ცას უბრუნდება

ბოცვრის მსგავსი ადამიანები მოედანზე

წვანან ბრტყლად და სუფთად

და სულ მალე შრებიან მზეზე.

ისინი გასრესილ ყვავილებს ჰგვანან.

მიმინოს მსგავსი

ფხიანი ვაჭარი

ჭირისუფლებისგან

ყიდულობს გაბრტყელებულ ადამიანებს  
და დიდსულოვნად იხდის სოლიდურ თანხას  
და ასეთივე დიდსულოვნებით მაშინვე ყიდის მათ  
უმნიშვნელო საფასურად  
ოქროს რასის წარმომადგენელ მოგზაურზე  
რომელიც ნიანგს ჰგავს.

## თოჯინები

ჩემი თავი თოვლის გუნდაა.

ჩემი ხელები და ფეხები შავი სველი ტოტებია.

ჩემი გული კოცნის ყლუპია.

მე სანყალი და ნახევრად გალეული

მაგრამ მაინც ძლიერ საყვარელი ვარ.

•

ზოგჯერ თავი ადამიანები გვგონია და არა თოჯინე-  
ბი ისეთი საბრალოა ჩვენი სულიერი მდგომარეობა.

ყალბ ანმყოშია დაკიდებული გახუნებული ჩვენი ოცნ-  
ებები.

დღის ცხადი მუსიკა ჩვენს თვალნინ ცამტვერდება.

ვარსკვლავების მთელი ფარაც ხომ ავისმომასწავებლ-  
ად დაგვნათის.

•

მე სასიკვდილო თოჯინა ვარ.

ძვალღვით მაგარი ვარ.

ვიდრე ადამიანი მოკვდებოდეს

ჩემს წვალებას ბოლო არ უჩანს.

•

ისინი მწოვდნენ

სახსრებს მაგლეჯდნენ

და მკოცნიდნენ და ისევ მწოვდნენ

და ჩემით მაიმუნობანას თამაშობდნენ.

ჩემი კოცნები ნაცარტუტად იქცა.  
ჩაქრნენ ჩემი ყვავილნარები.  
ერთმანეთის მიყოლებით დადუმდნენ ჩემი წყაროე-  
ბი.

აი უკვე გამოღლილი გახუნებული და ცარიელი ვარ  
ცარიელი როგორც გამოცლილი კათხა.  
დედამინაც გამოცლილი კათხაა და მეტი არაფერი.

•

მე არც დიდი ვარ და არც პატარა.  
მე გაურშემოუნერლობიდან მოვდივარ.  
იქ არ სურნელებენ ბაგეები.  
იქ არ ციმციმებენ ნამდვილი ვარსკვლავები  
ტკბილ ზმანებაში.  
მე ყალბი ცის ქვეშ  
შუშის ხილეულით ვთამაშობ  
და ფრთხილად ვცდილობ ორმოში მათ ჩაყრას.

•

როცა ისინი ჩვენით თამაშობენ  
ბოროტი თამაშისთვის სასიამოვნო იერს ვირგებთ.  
ჩვენ გვეზიზღება მათი ხვევნა-კოცნა.  
ჩვენ გვეზიზღება მათი ალერსი და ხვნეშა.  
ვინ გაგვათავისუფლებს ამ საზიზღარი არსებებისგან  
რომლებსაც თამაშის არაფერი გაეგებათ.

•

მე არ ვარ ელვა.

მე თოჯინა ვარ.  
მე არ ვარ ცეცხლი.  
მე თოჯინა ვარ.  
მაგრამ უწყვეტად ბრიალი და ელვარება მსურს.  
სულიც უთუოდ დამამშვენებდა.  
რატომ არ ვარ სიმღერა?  
რატომ არ მაქვს ფრთები?  
ნუთუ არვის სურს ვერცხლისფერი  
შლეიფი მაინც მისახსოვროს?  
ვერცხლისფერი შლეიფი  
ვერცხლისფერი ნაკადული  
ჩემს უკან რომ მიჩუხჩუხებს.  
არც ფაიფურის ქუდი იქნებოდა  
ჩემი თავისთვის ზედმეტი.  
ის ხომ ისევე საჭიროა  
როგორც ჯვარი სამრეკლოს თავზე.  
მე ღარიბი ვარ.  
მე შიშველი ვარ.  
არადა რას არ მპირდებოდნენ.

.

მე მომღერალი თოჯინა ვარ.  
ვმღერი და დავფრენ.

.

მე ადამიანიხორცშესხმული თოჯინა ვარ  
კაციჭამია ბატონებისთვის.  
ძალღონეს არ ვიშურებ

მათი ბობოქარი მგლური მადის დასაცხრობად.

•

მე ცომის თოჯინა ვარ.

მაგრამ მე ჩემს ცომს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

ჩემი თვალები გამხმარი ჩამიჩის მარცვლებია.

არ ვიცი როცა გამოვცხვები

ჩემგან ხეირი თუ იქნება.

## ადამიანები

რუხად შეღებილი თავმდაბალი სკამადამიანები  
რომლებსაც არ სურთ სხვა რამედ ყოფნა  
თუ არა სკამად რომელზეც სხვები სხდებიან.

•  
ღრუბელადამიანები რომლებიც თავს თვითვე იშობენ.

•  
უჭიპო არა-ადამიანები რომლებსაც გაუმჯობესება  
მონდომებიათ  
და ბრმებივით ფრთხილად  
ისინჯავენ ადამიანის საჭიპე ადგილს.

•  
ხვრელადამიანები რომლებშიც ლარივით სწორი  
გზა მიდის პროგრესული ჯოჯოხეთისკენ.  
ხვრელადამიანები რომლებიც ფიჭას აწარმოებენ  
მაგრამ ცოტა თაფლს.

•  
თეთრი აუნერელი ძაფისგან შემდგარი  
გრძელი გრძელი წვრილი ძაფადამიანები  
კოჭზე რომელთა დახვევა და  
შარვლის ჯიბით გარება მოსახერხებელია.

- ადამიანები რომლებსაც ისეთი შეგრძნება აქვთ რომ მალე ქვები დამნიფდებიან.

- ადამიანები რომლებიც ფიქრობენ რომ აზრი არა აქვს ორ წინა ფეხთან ერთად უკან კიდევ ორი ფეხი გამოისხან და რომ უფსკრულში გადასახტომად ერთადერთი ფეხიც საკმარისია.

- მაჩვენებელადამიანები რომლებიც კედელზე საჭიროებისამებრ მიმაგრებულები მაშინვე ისარივით ბრუნვას იწყებენ კუკუკუკუ კუკუკუკ-ს იძახიან და დროს აჩვენებენ.

- ადამიანები რომლებიც სიკვდილის მერე მანათობელი მზეები ხდებიან.

- ადამიანები რომლებიც არიან ზღვა რომელიც თაიგულებით კამათელს აგორებს.

- ადამიანები რომლებიც ნაზად მანათობელი კვერცხ-ადქცეული მთვარეები არიან.

- ადამიანები რომლებიც არაბული ერთიანივით ადიან მატარებელში იქიდან კი ჩამოდიან რომაული ერთიანივით.

- ადამიანები თავიანთ თავს ეუბნებიან:  
განუწყვეტლივ დავრგოთ და დავრგოთ  
სულერთია ქოლგები იქნება თუ პოტიომკინის ხიშტე-  
ბი  
ჩეხური თუ ესპანური სოფლების უკან  
მძვინვარების გამომწვევი.  
სჯობს ცივი საზღვრების დანესება.  
სჯობს სანამ არსებობს  
პერიდრომი არ მივატოვოთ.

- ადამიანები რომლებიც კენჭებს აცხიკინებენ.

- კენტავრადამიანები ნახევრადადამიანი ნახევრად-მანქანა.

•  
ჭორიკანა ადამიანები რომლებიც გაუთავებლად ლაყ-  
ბობენ.

•  
ადამიანები რომლებიც  
საინტერესოს ვერაფერს ხედავენ პირველმიზეზში  
და ურჩევნიათ ამ ცხოვრების დინებას მიჰყვნენ  
ხოლო ცხვირნაგვრილ მათ სახეზე  
სამი ერთმანეთზე მკაცრად დალაგებული და მოვლი-  
ლი  
ჰერალდიკურად სტილიზებული უღვაში  
ყოველთვის ბეჯითად ივარცხნება იქანდება და ლაკ-  
ით იფარება.

•  
კატისთავიანი ადამიანი  
კატის უჩვეულოდ დიდთავიანი ადამიანი  
კნავილით ამოხტება  
შავმწვანე ჭაობიდან  
და გაუთავებლად მოთქვამს  
ამ დროს კი მისი ხახა შემაშფოთებლად ფართოდ ილ-  
ება.  
მრავალი შიშველი არსება იხრჩობა მის ირგვლივ  
ისინი მწვანე შლამიან წყალში  
სასონარკვეთილი იქნევენ ხელებს.  
ჩანს საგანგებოდ წყალში დასახრჩობად  
გაშიშვლებულან

უკანასკნელ სამოსამდე.  
გრძელი თრევადი კუდით აღჭურვილი  
უკანალი კი  
წყალზე ისე დააბიჯებს  
როგორც ჩვენ მიწის ზედაპირზე.  
უკვე ჰაერში მიმოცურავს თევზების გუნდი  
ხოლო ფრინველთა გუნდი ღრმა წყალში ფრენს.  
შავმწვანე ნაპრალებიდან და ხახებიდან ორთქლი ამ-  
ოდის.

დროდადრო ერთი ბუჩქიდან მეორე ბუჩქისკენ  
აკვივლებული შიშველი ქალი გარბის.  
გააუპატიურეს  
თუ კივილით ლამობს  
თავისი გააუპატიურების  
სურვილის გამოთქმას?  
რაკი სიბნელე ძლიერდება  
კლანჭებში ჩირაღდანმომარჯვებული დიდი ფრინვე-  
ლები ჩნდებიან  
ლანდშაფტი რომ ოდნავ მაინც გაანათონ.  
დაპატიჟებული სტუმრები ერთმანეთს ეკითხებიან  
სად მოვხვდით  
და რას ნიშნავს ეს ყველაფერიო.  
უფრო და უფრო ბნელდება ჰაერი.  
ჰაერში მატულობს თევზების გუნდი.  
წყალი პირიქით უფრო ნათდება  
მიუხედავად იმისა რომ ფრინველების გუნდი  
წყლის სიღრმეში სულ უფრო მრავლდება.

•  
ადამიანს სურს იფილოსოფოსოს  
მაგრამ ჩანგალი ეუბნება: ან შენ და ან მე.  
არც ადამიანია ცუდი ოპონენტი.  
იგი მოხერხებულად უსხლტება ჩანგალს.  
ჩანგალი კი მაინც ახერხებს  
დიდი რკალით  
თავის თავზე მოთ მის მოსროლას.  
ადამიანი თეფშების კოლონის პირისპირ მოადენს  
ზღართანს.  
თეფშები ნამსხვრევებად ქცევამდე ხარხარებენ.  
ადამიანი წამოხტება  
და ყლაპავს ჩანგალს.  
აი მაშინ კი მისი თვალები  
შუშის ღილებად იქცევიან  
და თავიდან ცვივიან.  
ბავშვები  
რომლებსაც არც ადამიანები ადარდებთ  
და არც ჩანგლები  
ამ თვალებს  
სათამაშო კენჭებივით მაღავენ ჯიბეში.

## თაგვები და კატები

კატისთავიანი თაგვები  
და თაგვისტანიანი კატები.

რუხი ღრუბლის დიდი თაგვები.

კატა რომელსაც კუდად ეზრდება  
ცოცხალი თევზი  
და ჯერ ბოლომდე არ გაზრდია  
ხოლო კატა მას უკვე სანსლავს  
მაგრამ თევზი ისევ და ისევ  
ზრდას განაგრძობს უმაღლ ხელახლა.

კატა რომლის შუბლზეც  
ბრილიანტის კოცნებით განყოფილი დიადემა ბრწყინავს  
უფსკრულის  
მღელვარე მკერდზე ჩამომჯდარა.

კატეების თვალეზი ელვარედ  
ელავენ.

კატები რომელთაც  
ეტყობათ  
ერთი მხრივ ომი სწყურიათ  
მეორე მხრივ კი კარგად ხედავენ  
რომ უფრო მომგებანია

გაგუჯული ტრომბონებით  
სავაჭროდ მორჩილად ხეტიალი.

მოედანზე  
თავისტანიანი კატები ცეკვავენ  
კატისტანიანი თავების  
დაკრულზე.

## სად

სად არიან ოცნებები?

ბროლის გემებზე.

სად არიან ბროლის გემები?

პირველ-იების ქვეყანაში.

სად არის პირველი იების ქვეყანა?

მეოცნებეთა გულებში.

## მომზირალი

საუცხოო პროფესია აქვს  
მომზირალს  
კაცს რომელიც მზერაზეა  
თავდავინწყებით შეყვარებული.  
მეზღვაურის პროფესია  
ანუ იმ კაცის პროფესია ვინც ზღვას მიაპობს  
ზღვაოსნის პროფესია  
დასაწუნი სულაც არ არის  
მაგრამ მომზირლისას  
ცხრა ზღვა აშორებს.  
მომზირალი თავისი მზერით  
არა მარტო ზღვას მიაპობს  
არამედ ჰაერსაც მიწასაც ცეცხლსაც.  
მომზირლის მზერა მზერებს აპობს  
იგი ცაში ვარსკვლავებს კოცნის.  
დღისით თუ ღამით  
მისი თვალები ოცნების სიღრმეებს ეამბორებიან.  
ის არ იბნევა  
როცა ზღაპრის კაპიტან მანდილოსნებს  
თავიანთი ზღაპრული გემებით  
ნათლის ღუზები ნათლის შუქი ნათლის წერტილები  
და იმედის სხივები მოაქვთ.

## სამწუხაროდ არა

ვინ ვარ მე?

იქნებ უგზო-უკვლოდ გამქრალი გუგული ვარ  
მარადისობიდან

სულ რაღაც წამით რომ უნდა გაჩნდეს  
და გუგუ დაიძახოს?

ვინ ვარ მე?

რატომ ჯერაც არ მომხდარა

რომ ერთხელ მაინც ჩემთვის

ხელი გულიანად ჩამომერთმიოს.

ვინ ვარ მე?

იქნებ ნაგლეჯი ვარ

მამულის სისხლად მომდინარე წყეული ფერხულის?

იქნებ ქარსმიცემული უაზრობის

ზებგერთი სიჩქარის ჩქარი ფიტულის

დაფლეთილი ურჩი ჩანჩქერის ნაფლეთი ვარ?

ვინ ვარ მე?

არა მე არ ვარ სამწუხაროდ

ქალთევზას რჩეული.

## Who is who

Who is who.

Where is where.

ვინ არის ვინ.

Who is who.

იცის ვინ რა.

რა არის ის.

იქნებ ქაფია.

იქნებ მოჩვენებაა.

იქნებ ლივლივია შავ ჰაერში.

სად არის ის.

ჭიპში.

პირში.

თვალში.

ის კბენს ნაკბენებს და ბზარებს

იოლად მისანვდომ ზედაპირულ წყლებში.

იქნებ გადაცმულია

და თავის თავს ველარ ცნობს

მედუზისებრ ლორწოვან მელნებში.

ან იქნებ სულაც

თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა.

გონს მალე მოეგება.

ვინ არის ვინ.

Who is who.

ის ზუზუნებს.

ყარყუმის ბენვით შემოსილი ბობოქრობს.

სწრაფი ვარდნით ჩაეზრდება საკუთარ თავს.

საკუთარ აბლაბუდაში ქუხს.  
ის ყველა ამბებს  
მაგრამ ურჩევნია ნაზი თვალები ჰქონდეს  
და დაცინვით გული იჯეროს.  
მას ზღაპრები აღარ გაათბობს.  
აღისფერი მკბენარები სულ კბენ-კბენით იკბინებიან.

## ადამიანს ეხება საქმე

რას ეხება საქმე?

საქმე ეხება ადამიანს.

რა მოხდა?

მოხდა ადამიანი

რომელსაც გული აქვს

რომელსაც გული არა აქვს

რომელიც ფაიფურის ჩექმებით

ხტება ბრინჯაოს უფსკრულში

რომელიც შიშველი ხელებით

გარს ურბენს მინას

რომელიც ვარსკვლავეთის

განვარსკვლავებას ცდილობს

რომელიც განვარსკვლავეთის

შევარსკვლავებას ცდილობს.

მერე კი ბრდღვინავს: მაღლა მაღლა მაღლა!

გაუმარჯოს აჯაფსანდლად ქცეულ დროშას.

გაუმარჯოს ვილჰელმ ტელს და მის ვაშლებს.

ჩვენ გვინდა ისევ გვყავდეს

ძლიერი ევას მკლავებში გამომწყვდეული ვილჰელმ

ტელები.

რას ეხება საქმე?

რა მოხდა?

საქმე ეხება ბინძურ გარიგებას.

საქმე ეხება

ძველმოდურად გადაქცეულ

მაღალ სფეროებს.

ნეხვის გორას  
დამძალებულ მაღალ სფეროებს  
მოშთობილ იშთარს  
უამრავ ნვერს  
პაპაჩვენის წითელწვერებს  
ბოლოს რომ ისევ  
მარმარილოს მაგიდებს შორის ყვავილობა მოსურვე-  
ბიათ.

## ლოცვა

წმინდაო ნათელო  
გვიხსენ ჩვენ უაზრობისგან.  
გვიხსენ ჩვენ უაზრობის  
უაზრო ავადმყოფობისგან.  
არ კმარა  
დროდადრო  
ცრემლის წვეთი  
რომ ეცემა  
დედამიწის გახურებულ ქვას.  
გვიხსენი ჩვენ  
უაზრობის სუტენიორებისგან  
მოზეიმე კაციჭამიებისგან  
მოტრაბახე მყვირალა მაიმუნებისგან.  
თავგზა აგვბნევია უაზრო ტანჯვაში.  
ჩვენ ქვიშის მარადიული მგზავრები ვართ.  
ჩვენ გახურებული ქვიშის  
ქვეშაგებში ვბრუნავთ.  
ეს სასაცილოა  
ეს სატირალია  
ეს ყველაფერი ჭკუიდან შეგვშლის.  
ვაი ჩვენ უპოვართ უგუნურთ.  
რა შეშლილობას შევუპყრივართ.

\* \* \*

დაიწყო  
დიდი უსასრულო დღესასწაული.  
ჩვენ ყველა  
მბრწყინავ ანგელოზებად  
გადავიქეცით.  
ჩვენი თვალები  
მანათობელი ვარსკვლავებია.  
ენით აუნერვლია  
ჩემი ათეისტი მეგობრების  
გამომეტყველება.  
ისინი უხარისხოდ შეღებილებს  
ჰგვანან.  
გაუპატიურებულებს გაკვირვებულებს  
ძველი ჩვეულებით  
გემრიელი მკრეხელობების ამონთხევა მონდომებიათ.  
ამაოდ  
ბერავენ ისინი  
ლოყებს  
რადგან  
მათი პირიდან ამოსულ  
ერთ ალელუიას  
უმაღლესი მთავარი ენაცვლება.

## ოცნების მარადიული ყვავილები

მინის საგიჟეთიდან  
გაქცევა მონდომებია სანყალ კაცს.  
ამაოდ ეძებს გამოსავალს  
და ამასთან მშიერიც არის.  
დიახ სრულიად არაფერი აბადია  
არც ხილული არც უხილავი.

•

თუმცა მოახერხა  
და მოგზაურ სულთა  
შავი კარიდან  
აქლემის სახით  
გააღწია.  
მაგრამ ამითვე ჩამოერთვა  
სამოთხეში მოსახვედრად  
ნემსის ყუნწში გაძვრომის უფლება.

•

მისი უკანასკნელი პურის მარცვალი  
მაგიდის ქვეშ ჩავარდა.  
მისი ბოლო იმედი  
მაგიდის ქვეშ  
უფსკრულში  
შავ ვარდთან ერთად აღმოჩნდა.

•

ის დასრულებული ოვალის წინ  
კედლის დაცხრილულ ფარდაგზე ტირის.

•

ის კვლავ განაგრძობს

ოცნებას  
მინაზე  
აპოკალიფსურად  
მოყვავილე  
ბალნარზე

•

იქიდან უკვე  
კარგად ხედავს ყველა იმ გზას  
რომელიც თავისი ცხოვრების გზად  
უნდა ექცია.

•

იმ თავის ნაცვლად  
მხრებზე რომ ადგას  
ვარსკვლავს  
ისურვებდა.  
თავის ნაცვლად  
ვარსკვლავების  
თაიგულს  
ისურვებდა.

•

შეშლილები  
და  
გარდაცვლილები  
მარად  
ნორჩები  
იქნებიან  
როგორც  
ოცნების  
მარადიული ყვავილები.



# ერნსტ მანსტიერო

1911-1979



## ადამიანთა მონოლოგი

ჩვენ სამყაროს გაჩვეული ვართ.  
გვიყვარს სამყარო ჩვენი თავივით.  
ანაზღადად სხვად რომ ქცეულიყო ეს სამყარო,  
ავტირდებოდით.

არარაში შეკითხვების სამოსახლოა.  
არარაში დიდებებიან თვალის გუგები.  
არარა რომ არსებულებო,  
ო, განა ახლა დავიძინებდით,  
და მოსასვლელი ჩვენი სიზმარიც  
სასიკვდილოდ დაძირავდა უაზრო და უშველებელ  
ლოდს.

## L'HOME MACHINE BLEUE II

აჯვარედინებს ყვითელ ფეხებს ძილსმიცემული  
ადამიანი. პირში მუხლი ღრმად ჩაუმუხლავს.  
დაბნელებულ თვალს ესიზმრება ბნელი სხეული.

მოიგრიხება სიზმრად თავი შემოგრეხილი.  
ესიზმრებიან უსაფუძვლოდ სიზმრებს სიზმრები.

## მოკაკვეული

ის მიდის.

ცუდი სიზმარი ჰქონდა.

ის მიდის სულმთლად მოკაკვეული და აღარ სუნთქავს.

ის მიდის.

შუბლი მუცელზე აქვს დაკიდებული.

ის მიდის.

ხოლო ჩამოყრილი ხელები მისთრევს.

ის მიდის.

მისი შუბლი მისივე ფეხებს ეხლება.

ის მიდის.

მისი თავი უკვე მის წინ მიგორავს.

და მისი თავი ლიტანიას წარმოთქვამს ასეთს:

მე მატლებმა დამისაკუთრეს.

ცუდი იყო ჩემი სიზმარი.

ის მოკაკვეული ხვდება განთიადს.

## სიბნელე

სიბნელეს არვინ ეკითხება,  
თავს როგორ გრძნობო.  
იგი არ მღერის.  
მას თვალები არ გააჩნია.  
სიბნელე მხოლოდ მკვდარი ძაღლია.

## სიგრილე

მთვარე ყვავილობს.  
განუტევა სული ზაფხულმა.  
ჩემი პალტო ეგებება პირველ სიგრილეს:  
წითელ სიგრილეს,  
მუქწითელი ფერის სიგრილეს.

ჩემი თვალის გუგების მიღმა უკვე პირველი  
ყინულოვანი არშიები გამოისახნენ:  
ყვითელი, თეთრი,  
მწვანე, მწვანე, მწვანე,  
და შავი.

\* \* \*

ყველაფერი საკუთარ თავს დაფუძნებია.  
მე ჩემივ თავს დავფუძნებოვარ.

ქალაქი ქუჩა-ქუჩა სეირნობს.  
მთა შეყოლია საკუთარი თავისკენ აღმართს.  
გაქანებული დირიჟაბლი-საქანელა ჰაერში დგას  
გაუნძრევლად და გონს ეგება.  
მდინარე ამბობს: საით მივმართო ჩემი დინება?  
უფალი ამბობს: დედა, მე მეტი აღარ ძალმიძს. აქ ისეთი  
სიმხურვალეა.

შოსე ამბობს: მე ბენზინი გამომელია.  
მწუხრი გარს აკრავს ქვეყნიერებას და - სალამო  
მშვიდობისა - ასე მიმართავს.  
დედები ერთხმად იგალობენ:  
ყველაფერი საკუთარ თავს დაფუძნებია.  
და იცინიან.

## მელანქოლია

და არის გამომშვიდობება ყოველი სიტყვა,  
გადაგდებული შესასვლელთან მკვდართა სამყოფის,  
ჩამოჩონჩხილი თავი სადაც ამღერებულა,  
ჩამოჩონჩხილი თითები სადაც ასრულებენ  
ამ ძველ სიმღერას:

ფითრისფერია შიდა მხარე ალისფერი ვაშლის კანისა,  
ბავშვი კი ქვოვან საფეხურზე - უფრო მეტად  
გაფითრებული,  
როცა მიმწუხრი ჩამოდგება, ის კი კანკალებს,  
ვერ გაუგია, სად გაქრა დედა,  
რომელიც მწარედ ტიროდა და განუწყვეტლივ  
რომელიც ამბობს,  
რომ მისი სისხლი განილევა,  
რომ ის ილევა . . . დაილევა . . . გამოილევა . . .

სადა ხართ, არსნო, ჩვენც რომ გვიცავთ სიტყვებთან  
ერთად?  
ანგელოზები? - კუბოებში ნვანან უკვე ანგელოზები,  
მოთქმათა მტვრით დათოვლილები.  
ისინი სახლის სხვა დარბაზში განისვენებენ,  
ჩამოჩონჩხილი თითები სადაც ასრულებენ  
ამ ძველ სიმღერას:

ფითრისფერია შიდა მხარე ალისფერი ვაშლის კანისა...

## ყვირილის პირველი გაღაღება

ნადირის მოთქმა მონადირის  
დაგრეხილ ბუკში... მაგრამ ამ გვრინის მონადირეს რა  
გაეგება?

ის ბუკს კედელზე ჩამოკიდებს.  
ხოლო ბუკში ნადირი ტირის,  
ყრუა კედელი.

მე კი, ყვირილი, მოელვარე ბუკიდან გავსხლტი  
მწვანე კედელზე, გადავურბინე  
სახეზე ძილში ჯერაც ისევ მონადირე კაცს,  
წავიფორხილე მისი ცოლის შავ, გაშლილ  
თმაზე, არ შეეხებოვარ ბიჭუნების ჯერაც წითლად  
ღაჟღაჟა ლოყებს; სასონარკვეთით განვეშორე  
დაკოჭრებულ მუშტებს მარეკთა  
და ხეშემ ხელებს ძილში მბორგავი  
მოხუცებული მოახლე ქალის.  
უკან დარჩა ძაღლთა ყმუილი,  
ღამის სარკმლიდან გარეთ გავფრინდი,  
კუპრისფერ ტყეს თავს გადავევლე,  
და როცა ზეცის დიდ სივრცეში წავიბორძიკე,  
სწორედ ეს იყო  
საზარი რამ, საბოლოოდ გაუსაძლისი.

და მე ვინანე,  
ლაბირინთულ იმავ ბუკში უკუვიქეცი,  
ღამეში რომ კაშკაშებდა, და ძილს მივეცი,

მწვანე კედლის სიახლოვეს, მოტირალი,  
რბილ ბენვეულზე და ნაკრტენზე  
ნაღვლიანი ცხოველებისა.

## დიდი ხუთშაბათი

ჭექას-ქუხილს მოკლებული სივრცის წიაღში,  
მინანკრიალა არფების ირგვლივ ლივლივებენ თეთრი  
ჩიტები.

სიცოცხლის მწვანე წვენი ავსებს  
გაზაფხულის ხნულთა ორნატებს;  
დინება, ასე თავმოყრილი, გოლგოთისკენ აღედინება,  
რათა მოსასვლელ ალიონზე - სისხლადდაღვრილი მზის  
ჩაფერფლილ წამწამთა თვალწინ -  
შეერიოს უსაშინლეს ძმარს.

თხემი! სიკვდილის ხე! უფლის ხელით დარწეული ზეცის  
სასწორი!

და არ ვიქნები ხვალ სამოთხეში,  
არამედ გავქნი ძრწოლებს, როგორც ქვა წისქვილისა,  
და საგალობლებს ვიგალობებ მინის მსახური.

შრომადლის მერე მაგდალენასთან ერთად ვსეირნობ  
წისქვილის ტბორის მოდამოებში.  
მოესურვება მაშინ ცრემლი მონანიე მზეს,  
და იმ ხორბლის პურს, მე რომ დავფქვი, მოცახცახე  
პირით ეხება!

ღამე ისეა, ვით სამარე! ანგელოზები, ჩემი  
თანამოსახლეები, გმინვა-კვნესად უქცევიათ საშინელ  
სიზმრებს:

ღვთისმშობელი ვერ პასუხობს სფინქსის შეკითხვას;  
ზარდამცემია, მას, განანამებს და მომაკვდავს, იოსები  
როგორ დასცინის.  
ოპტიკოსია მამალმერთი, როგორც ერთ დროს იყო  
სპინოზა.  
ის, ჭაღარა და თვალდავსილი, ლინზებს ამზადებს.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როგორ მორთულა  
ციონის ნუშის ყვავილებით ჩემი სიზმარი!

## ხელჩართული შეტაკება ვარდების ველზე

საგანი, ყელში მოხვედრილი,  
ცხლად საგემი შოკოლადი როდი ყოფილა,  
ნუშის ნამცეცვიც არ იყო იგი,  
უსაყვარლესის ტუჩებს შორის  
ნაზად ნაკოცნი.

მტრის თვალის სკლერას  
ქალიშვილის თეძოები დავინყებოდა,  
სიკვდილის იყო ცა, რომელსაც ჩაემქლია შავი  
კვერცხები,  
და ჩაის ვარდიც ფურცელ-ფურცელ გაფანტულიყო.

და მაინც,  
სისხლით შეიღება კაცი ვარდებში,  
სნორედ იმათში,  
ეს იხილა გადაქცეულმა,  
ფუთფუთებდნენ და მალლა-მალლა მიიწვედნენ  
ფარაჯისფრად რუხი ტილები,  
რათა ვარდების ყვითელ კვალში გამარჯვება ეზეიმათ  
ამოსრუტვის ამ დიდოსტატებს.

და მაღალი ცა რუხი იყო, როგორც ტილები.

## ბოსელში ბ.-სთან

სითბო იდგა შენთან, ბოსელში.

მინდვრად ზამთარი მათრახით გვცემდა.

წმინდაო ჩვილო, გამომხლტარო თოვლივით თეთრი  
ვარდის გულიდან,

ჩალით შეკრულ საგებელზე მანათობელო,

შენს სანახავად მოვედით და

არა იმისთვის, რომ შენ აგკიდოთ

ეკლიანი ეს ჩვენი ძრწოლა. -

და, აი, ვდგავართ,

როგორც სამხრეთის მსუბუქ ქარში,

ოხშივარში რძელბილ ცხოველთა.

ზეთი იღვრება ოქროვანი ზეთისხილის მთის

კალთებიდან...

დავითის ქნარის ტკბილი ჰანგებიც

შენ გესტუმრნენ, ვით ნათლიები,

და ეს განა ისე არ არის, თითქოს ურიამ ინებაო აქ

დაყოვნება -

გულმართალმა მეთაურმა,

ვისაც მეფემ ცოლი წაართვა, ვირსავი იყო მისი სახელი,

და დაორსულდა იელოვას ღრუბლებზე იგი, -

სწორედ ურიამ, ყრუ ბუტბუტით სოლომონის

სიბრძნეთა მთქმელმა?

არადა, ჩვენი ბასრი ძრწოლა რა შორს გვირჩება,

როცა შევყურებთ, ვარდისფერი შენი ხელი

ბაგის ჩალიდან მთვარის ვერცხლისფერ

ბუკს რომ მიელტვის...

მარიამისგან ნაწინასწარმეტყველები ზეცის ქვეშ

დღესაც

თოვლის სუდარაგამოვლილი

გულკეთილი სტუმრები შენსკენ ედინებიან.

და ამასწინათ იყო ესეც, მოგინახულა

ტონოკომ, ბავშვმა, სასიკვდილო ჭრილობებით

დაბადებულმა,

გოგონამ კუნძულ ჰიროშიმაზე

გაელვების წამს შხამიანი სოკოს ქვეშ მყოფმა,

ტონოკომ, ვ.-ის ყველა უფლებაჩამორთმეულთა

ბანაკის მწარედ დადუმებული დუმილის ხელს

მინებებულმა.

## კურდღლების ზამთარი

ვაშა და ვაშა, ჯარისკაცნო ველთა ძრწოლისა!  
თქვენ, მწკრივებად და ნაწილებად დაყოფილნო და  
პარკებში თავით ჩაყუდებულნო...  
დაკიდებულნო, სწორდით, კურდღელნო!  
ზამთრის ქარის მიუხედავად.

ჰო, ზამთრის ქარი  
მღრღნელი კბილივით მოლაპლაპე ვერცხლის  
ღრუბლებს მიმოფანტავს  
მოსარკულ ცაზე.

ზვავს აღვძრავ  
მთის თავს,  
უმცირესი ბიძგიც იკმარებს, და აი, ისიც,  
დანაშაული ჩემი, მამავ უღრმესი ცისა,  
თავქვე მოგორავს  
და, ხევისკენ დაქანებული,  
გაიზრდება და პირისაგან მიწისა აღგვის  
ყინულოვანი არშიებით მორთულ ჩემს სარკმელს,  
რომლის წინაშეც  
კურდღლებია დაკიდებული.

გამოიღვიძეთ, ჯარისკაცნო ველთა ძრწოლისა!  
გაინძერით -  
სამყურებო, გამყინავად ლურჯებო, სერზე  
ამოყვავილდით!

მოდით და ჩემთან ამოსკუპდით,  
გემო მოიდეთ  
ზამთრის ქარბუქში, ჩამოირეცხეთ  
ბენვიდან სისხლი,  
ბრალი ჩემი,  
და იჩქარეთ ჩემთან ერთად, ბოლოსდაბოლოს,  
თოვლის ამ ლურჯ იალაღებზე.

## თევზის დაქუცმაცება

დიახ, ქაოსიც ეს არის: თევზად  
გამოეცხადო სუფრას ტრაპეზად.  
ნიშანს აძლევდეს გაფუფქული თვალი სხვა სულელებს.

ახლახანს ჯანმრთელს, სისხლსავსეს და  
თვალმოფაფხურეს  
გურმანი უკვე ვნებით სავსე მზერას გაპკურებს,  
წევხარ ნარჩევი, გაშიფრული და დაღდასმული.

და როცა უკვე აქნილიც ხარ, გამოფატრულიც,  
შენს ხორცს წრე იყოფს, რომლითაც ხარ შემორაგული.  
წრე რომ იშლება, შენგან ფხა და ნაკუნის რჩება.

ეჰ, შე ნარჩენო, ბოლოს ეგ ფხაც გაგეფანტება.  
გზააბნეულო, მიგდებულო, რა გემართება? -  
ფხეკს მზარეული კანის ლორწოს, ქოთანზე შემხმარს.

## ჩალის თაიგული

ღამისკენ მარტოდ მიქცეული,  
მაგრამ მაინც არა ეული,  
რადგან ერთგული შენ დამირჩი,  
აჩრდილო ჩემო!

სამზარეულოს ნაცრისფერი,  
ჩამოშლილი შპალერიდან,  
მესალმები და, ჩემთან ერთად, თვალს ადევნებ  
სიმშვიდისმომგვრელ სიგარეტის ბოლს.  
აი, მისი წრე შენს თავს ზემოთ როგორ იკვრება!  
მაგრამ შენ ამ დროს უსმენ თუ არა  
მალვიძარას, ზურმუხტისფრად მომინანქრებულს,  
რომელიც ერთმა დაშლილმა ხელმა  
აქვე, შემინულ კარადაში,  
მძინარე და ცარიელი ჭურჭლის ქვეშ დადგა,  
უსმენ თუ არა მონიკნიკეს,  
ნაკუნებად გადამქცევს დროის,  
რომელსაც, თითქოს, როგორც კალოს, ისე ლენავდეს?  
ღამის მინდვრებზე სად გრძელდება  
კიდევ უფრო ჩალის ღერები?  
ბრმად მოიზრდება წველი ჩემი სახის გარშემო.  
წითლად კუბოკრულ სუფრაზე კი ჩემი მაგიდის -  
ბროლის ლარნაკი, ოჰ, იგი კრავს  
ჩალის თაიგულს!

## გარმონის ნაკეცებში

ო, ქვეყნებს შორის საზღვრის მკვიდრი ეს მუსიკოსი,  
საბუდარივით თბილი ქოხის მყუდრო მოსახლე,  
მიუხედავად იმ საშინელ არქტიკასთან მეზობლობისა,  
არა ერთი და ორი მილით რომ იზომება...  
მოხუცი კაცი, ვისი სახეც, ნაოჭებით ამოღარული,  
აღმოსავლეთის მზისებრ დიდი და ალისფერი,  
თმა-წვერში თითქმის იკარგებოდა...  
გაფაშრებული, ნაცრისფერი ვისი პირიც  
განუყოფლით იყო აღსავსე  
და უხეში ვისი ხელებიც  
შავად-ვერცხლისფერ გარმონს შლიდნენ  
და კეცავდნენ ცხელი ბანის ხმად...

ერთხელ -

უკვე რომ მოეყოლა სიმღერ-სიმღერ ბევრი ამბავი -  
კაცმა ჩივილი წამოიწყო,  
თუ რას მალავდნენ ამ გარმონის ნაკეცები საკუთარ  
თავში.

და, აი, ეს დამამახსოვრდა:

დაფნის თესლს და პეპლის საცეცებს,  
ვარდების ფერფლს და ბალღინჯოებს,  
გარდაცვლილთა სახლის ნაგავსაც,  
ნამსხვრევეებს მოშიშ ზარებისას,  
და მტვერს ყვავილთა,  
და ლურსმნებს, მათზე შემხმარ სისხლს და  
იქვე ტამპონს მარადიული ჭრილობებიდან...

ო, ქვეყნებს შორის საზღვრის მკვიდრი ეს მუსიკოსი,  
საბუდარივით თბილი ქოხის მყუდრო მოსახლე,  
მიუხედავად იმ საშინელ არქტიკასთან მეზობლობისა,  
არა ერთი და ორი მილით რომ იზომება...

\* \* \*

დადგება დრო და ის კატა შენში,  
აზრიდან აზრს რომ უხმოდ აწყდება,  
აღმოჩნდება ნანადირევი.  
"განძნი, რომელნიც ელვარებენ  
უსარგებლოს ნათებაში", შებნელებიან,  
ოდეს სხვა კატა, სხვა ნადირი,  
შენთა თვალთა უსიერიდან  
სავსე მზერით გამოცანას მისწვდება ბოლოს.

იმ წამს კი, შენ რომ მოგიტაცებს სუნთქვისშემკვრელი  
გაელვებიდან საუნჯისა,  
ვერასოდეს განჭვრეტ წინასწარ.

## APRÈS APERÈSLUDE

გადაშლილი მქონდა თვალწინ  
ბრანდენბურგის თბილი ქვიშა.  
გაქრა ლხინიც, გაქრა ჭირიც  
და Satzbau-ც გაილია.

რაც მკვდრადყოფნად იწოდება,  
მე-სთვის შეუცნობელია.  
მშობლიური სახლის სუნთქვა  
მარად მისანდობელია.

ეს ქვეყანა ზარს და რისხვას  
უსათუოდ იმსახურებს:  
რა უხვია მარშის ხმები!  
ვაშა დაფდაფს, ვაშა ტრიპერს!

ოჰ, ნაცნობი სიმღერა და  
ხმა ციური, ბენი ძილში  
ჩაყოლილი, გმადლობთ, აქ კი...

ეს ვარდების ფალანგია.

## წარმოთქვამს ბავშვი

- მე ბნელი ვარ, - წარმოთქვამს ბავშვი.  
გაზაფხულია.  
დედამინა უხმობს მებაღეს.  
მზეს -  
მინა და ზღვა.  
განიხვნიებიან კარიბჭენი,  
კუბოები დაიხშევიებიან.

მე ნათელი ვარ?  
თოვლი ცეცხლში დაიძირა  
და იქ ახლა ფურისულა გამოყვავილდა.  
ზღვაზე კაცი ჩანს,  
ბაგეებით ია უპყრია.  
- მე ბნელი ვარ, -  
წარმოთქვამს ბავშვი.

ეჰა! შენ, ქალო,  
ყელზე კანი შემოგაჭკნება.  
ეჰა! უმანკო ყმანვილქალო,  
ხარ რარიგად ხავერდოვანი.  
ხოლო ჩემს თვალებს  
მწყემსი მწყემსავს - მე მას ვერ ვხედავ.  
- მე ბნელი ვარ, - წარმოთქვამს ბავშვი.

## სხვა სახლი დამხვდა

სხვა სახლი  
დამხვდა.

მაგრამ ვიდრე შევაბიჯებდი,  
ასე შევძახე  
მყრალი ტანჯვით ჩამოხუნძლულმა:

არ აჟღერდები  
გამარჯვების ყიჟინით, სახლო,  
"წყლისგან შეკრული" კაცის თავზე, შენი ეჟვნები  
"თიხით შეკრული" კაცის თავზე  
არასოდეს ახმიანდება.

და როცა სახლში ფეხი შევდგი, ვერ გავიგონე  
ვერც ხარხარი და  
ვერც - ეჟვნების ქირქილი; მხოლოდ  
სიჩუმე იდგა.

მაგრამ სიჩუმე  
განარისხა განგაშმა; ავლო  
ბრინჯაოს ბნელი ხვეული  
კიბე, და უმაღლესი, თითქოს  
იძულებით გამორეკილი,  
სახლის ურიცხვი ბინადარი,  
უთვალეზო ურიცხვი ეშმა  
კიბე-კიბე და სართულ-სართულ მოიჩქაროდა,  
მე რომ ირგვლივ შემომხვეოდა.

მერე ყურებთან დამსიოდნენ,  
ჩამჩურჩულებდნენ:  
აბა, ლინკეოს,  
არარაობის წამნამები გვიჩვენე ჩქარა! -

თქვით, როცა უკვე  
ამ სიზმარცხადის  
ყველა სამხილი წარმოვადგინე:

ნუთუ ეს სახლი უდავოდ და  
უეჭველად - და როგორ,  
შეცდით - ვამბობ:  
უდავოდ, უეჭველად - და როგორ,  
შეცდით - არის ნაგები,  
რის გამოც არ მსურს  
გილგამეშივით მოვყვე გოდებას,  
სახლი, რომელშიც  
არ კიდია ზანზალაკები და არც ბოროტი  
სიცილია ჩასაფრებული? ვამბობ:  
უდავოდ, უეჭველად - და როგორ,  
შეცდით?

სიყვარული არ გამაჩნია?

## ახლა

ახლა.

მას მერე დიდი დროა უკვე გასული.

ახლა:

სექტემბრის

ნაშუადღევია.

თბილი ფერფლის

სურნელი:

თითქოს,

მე, დღეს დამნვარი,

ეს ფერფლი ვიყო.

ეს მე ვარ?

იქნებ, ეს მე არ ვარ?

თეფშევით მრგვალი

არის სინათლე,

დამძიმებული ვაშლებით,

მსხლებით.

ვარ.

ყვავილებით აღსავსე, აქ ვარ.

ნამნამნი მზეთა,

ბირთვნი

მათი გუგების წრეში:

თვალნი,

ჩემს თვალებს ასერიგად მოახლებულნი.

უკვე აღარ ვარ?

დღე კაცისა  
ბრინჯაოსფერ სიბნელეში  
გაელვებაა.

ახლა:  
მორიგი სექტემბერი,  
ნაშუადღევი.  
ახლა  
მას მერე დიდი დროა უკვე გასული.

## ლურჯი ფერი

ფიქრი სხლტება, ფიქრი მიქრის  
და მიაპობს წვიმის თავსხმას,  
ცისარტყელა როდი ახლავს!  
სოფლად მიველ, იქ უცვლელად  
ჩემზე ფიქრი ციალებდა:  
თავნაწყვეტილ მამალს ქარი  
ჩემსკენ მოაფრიალებდა.

ყიყლი-ყიყლი! - შემოვძახებ -  
შემოზიდეთ ეგ ხორბალი!  
და ეგ ხარიც გამისუქეთ,  
მინდორში რომ იცოხნება,  
თანაც გძულდეთ სამუდამოდ:  
მე, მცელავი ვისაც მქვია,  
ვისაც ქუსლი გამიჭრია.

მე, მცელავი ვისაც მქვია,  
ვისაც ქუსლი გამიჭრია,  
ვისაც ერთგულ თანამგზავრად  
თავნაცლილი მამალი მყავს,  
ვინც გამართულ და სწორ გზებზე  
ვკოჭლობ, თანაც ამ წყეულ ფერს,  
ზეცის ლურჯ ფერს ვაძლევ ნიშანს.

## FERMATE

ეკალბარდით დაბრკოლებული:  
თვალები  
ასკილს და მსუნთქავ ზღვას  
გადაევლება.  
ეთერში ოქროს ამოანთხევს  
თევზი-მეკობრე.

Fermate: ნარბი,  
დანისლული ჰორიზონტი, ზეაზიდული.  
მზე, როგორც ფსკერზე მარგალიტი,  
ქვემოთ დარჩენილ  
სიღრმის ნარჩენს მიმოანათებს.  
დრო უადრესი და უშორესი  
რა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

მოდის, სიკვდილად წოდებულო,  
მოელვარე სანაპიროს თავს დაადექი!  
მოდის, ასკილის ფერისაო,  
ეკლისაებრ დაბურული ფერისავ, მოდი!  
გამოჩნდი, მოდი!  
შენთან მოლაღე,  
ნათესავი ვარ  
უძველესი ანგელოზების.

## ადგილობრივი

კლდეზე  
მეთევზე ჩამომჯდარა  
მსუბუქნალება,  
და თევზს იტყუებს.  
ქვემოთ ღრმა ზღვაა.

მოკლედ,  
სიკვდილს რაც შეეხება,  
სიკვდილს, რომელიც ყველასათვის  
ის ადგილია,  
სადაც არის ადგილობრივი  
(არავინ არის არაქაური),

რატომაც არა ვაცისფეხება,  
ვისაც თავბრუ არასდროს ესხმის?

კლდეზე  
მეთევზე ჩამომჯდარა  
მსუბუქნალება.  
მის ქვემოთ კი  
მღელვარე ზღვაა.

## უცებ

ვით მაღალი და უშორესი  
შავი თალით მოჩრდილული,  
თავისავე ნათებაში შედის სინათლე.  
მეტყველი ხდება  
მასთან ყველა ნივთი, არსება.

ხე კიდევ უფრო მწვანე ხდება და ნაბლისფერი,  
ნიადაგიც და რუხი კედლებიც;  
სახლები თეთრად  
გამჟღავნდებიან.

ერთი ხანობა კიდევ დგას კრავი  
და ბავშვები რძეს აწოვებენ  
ამ ეთერულ ყვავილობაში.  
მერე კი, უცებ, როგორც თავის მოკვეთისას,  
ჩნდება სიბნელე.

## მწყემსი ქალი

მწყემსი ქალი,  
მათ რომელიც მოუხმობს, კრავებს,  
ისვე არ არის, ვინც პატრონობს  
იმ ცხვართა ჩრდილებს,  
რომლებსაც მერე  
ყასბებს გადასცემს?

თქვი,  
რომელი ხმით  
მილაღავს იგი თავის ცხოველებს  
შინისკენ  
მნუხრზე?

მაგრამ შეხედე,  
რარიგ მძიმედ მიაბიჯებენ,  
გვერდიგვერდ თბილი სანმისებისა,  
შროშანისფერი  
მზის ნათელში,  
ცხვრების ჩორჩხები.

## მე ვნახე

არანაირი ნააზრევით მოაზრებული,  
და არც ოდესმე ნანახი სიზმრად,  
ღანვები ვინმე მოხუცი ქალის,  
მთლად აღისფერი ვაშლებივით ღაჟღაჟებდნენ და  
ასე ერთვოდნენ მობუტბუტე ბაგეების  
დამსკდარ ალუბლებს.

მე როგორც მითხრეს,  
გემებისთვის ფერებს არჩევდა.

დიახ, მე ვნახე,  
გემთსაშენის სახელოსნოში,  
ხომალდზე როგორ ავიდა იგი  
სამი კატით და  
კონსერვის ქრელი ქილებით ხელში,  
რომლებიც მერე ირგვლივ კოხტად შემოიკრიბა.

როგორ შევიდა  
იგი სახესთან მომარჯვებულ  
სარკის ნატეხში.

## მეხსიერება

ეს სვლაა, გზაა,  
სხვა არაფერი.  
იელვებს გვრინი,  
მზე ზენიტშია.  
მტვერს გაპკურებენ ქუთუთოზე  
ღიმილით მკვდრები.  
ეს ტვირთი  
ერთობ მძიმე როდია.

ეჭვის გამხელა  
და მნუხარება  
მნუხარე წიგნთა, დამნუხრებული.  
მეორდებიან შეკითხვები,  
არის მოთმენა.  
შენ, ხელოვნებავ, უნატიფესო ...  
განცდა განცდას რომ ერთვის, ივსება,  
ეს სინატიფე  
თავისავე სინატიფეში ჯერ ისევ ფრთხება.

ეს ტვირთი  
ერთობ მძიმე როდია.  
ქარქცეულს,  
შენ რომ ფარად ეგულვი,  
ფეხდაფეხ მისდევს  
ლელში მცელავი.  
მტვერს გაპკურებენ ქუთუთოზე

ღიმილით მკვდრები.

ეს ტვირთი  
ერთობ მძიმე როდია.

## ანდაზა

შორეულ მთვარის  
ნაპერწკლები ელავენ ფრთაში,  
ანდაზა მოკაუჭებულ პირში...  
ლამე ჯანმრთელად ახითხითდა  
ბუთა თვალებში.

შვიდი მიზეზი  
ცხრა მიზეზს მალავს.  
თუ იქნებოდა მართებული, მეათისთვის  
პნკალის მონახვა?

## მე

ღამე იყო მოთმინება,  
მოთმინების ერთადერთი  
ხანგრძლივი ბგერა.

მე-ს ერთდროულად მწყემსად და ძალლად  
და მომთაბარე ჯოგად უჩნდა  
თავისი თავი.

## დაცული და გამომწყვდეული

თეთრი მამლები  
არ იძვროდნენ  
უხმო ფრონტონზე.  
მთვარის ნათელში  
ყავარი და ფრთები  
ელავდნენ.

ჯვარი  
მეკავა მთვარის შუქზე  
და ვაბრუნებდი.  
მისგან ლაქივით  
იღვენთებოდა  
ყაყაჩოსფრადნითელი სისხლი.

თითქოს ვიყავი  
მამლებით და სახურავებით,  
ჯვრით და სისხლით და მთვარის ნათებით  
ზორბა კაკალში  
- ვით მისი გული -  
დაცული და გამომწყვდეული.

## შენამოქმედის ზეცა

შენამოქმედის  
და წინასწარმეტყველთა მისთა  
ზეცის თავანზე  
უძღურება განივ ზოლს ავლებს.

და სასნაული  
არ მოაქვს მიმნუხრს.  
მორჩილად ბრწყინავს  
მისი ვარსკვლავი.

## სანაპირო

შემოიქეც  
ჩემი ბაგისკენ.  
მე წამნამებქვეშ  
მეზღვაურთა სიმღერას  
გეტყვი:

რომ სანაპირო  
ზოლის გასწვრივ  
ჩვენ აფრებს ვშლით  
ქუთუთოებით,  
ჩვენს საუბარს კი მსჭვალავს ნათელი.

## მწუხარება

მთვარე  
ჟანგისფერნითელია,  
თითქოს -  
სავსე უკანასკნელად,

თეთრია ჩემი წამნამი და  
სიკვდილში ფხიზლობს,  
მას ნისლში  
კუბო ჩაულივლივებს.

ის არის ჩრჩილი  
და ზის ჭინჭარზე,  
რომელიც სწორედ ამ წამს ყვავილობს...

და სულაც არა უწყნარეს წამს  
გაიელვებს კრავის საწმისი,  
ხოლო ცანი ბნელს იზრახვიან.

\* \* \*

გადმოთქრიალდა კოცონიდან  
თეთრი შიგთავსი.

მერე თავცეცხლას ყვავილიდან  
გადმოენარცხა.  
აშრიალდნენ მწვანე მილაკნი.

გადმონთხიეს ლიობიდან მარცვლეული  
მოვარვარე  
პირებმა სამი მამაკაცისა.

ულვაშებმა კი  
ბაგეთა ირგვლივ  
მოელვარე ბრუნვა წარმოქმნეს.

\* \* \*

იცინოდნენ.  
ისხდნენ

რუხად  
ცეცხლის ენებში  
და კითხულობდნენ

წიგნს,  
რომელიც მათ მოუთხრობდა,

თუ როგორ  
არის ყველაფერი  
დაკარგული სამარადისოდ.

\* \* \*

სიდამპლე დასტურყოფილია.  
მე ამგვარად  
შემოგხედავ,  
ასე  
შემიცნობ.

მე ჯერაც  
ქარვის ბურთში  
ვცხოვრობ,

გარეთკენ ვცრუობ,  
ვხედავ, შრომანი როგორ ზეიმობს,  
ნარშავები სინათლეს ჩხვერენ,

ჯერაც ისევ ქარვის ბურთში  
ვარ.

მაგრამ სიდამპლე  
დაბეჭდულია.

თუმცა,  
ასე მსურს თვალი შეგავლო.  
ან შენ მე როგორ უნდა  
გეცანი?

\* \* \*

ზოგჯერ  
ჩახედავს ლაბა  
თვალებს უსიკვდილოსას,  
ჯერაც თუ ჰგებებს იქ  
არსებაო.

\* \* \*

რაც ღმერთნი იყვნენ ერთ დროს, ისინი  
ამჟამად ხედვის  
ნათლად ცოცხალნი თვალნი არიან,  
ლურჯნი ირისნი და გუგანი მოლაჟვარდენი,  
მზერა, ზეცით ნაყვავილები,  
მზერის ორნატი.

არა, არ არის  
ცა ცარიელი. არ დაიდრიკო,  
მტვრის ჭურჭელო,  
მძიმე სისხლისკენ, რადგან  
ეს გუშაგთ, მალლიდან ფხიზლად მოთვალყურეთ  
შენი სიფხიზლის, აფორიაქებს.

არა, არ არის  
ცა ცარიელი,  
ხომ განიმარტა.

## ვიყავი სამწყსო

ვიყავი სამწყსო  
და ვკორტნიდი გამოცდილებას.

მწყემსის არგანი,  
ვარსკვლავებთან შეხებადი

და - ბალახებთან:  
აჰა, ისინი

არიან მწარედ რჩეულები,  
უმწვანესები.

და ჩრდილი  
მისი ქუდის ფარფლებქვეშ

და შუქმოსილი ხელები  
მწყემსის

და მე, სამწყსო,  
ამომკორტნავენებიანი.

## ნაყვინთავებ ქუხილთა მერე

ნაყვინთავებ ქუხილთა მერე  
ტბორები ისევ გადასწორდნენ,  
ელვის ლიტერნი  
უკვე ფსკერზე დაძირულან  
და

უბრალოებას  
აზროვნება დაეწყოს თითქოს, ან  
წყალნი, უნინ  
სულმთლად ბნელნი, განმსჭვალულან  
თევზების ვერცხლით.

## ჩვენება

აქ იყო,  
აი, აქ იყო მეთქი,  
მეზღვაური,  
ტალღებს შორის სამუდამოდ გამომწყვდეული.

მან,  
ტალღებს შორის სამუდამოდ გამომწყვდეულმა,  
წყალთა სარკე გამოამტვრია  
და ჩვენ გვიჩვენა,  
ჩვენ გვიჩვენა, წინმსწრაფ მეზღვაურთ,

ერთი მუჭა  
სირუხე ფსკერის.

## დაკითხვა

ქვა  
დუმილით გინყობს  
დაკითხვას.

ან  
გამოხრწნილი  
ჰო და არა-დან

მკვდრეთით აღმდგარს  
ძალგის უშიშრად

გაძვრე მსგავსი შესაქმის  
ყუნში.

## მთვარე

ან შენ,  
უნყინრად ხელჩავლებულს მაჯის სახსრებში,  
გატყვევებს მთვარე  
მბრწყინავი გარსით. - და

შენ არ იძვრი  
და მსურველი ხარ  
ღამეული სიმღერის შეთხზვის,

ვით - გუშინდელნი,  
აი, ასე გარდაცვლილები.

## შესაძლოდ მყუდრო

მცხოვრები სწორედ იმ სფეროზე,  
რომელიც მკვდრებმა შესაძლოა ჯერაც უწყიან.  
მასზე ნამდვილი, ათასფერი ყვავილების  
მოელვარე დიადემა დაკიდებულა,  
მოჭიდებიან მას მსუბუქად  
კაკლის ტოტებიც.

და წრის შუაგულში,  
მკვლევლობის თავზე, მაინც არის სიესტა ბალში,  
სადმე სხვაგან კი ციგურებით სრიალიც არის,  
ერთობლივი,  
დახანებული, თუ არა  
მყუდრო  
ნათება, ერთობ  
გასაოცარი.

## ზამთრისეული

I

აქ, სად ნადირის  
სისხლიანი კვალი მთავრდება,  
სად გაბანრული მონადირე წევს  
და მისი ძაღლი, შავი ძაღლი,  
თოვლს შექცევია,  
ბროლი, ჰაერში არსებული,  
მზერის ძალას ანიჭებს ჩემს თვალს.

IV

ცვივა ფანტელი. და ნამნამნი,  
გაჯარჯლებულ,  
ზეაპყრობილ თვალთა ნამნამნი,  
თეთრნი, მრავალნი,  
თავდახსნილნი, მიმოცვივიან.

ახალი, ძველი,  
ძილით ფხიზელი,  
სინმინდე, - ეჰა,  
დაუნდობლად  
ზამთრისეული,  
ტანის გამლღობი...

ბავშვთა პირებში ექცვივიან  
თოვლის ფიფქები.

## უბრალო შესაქმე

ჩიტის გალობა  
მიმოარწევს  
ტოტს  
უნინარეს,  
და უბრალოა  
ტოტისა და გალობის  
გეგმა.

იგალობებდე ამას, ამ გეგმას.  
თვალთვალს დაუნყებ  
იმის თვალისჭრილს,  
ვინც საკუთარ თავს  
აოცებს ფრიად,  
თუმც,  
ამავე თვალისჭრილიდან  
დამშეული ნადირი ცვივა,

მგლები ცვივიან,  
და ყოველი იმათგანი,  
როცა გარბის,  
ფლეთს საკუთარ თავს.  
ამის მერე კი, აი, რა რჩება:  
ბენვი, რომელიც ფრიალებს და -  
შიფრების წყება.

## ბავშვი

დროით სავსე გარსს  
თვალს შეავლებს,  
წრუპავს და ხედავს  
ვეებერთელა რუხ  
პეპელას,

ბავშვი,  
და მიდის,  
წყვდიადში  
შავი ცხვრების  
სამწყემსად.

## იმ ჰარმონიაში

ჰერკულესი და სხვები ცურავენ  
ჰარმონიაში, რომელსაც უკვე  
გამოაცალა სიკვდილმა ძალაც,  
მშვენიერებაც,  
ხოლო ის,  
რასაც ეს დღეები თავს უყრიან  
ნაგავთან და ნასულელევთან,  
მავანთა მიერ  
მზის შუაგულში  
ამოინთხევა.

ერთხელ  
მტვრის მთელი ამ ბულიდან  
გამოვა ბავშვი,  
ამ ჯანსაღ  
ტვინებს  
რომელიც შეცვლის.

## მინას არ ძალუძს მეტყველება

ის არ წერს დღიურს,  
მინა, რომელიც, მკვდრებს და ტოტემს დაფუძნებია,  
რომელსაც აკრავს წყლის სვეტები  
და ნიადაგ  
ნადგურცემული ფლოტი სიტყვების...

ის, დახუნძლული ლპობით, სიბნელით,  
უსაყლაპავოდ უმარცვლებო,  
მხოფავ ლასტების, მოგზაური გემების ქვემოთ!

ჩემს ქვეშ რამეს რომ მივნარცხებოდი?  
ვფიქრობ, რომ წყვდიადს მივწვდებოდი,  
ვით წამხდარ აბედს  
ფინიკიელი ბავშვის სამოსი,  
აშვებული საძირავი,  
ცდომილი ექო,  
ბარბითის ნაშთი...

რომ ჩამეყვინთა?  
მოვიძიებდი სანათურით და მივაგნებდი  
დღიურს გემისას, თუმც,  
მკვდრადყოფნის გარემოებას  
ის არ განმარტავს, მხოლოდ -  
დაძირვის დასაწყისისას:

**ჩვენ ვიძირებით.**

**მინად ვიქცევით.**

## მორიელი

ზედმინევენით ზუსტის წინაშე  
(შემეცნებასთან ერთადვე და  
სინამდვილის სიყვარულითაც)  
ოხუნჯობს სარკე  
ზღვისა, ლითონის.  
ამღვრევამდე კი, ამასთანავე,  
ნაკვალევი მოიხილება.

რაც გაქრა, გაქრა. მორიელი.  
მესმოდა,  
თევზს რომ ეუბნებოდა:  
ჩვენ რაც გვჩხვლევტს, იგი,  
ნეტავ, რააო.

მე ვხედავ ღელვას, საავდრო ღრუბლებს;  
მე ვხედავ ფერფლის მი-და-მო ტრიალს.  
ის ფრთა, ფრინველს რომ ამოაცალეს,  
ჩაენობა სველ  
ხრწნაში. ის წერს,  
რაც ჩვენს მერეა.

## ღამურების სტვენა

თითოეული თმის ღერი თავზე,  
მაგრამ ასევე მქრქალი ლაქა,  
შერჩენილი ოთახის კედელს

და მირიადი  
ნისლი მტვრისა,  
ამ ოთახებს მოშორებული...

მაინც რას ნიშნავს  
ღამურების მიმოსტვენა,  
მიმნუხრის ჟამი

ჰორიზონტს ზუსტი ვარსკვლავების  
თვალეჭვეშეთში  
ფერფლს რომ შეაფრქვევს?

## ფრინველთღრუბელი

დაისის ჟამი,  
შოშიებით გაშავებული...  
და, დაე, იყოს  
ეს სიტყვების თამაში, მაინც  
წარმოგვიდგება ჭეშმარიტებად,  
ასეთია მათი შავი მიმოჭიკჭიკი,  
ლაბირინთში  
გაუგონარი.

ეს შემოდგომა  
უნდა იყოს. ის  
წარბებს იკრავს:  
მოსწყდება  
დასვრილ კენწეროებს  
ფრინველთღრუბელი

და გეზს აიღებს  
ჩრდილოეთის  
აუხსნელი მიმართულებით.

## ჩალის სინათლე

ნახევრად  
სრულად საზრის-  
მზიანი. ვისაც ჭრიჭინი

კეთილად უჩანს,  
ნებისმიერი დღისმიერი  
ჩალის სინათლის  
ღეროებსაც იმან ჩაჰბეროს...

ნებისმიერი დღეთაგანი, და  
ეს დღე ჩასცქერს  
ობობას  
ბუდეს, და მარტოოდენ  
შენ  
გაოცებს ნამდვილ-  
ჩვენებით

სრულ-  
ცარიელი  
ქიტინები,  
ძაფებით ძრული,  
როცა  
ასერიგ შორს-  
მოსროლილი  
კათხიდან  
ბზარი გალაგნისა  
ქარს ენაფება.

## შაშვი

რარვ იცინის  
ცის სირუხე, ასეთ მიმნუხრში  
ბალახისა და სიჩუმის ზრდა  
ხმამალალია, ფარფატებს ჩრჩილი  
და - ფურცლები ყვავილებისა,  
მცენარის თესლი მოიპნევა ბილიკზე! ჰოი,

შაშვის გალობა - მაშინ, როცა  
ზარმაცობს ფიქრი. და ფოთოლ-  
ბნელი წიფელი! მძიმე  
ჩვენება, თითქოს ამოზრდილა  
ბალახში ყელი,  
და იქვე - ყბები, მომუშავე, საზარი  
მხეცის. ზარმაცობს

ფიქრი (და, შესაძლოა,  
თავად ღმერთი აბლაბუდაში  
ჰკითხავს თავის თავს,  
თუ ჰგებებს იგი, და თუ  
ამაში დარწმუნდება, ღმერთი ყოფილა  
იგი ასევე  
პირველდროის). ზარმაცობს

ფიქრი, ჩასცქერს  
უფრო და უფრო უსიერს. - სამშვინველი,  
გვიან, შენტვისვე

უუმძიმესი, არ ჩაუგდო  
შენი ტყვია  
შაშვის გალობას. დამთავრდება  
სულ მალე იგი.

## ღამეული

შიგნივმბრუნავი: მწვანე  
ადგილი ღამის, საითაც  
ოხრვის გრძელ თოკზე  
ასხმულ თავებს ვექაჩებოდი  
(თქვენ, სიყვარულით აღსავსენო,  
უკვე დაღუპულდროინდელნო!) და

გარეთ: ჰაერის  
ბინადარნი და ბზემსუბუქად  
ნათურის ირგვლივ თავმოყრილნი, ცდომილი გზებით  
მორიალენი ჩემს სახესთან,  
ჩემი ყურის ნიჟარასთან მოფრიალენი,  
ჩემს ქუთუთოს და  
ბაგეს მოხლილნი.

შემორაგვეული ღამის მიერ  
(გამხსენებელი თქვენი,  
თქვენი,  
სიყვარულით სავსენო) - ახლა

მჭახე, და-  
მწვარი, გან-  
ნაჭუჭებით შიგნივ-  
მბრუნავი,  
საითაც

ოხვრის  
გრძელი თოკით  
თავისქალებს ვექაჩებოდი.

## თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო

რაკილა ვნანობ  
მე ჩემს სიზმარს:  
თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო,  
გიმხელთ ამ სიზმარს:

აკლდამების თავს,  
ძველი  
კოშკის  
კიბეზე ვიდექ,  
მძარცველი ზართა,  
რეკვით დროის მაუნყებლთა;

და მე მათ ქვემოთ ვუბიძგებდი,  
თანხლებული ანგელოზთა მრისხანებით  
და დემონთა შეძახილებით.

თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო,  
გიმხელთ  
ამ სიზმარს.

## თანამდევი ვარსკვლავი

ერთი ღანვია ძონისფერი, მეორე -  
თეთრი; საით  
გავნიოთ, მამანო  
ჩემნო, დედანო ჩემნო,  
ძალს რომ მოვუხმობთ,  
სამიათასი წლის წინ წარცემულს  
ეგვიპტის მტვერში?

გაილე მინა დასარწყულებლად,  
შესაძენად გაილე წყალი,  
შემამკობელი ეჭვის ვარსკვლავი,  
ვარსკვლავი რძის წილ და სისხლის წილ:  
თანამდევი ვარსკვლავი იგი!

განმეორებულ ჟამთა კვალად,  
ოდეს თითქმის აუთვლელი  
ბორცვი ბორცვად მოიკვალთება,  
ამოყვირებაც უმრწემესი,  
აღმომხდარი გორაკქვეშ წიაღს,  
ისიც ისწავლის,  
რაც უწინვე იყო განცდილი:

აღსრულებულან უკვე ღმერთნი,  
მაგრამ თავად აჩრდილნი მათნი  
შურს ანაყრებენ?

## მე ვიტყვი მოსვლას

I

დიახ, სინათლე,  
სვეტად მდგომი  
უფსკრულის თავზე.

მის სიბრძნეს  
განა ვინ თამაშობს?  
განა ვინ უწყის  
სისავსე მისი შეშლილობისა?

მე ვიტყვი  
მოსვლას  
აქ, სინათლის  
ნამდვილ ლელქაშში.

II

მონეულია ეს ფორმულა  
ეკლის  
წვერიდან.

რაც ხელს აქამდე  
მსუბუქად უჩნდა,  
დამძიმდება და  
დაუვარდება.

და ფესვს გაიდგამს,  
ამ ადგილის  
ვარდი იქნება.

## ოსტატნი კი ასე იტყვიან

ოსტატნი კი ასე იტყვიან:  
"გამრუდებული".

მეც ასეთი მესიზმრა  
მხეცი,  
სამყაროს ჯიქი,  
ნახტომისკენ-ნებაშივე გაშეშებული.

ნადავლს ვერასდროს მოიპოვებს  
ასეთი ხახა,  
დამნაყრებელ ჩასობას ეშვის.

ის მშვიდად მიდის  
სარწყულეზლისკენ.

## ნამდვილი სუფრა

მე ნამდვილ სუფრას  
მოვიპოვებ,  
ფიქალწნული კედელი რომ ჩამოიშლება,

და მასზე მთას ვწერ,  
ფიქალმთას ვწერ, აჩხრიალებულს.

მერცხლები მოაგვირისტებენ  
მთასაც და ვაზსაც, მთაზე რომ ხარობს.

მათი ბუდეა:  
ვაზიანში  
უფლის მხარი,

მათხოვრის მხარი.

## ქვათა სუნთქვა

დიახ, საკუთარ თავს ვინც ივინყებს,  
ქვის ქვაბურიდან  
გრიგალი რომ ამოვარდება.  
ბობოქარი, ქარების ღმერთი;  
ენა იგი: დავინყებული.

გაფლანგული და  
მერე ისევ ნამემკვიდრევი,  
მეტყველებაში სიცოცხლისა სიზმარზე, ტანზე...

ხოლო ისინი მეტყველებენ:  
მიდმოჩხრიალედ,  
ქვები - ქვებთანვე, ლიტერები -  
მყიფე, ძლიერი,  
ქვაბურ უფსკრულში.

და გატყორცნიან გაოცებულის  
თავზემოდ,  
თავად რაც არ არიან,  
მოსხლეტილ სუნთქვას.

## დრონი

წვიმის მერე  
ვარდების ცხიმს  
წვეთ-წვეთები დაჰკუნწულებენ.  
მიყელყელაობს  
ლოკოკინა:  
აქ ისეთი მოცლილობაა,  
ვით აკლდამებში.

ნათლის წყალობით  
ყვავილობს თოვლი.  
აღისფერ ჩრდილით თანხლებული,  
ვზივარ ღარტაფში.  
დამატყვევა  
შროშანის და ასტრის  
ბაასმა.  
თოვლი  
ვაშლივით  
გემრიელია.

\* \* \*

სწორედ რომ დროა,  
ვარდმა თითები  
მძინარს ქეჩოში ჩაავლოს და  
მისი სახე  
სიზმრის საზარ  
რიჟრაჟში ჩარგოს.

\* \* \*

შენ, ვინც არ გიცი, შენი იყოს  
ეს გამოცანა; რუხი ვარდი საკუთარ თავს  
უსასრულოდ აღემატება; მე აღარ ვეძებ  
არც მიგნებას და არც - ძიებას (სივრცეში  
ბურთი განაგრძობს ვარდნას); შენი იყოს  
მთვარე, და, დაე, ანათოს იმან, რაც არ ანათებს ("შენ"  
ახლა უკვე ჩამქრალია); ასე რომ, ცაში  
ლაქა კიდია (ეს მზემ  
თუ იცის? ის ქალღმერთი სულაც არ არის), მაშინ,  
როს ბაგე, დადუმებული, შორეთიდან  
მცირეოდენ სწავლობს ჩემს ბაგეს... ახლობელი  
შორებელად გადაიქცევა; შორებელი იტანჯება  
სიტყვაში და არ იტანჯება; საჭიროება  
ვიდრემდეა და იტანჯება.  
მკვდრისთვის  
სიკვდილი  
მთვარე როდია.

## ეტყუდები

(ამონარიდი)

\*

ლამე, რომელშიც  
აღმასის მთა გაბრწყინებულა,  
ყვავს და ბულბულს კი  
საქანელად უქცევით  
ახალი მთვარე.

\*

შენს ხელისგულზე  
როდი მთავრდება  
ეს უგრძესი  
წვიმის ძაფები.

\*

სადაც ჯვარია  
ქვიშის საათი,  
ფესვს იდგამს ელვა.

\*

ზრუნვა: ქარივით  
შემოევლება

ის თვალმოკრული  
ზღვის დასალიერს,  
დაუდგება  
მისივ ფსკერს  
აფრად.

\*

ნაკლული რისად?  
არც ბავშვი გეტყვის  
და არც - ფრინველი.

დრო, სხვამხრივ მიზნით შეპყრობილი,  
უცებ სივრციდან  
გაგესიტყვება.

გვერდით ჩაგივლის  
გონება  
ლამაზმუხლებიანი.

\*

ზღვისპირს -  
სიცილი, მათ  
დაიჭირეს მეტყველი თევზი.  
მაგრამ ის ამბობს  
იმას, რასაც ყველა გულისხმობს.

\*

მოკვალთულია  
ეს ქვა, რომელსაც  
ჩემს ხელში ვმალავ  
და მე ვიცი იმავდროულად:  
მისი ვარდნის  
სავალზე ვდგავარ.

\*

შემოსული  
მის ჭორს  
შეავსებს.  
აღწერით  
ძველი  
სივრცე  
იზრდება.  
ირგვლივ კი ყოვლისმომცველია  
განუმარტავი,  
თხემით ტერფამდე  
აუცილებლის.

\*

მოულოდნელად  
გამოცხადდნენ,  
დაბადებულნი,

რათა იმას მისაღმებოდნენ,  
ვინც მათ შორისვე  
მყოფობდა უკვე  
და ბინადრობდა.

საჭიროება  
შემოიქცა  
საჭიროების ქეშმარიტებად.  
სიკვდილი როდი  
მოვიდოდა მოსილი. თუმცა,  
ის, მშვენიერი,  
გამოჩნდებოდა.

## მაგრამ ეს არის

მაგრამ ეს არის თავის ქალა:

ზეცა; ნაგები

სახლი კართაგან,

რომელთა მცველნი

გამოდინან-შედიან მიწყევ,

ერთურთის საპირისპიროდ:

ტყუპნი.

ერთი მცველი რომ

შავი იყოს, მეორე -

თეთრი,

და ერთი კარი

იყოს ჩემი და

შენი სიკვდილი, ყველა კარიბჭე,

ხოლო მეორე -

შენი და ჩემი სიცოცხლე, ყველა

კარიბჭე: აი,

ეს წესრიგი

მინდობილია

უქუთუთოდ უგონო

უფალს,

არა ცეცხლოვან

მარადიულ

თვალს

მის ღამეში,

გამოქვაბულში,

რომელსაც რძის და  
ფერფლის სუნი აქვს, და სადაც ვსუნთქავ  
მთელი არსებით.

სივრცე.  
სიმშვიდე  
და ფორიაქი.  
სივრცე კი არის ციხედარბაზი,  
სივრცე მორიგი  
სივრცის კარია,  
გასაღებების ასხმა ჟრარუნებს დაუსრულებლად  
მღელვარების თავს,

და შემოვივლებ  
დროის უეჭველ  
სიზმრებში  
ყელზე  
აღკაზმულობას,  
ძვირფასი ქვების ბნელ ელვარებას,  
სიკვდილს ყველა ჩვენთაგანისას,

რამეთუ აკი მაინც ჰგვიებს  
სახლში მალულად  
ხრწნაც,  
მათხოვრობაც,  
დარჩენისთვის  
სიღარიბით და მხურვალეებით ნიშანდებული,  
ჟღერადობა  
გახვრეტილ ხორხში.

## ამ ადგილებში

შორს დარჩენილა ელევსისი, აკვამლული,  
მტვრით დაფარული,  
გარეადგილი...

თუმც, ამ ადგილებს სწორედ იქიდან  
მოვლენოდეს თითქოსდა იგი,  
ჭექა-ქუხილი,

იმგვარად დაჰქშენს  
ირგვლივ აშენბერგს,  
და როგორც ყინულს,  
სტყორცნის თავის  
მჭექარე ისრებს,  
და დააჩენენ ელვარებანი  
ალაგს მოდებულ სარეველა უფერულ ბალახს,  
რომლის სურნელიც, უმძაფესი, ტვინამდე გწვდება...

და ზედმინევნით გიჩვენებენ  
ცეცხლნი ცისანი  
ტყავს ცხოველისას, მიმოჭმუჭნულს,  
გულისამრევად დაბუნუნებულს,  
ვიდრე ბრძანებდეს მეხთატეხა:

შემოიქეც და  
მისტთა აჩრდილნი  
გამოიხმე ელევსისიდან!

\* \* \*

აზროვნება, ზურმუხტისფერი  
ან უფერული: ძაფი  
ძვლებზეა დახვეული,  
ეს ყოველი  
შორიდან მოდის.

მაგრამ ხანდახან  
თავს დავაღწევ ადამიანებს  
და,  
გარიჟრაჟზე უწინარეს,  
მივაყურადებ  
ხაფ ხმებს  
პირველი დედამინის  
უსასოოდ უსუსური  
ცხოველებისა.

მსურს გავიხსენო  
სწორედ სანყისი  
მე, ამ დაბნეულ,  
ნაგვიანევ ჟამზე მოსულმა,  
მცოდნემ იმისა,  
რომ იქ, სადაც მე ვსახლობ ახლა,  
ერთ დროს ზღვა იყო.

## ძველი მოტივი

ფითრის ფერი აქვს  
კუბოს ფიცარს  
სავსე მთვარის ქვეშ,  
შეფოთილი ხეების ირგვლივ.  
ჩემს ოთახში კი დარიალებს  
ქარის სურნელი, და კმაყოფილი  
ვიქნები, მაღლა,  
აუჩქარები ბურთების ირგვლივ,  
მქრქალი ნათებით,  
თავაზიანად თანამგზავრი  
ღრუბელი რომ გამოჩნდებოდეს.

## ეტიუდი

სარკმლიდან  
ვგზავნი  
ბნელ გონებას,  
მიდამოსთან  
სალაპარაკოდ.

## მეტყველება და დუმილი

საპირისპიროდ  
ჩემდა ჰგეებს დუმილი  
ქვისა: ამიტომაც  
ვწერ  
ლამის წინ ხმოვანს,

და ერთი ამბობს:  
მძულს  
მეტყველება,  
ამიტომ ვდუმვარ,  
მე არავისთან ვლაპარაკობ,  
თვით ჩემივე თავთანაც - არა,

მთვარემ  
ანათოს  
ძველი  
ფიგურა

(რომელმაც იცის,  
აქედან  
როდის გავემგზავრები).

## ადამიანთა სიმღერა

რაკი არ ძალმიძს, სამწუხაროდ,  
ასეთი დავრჩე,  
მსურს, სიყვარულში  
გონივრულად გავერთიანდე.

მე მსურს, გავიგო,  
რაც უკვე მოხდა;  
აბა, შეხედე: მნათობიც და  
იერსახეც საკმარისად მოიძიება.

## საიმედოობა

როცა ფრინველის  
თითოეული, ზამთრისმიერი, ბუმბულის ღერო  
მეორეს არის მინდობილი მთელი ზამთარი, -  
კარგად იცნობენ ერთმანეთს ფრთები,  
გამართულნი ფრენის შეგრძნებით.

ჩვენ წყვილი ფრთით და  
ბუმბულით და ღინღლით გავფრინდით  
სისუსტის მიღმა.

\* \* \*

აქ - როგორ ვცხოვრობ  
აქ ასე დიდხანს,  
ცით დასაზღვრული,  
ელვარე გარსით,  
უგუნურებას  
რომ აღვივებს  
მთელ ზედაპირზე.

არა ადგილი ამალღებული.  
მინიერი,  
უფსკრულთუფსკრულში  
იღვწის ვარსკვლავი.

როგორ ბრუნავს და  
როგორ ტრიალებს,  
დამდგარან და შესცქერიან  
მცირე ხნის წინ მცირეოდენ განაოცი  
ჩემი თვალები.

\* \* \*

ზეცა  
ჰგეებს ძირითადად  
(ღმერთები - არა),  
მაგრამ, აი, ეს უბედობა -  
შესაძლებლის ვარსკვლავი -  
ჰგეებს.

\* \* \*

განა შენ გადაეცლებოდი  
ლამაზსახელა  
ამ მთას,  
მორწმუნე  
ამოუცნობის (როგორც ისინი  
უხმობდნენ ამას)?

მჭვრეტი სისუსტის  
ძვლების ძალა  
ნაუნყებია  
შენთვის ნამდვილის იგივესგან,  
ყოველგანვე  
განუ-  
წყვეტლისგან.

სნორედ ამიტომ,  
შენ აღმაცერ სინათლეში,  
არსად წამსვლელ  
ალაგზე  
რჩები.

\* \* \*

შუადღე, დიდი  
მიდმოსმაური.

დაე,  
ეს დრო ეკუთვნოდეთ  
ჭრიჭინობელებს.  
მათ აქვთ  
ზღაპრულად  
ჩუმი შტრიხი,  
თავისთავადი,  
ჭრიჭინობელებს!

\* \* \*

იალ-კიალი,  
ბრწყენის თვითთხრობა,  
ქარიტრხეული ფოთლის წყალობით.

დგება სალამო,  
მე კი ამ დროს,  
ადამიანთა შორის ტანჯული,  
მი-და-მო  
დავალ.

\* \* \*

მოვანესრიგებ ჩემს სანოლს  
დროში,  
მის სიმწვანეში,  
მისივე თოვლში.

მე მადნობს  
თოვლი; მევე მღებავს  
სიმწვანე  
თეთრად.

\* \* \*

ჩემივ სანოლში,  
ღამით,  
ვარსკვლავზე,  
რომლის ქროლვასაც  
ვერ ვხედავ თვალით,  
ჩემი ოთახის  
უნყინარ ბნელში,  
ვერგასაგონ  
გულისცემაზე  
ხელდაკრეფილი,  
მაინც მივქრივარ -  
სახლში მყოფი -  
ამ სისხლიან სინყვდიადემი.

\* \* \*

ცისარტყელა -  
ჩამობინდული,  
აი, სიძველე  
აღახელს თვალებს,

მზერას შეავლებს  
თავისუფალ, უსაზღვრო სივრცეს  
და გგზავნის მისი

შესაძლებელი კიდეგანისკენ,  
სადაც  
ობრვაა  
ყოველი სულის.

\* \* \*

თაღში,  
ნარუვალ ნათებაში,  
უფსკრული, ზეცა  
იშვიათ მინას რომლითაც აკრავს,

შესაძლოა თავი იჩინოს  
ბზარმა, ღიობმა, საიდანაც  
მიღმიერი სიშავე  
ჟონავს: საზარ-ეთერი.

\* \* \*

ზეცისმიერი:  
გულწრფელობა,  
მენაკი იგი  
ურჩხულებრივში,  
რომლისგანაც ოსტატები  
ფლობენ რიცხვის და  
ურიცხვის ცოდნას.

წარმომავლობა,  
მაუწყე იგი;  
საიდან არის  
გულისგული,  
შენ ეს მაუწყე...

ეს მაუწყე  
სასრულობასთან  
შემომკრთალ კიდეს.

\* \* \*

მართლაც და მეტად  
მძიმე სიზმარი...  
მკაფიოა  
"უფლის აზრები"...

ვხედავდი  
სხეულს,  
მომუშავეს,  
დამამზადებელს,  
დამზადებულს თვისივ თავისგან...

მისი თითი  
ფსკერსმოკლებულ სილურჯეს  
ჩხვერდა.

\* \* \*

არაფერია  
შენთვის უფრო მეტად ცნობილი,  
ვიდრე ის აზრი,  
რომ გონებაც  
არის მოკვდავი.

იგი, სიზმრის  
ნათელმხილველი.

## რამეთუ ყველაფერი ასე მიედინება

მიიქეც  
აუცილებლისკენ...  
წარმოდგენა  
რათა შეგექმნას.

გული,  
ახლოდან მფეთქავი და  
შორიდან  
მკედარი.

წრე,  
სისხლის მიერ  
აღნიშნული...  
ჰოი, საგანი!

\* \* \*

ხელმეორედ  
თავის აღარ  
გამოგონება.

ბრმა ნიავეში  
კვლავაც სვლა  
ერთ ხანს.

ყვავილის  
სწრაფი მზერის გვერდით  
ყოფიერება საშინელია.

\* \* \*

შენ, სიკვდილზე  
ჩემო ფიქრო,  
ტყეებმდიდარო...

ერთადერთ ტრფობას  
ჩურჩულებენ  
ფოთოლთენები.

და ტოტს ჩემგანვე მიეცემა  
ბულბული,  
ამბად ნოდებული,

რათა გალობდეს  
ისე დიდხანს,  
ვით სამუდამოდ.

\* \* \*

ბოლოს  
ორიდან  
ერთი დასძენს:  
მე  
შეგეთვისე  
შენივე მიტოვებულობაში.  
ბოლოს  
ორიდან  
მეორე დასძენს:  
ნახე, ყოველი, რაც ახლოს არის,  
რარიგ შორს არის,  
რარიგ შორს არის.

\* \* \*

ზღვის კიდეზე,  
ჰორიზონტით მოხაზული -  
"კიდესთან", ჰგეებს  
ეს სადღაც სხვაგან.

კიდესთან:  
ბოლო გაჩერება თითოეულის.

ოჰ, ასე ითქმის!

ჩემს  
თვალწინ არის  
გორაკი და  
მონაკვეთი  
გორაკის ირგვლივ...

აი,  
ინებე  
უაზრობის ეს ყვავილი  
კიდიდან გზისა.

\* \* \*

ის, ტანი,  
შრომას მიცემული,  
არა სიზმარი  
და სიზმარია.

შეავლე თვალი,  
არაქაურს,  
რომ  
შეაკავო

და გაგაჩნდეს,  
ახლობელი,  
აქ,  
უსაზღვროსთან სიახლოვეში.

\* \* \*

აქ,  
მოკაკვეული,  
ორ არარსს შორის,  
ვამბობ სიყვარულს.

აქ,  
ბზრიალაზე შემთხვევითობის,  
ვამბობ სიყვარულს.

აქ, დათრგუნული  
ფუტურო ცვებით,  
დედამინის  
ჩალის ღერებს მოჭიდებული,

აქ, გაჩენილი  
ტანჯვა-წამებით,  
ხრამთა

და ხრამთა ჩასახული,  
ვამბობ სიყვარულს.

\* \* \*

მეხსიერება, დაწერილი  
განმეორებით:

აკი, გითხარი  
მრავალი წლის წინ,  
რომ შევხვდებოდით  
ისევ ერთმანეთს  
გაურითმავში,  
სადაც ტკივილი,  
მინის ქერქზე არსებული,  
იქცეოდა ბედნიერებად.

ეს, სიყვარული  
კიდევ ერთხელ, ხოლო მერე,  
როგორც წესი,  
აღარასოდეს.

ბაგემდუმარედ  
დროთა მერე  
უპირობო  
აღიარება.

\* \* \*

კერძი  
მზად იყო;  
მზე და მთვარე  
ენყო ლანგარზე.

შენ -  
სინათლეში ჩემთან პირისპირ.  
მტვერი  
ჩვენს ირგვლივ ფაქიზად ქროდა.

\* \* \*

ჩვენ სიშორეთა წყალობით  
ვცოცხლობთ.

სიკვდილი  
ჩვენთვის საცნობია  
ისე შორს, როგორც  
უმაღლესი ვარსკვლავი ცაზე.

ჩვენში ბუნების სიბეჯითე  
ადგენს საზომებს.

\* \* \*

მარადისობა -  
ის თითქმის საგნად  
წარმოუდგება  
უვარგის აღქმას.

არადა, ის ხომ  
არა, არასდროს დასრულებადი  
გაქცევა და მდინარებაა.  
კარგად იფიქრე ამ ყველაფერზე.

დრო თუ  
შთანთქავდა თავის თავს ვით დრო,  
მკვდარი სხეული  
ამ კითხვას არ სვამს.

\* \* \*

თხრობა  
შესახებ იმის, რაც იყო,  
მხოლოდ ხრწნაში  
მოიპოვება.

მკვდრები სახელდობრ,  
მათი თვითობის  
ამომწურავი არაკისთვის  
აღარ ვარგანან.

არადა, ამ დროს  
სწორედ საფლავი იქნებოდა  
მოსათხრობად  
ზუსტი ადგილი.

\* \* \*

მე ვერ გავიგებ,  
თუ რაა მინა,  
როცა მინად  
გადავიქცევი.

მაშ, სიცოცხლეა  
ყველაფერი,  
სფეროებში  
შემეცნების ხმოვანებაა.

\* \* \*

ყოფიერებად წოდებულ  
ამ ხატს  
მამად უვის  
უფსკრულთუფსკრული.

დედას კი,  
ერთობ გაბრწყინებულს,  
გვრინი ჰქვია,  
აქაც და იქაც.

გამოხსნილნი ვართ  
არარას მიერ,  
და არარაა  
ის, რაც ჩვენ გვრჩება.

\* \* \*

შენ, მიწაო, აღსავსეო თავისქალებით,  
რას ვამბობ მე და ეს - თქმა -  
რა არის?

სწორედ სიკვდილის ანგარიშია,  
რაც უფლებების ძიებას ხდის  
აუცილებელს.

უცნაურია ეს ყველაფერი,  
და არსებობს  
მადლიერება.





# პაულ ცელანი

1920-1970



## შავი ფიფქები

თოვლი მოვიდა, უსინათლო. თვეა უკვე ერთი თუ  
ორი, ბერის კაბაში გახვეულმა შემოდგომამ,  
უკრაინის ფერდობებიდან, მეც მომიტანა ფურცლით  
უნწყება:

"წარმოიდგინე, აქაც ზამთრდება, ეს - მეთასედ,  
მხარეში, სადაც უფართოესი დინება მოდის:  
სისხლი, ნაკურთხი ნაჯახებით, იაკობის ციური სისხლი...  
ო, სიალისფრის ყინული არაამქვეყნიური - ჰეტმანი  
რომ გადალახავს  
თავის ალალით, დაბნელებულ მზეთაქვეშეთში... ოჰ,  
შვილო, ვნატრობ მხოლოდ თავსაფარს,  
გავეხვეოდი, ჩაჩქანები როცა ელავენ,  
როცა ჩამესმის ვარდისფერი ხორგის ჭრიალი, თოვლის  
მტვერით გაიფანტება როცა ჩონჩხი  
მამაშენისა, ფლოქვით თელილი  
მღერა კედარზე...  
თავსაფარი, მხოლოდ ციცქნა თავსაფარი, რომ  
გავუფრთხილდე

ამიერიდან, რაკილა უკვე ტირილს სწავლობ, ჩემივე  
გვერდით  
სივინროვეს ამ სამყაროსას, რომელიც აღარ  
ამნვანდება, ჩემო შვილო, შენი შვილისთვის!"

სისხლად მდიოდა შემოდგომა, დედაჩემო, და თოვლი  
მწვავდა:  
ჩემს გულს ვეძებდი, რომ ეტირა... ვპოვებდი სუნთქვას,  
ოჰ, ზაფხულისას,  
ის სულ შენ გგავდა.  
მე ავტირდი. ვქსოვდი თავსაფარს.



## მარიანა

უიასამნოდ დაშთა შენი თმა და სარკესავით გაიყინა  
შენი იერი.  
თვალით თვალამდე ღრუბელია განელილი, როგორც  
სოდომი ბაბილონამდე:  
ის კომკს ჩამოშლის, როგორც ფოთლეულს, გოგირდის  
ბუჩქის ირგვლივ ბობოქრობს.

ელვა აცხრება მერე შენს ბაგეს - ქვაბურს, რომელიც  
ვიოლინოს ნარჩენებით ამოვსებულა.  
ხემზე სრიალებს თოვლით ფენილი კბილი მავანის: ო,  
ლერნმის ღერო რა ტკბილად ჟღერდა!

ძვირფასო, შენც ხომ ღერნამი ხარ, ჩვენ კი - ნვიმები;  
ღვინოს - შენს სხეულს შეუდარებელს - ვენაფებით  
დაურწყულებლივ;  
პურის ყანაში ნავს - შენს გულს - ღამის მიმართულებით  
მივასრიალებთ;  
შენ, ლურჯი ტოლჩა, თავს მსუბუქად გადაგვევლები,  
და ძილს ვეძლევიტ...

მერე კარვის წინ ასეული წამოიშლება, და სამარისკენ  
მივასვენებთ სმით და მოლხენით.  
სიზმრების მტკიცე ტალერია, ამ სამყაროს  
ქვაფილებზე რომ წკრიალებს ამიერიდან.

## ქონის სანთელი

ბერებმა წიგნი გადაშალეს თმიან თითებით:  
სექტემბერია.  
ან იაზონი მოწეულ ნათესს თოვლის საფარს  
გადააფარებს.  
შენ ტყემ ხელების ყელსაბამი გამოგინოდა, და  
მიაბიჯებ ბაგირზე, მკვდარი.  
ბნელი სილურჯე ერგება წილად შენს თმას, ხოლო მე  
სიყვარულის შესახებ ვყვები.  
ნიჟარებს ვყვები, მსუბუქ ღრუბლებს, და წვიმაში  
ყვავილობს ნავი.  
გადაუქროლებს მფურცლავ თითებს კვიცი-ულაყი -  
შავად იღება კარი, მე ვიმღერ:  
ჩვენ აქ დღემდე როგორ ვიცხოვრეთ?

\* \* \*

დრო-ჟამით ხელებმოსეხული, აი, როგორი მოხვედი  
ჩემთან -

მე ვთქვი: შენ არ გაქვს ნაბლისფერი თმა.  
შენ ის მსუბუქად აასვენე დარდის სასწორზე, სადაც ის  
ჩემზე მძიმე აღმოჩნდა...

ისინი შენსკენ გემებით დიან, ტვირთავენ შენს თმას და  
სურვილის ბაზრობებზე სავაჭროდ მიაქვთ -  
შენ მე ქვევიდან ამომლიმებ, მე პინიდან ჩამოგტირებ,  
მსუბუქად რომ ატაცებულა.

მე ვტირი: არ გაქვს ნაბლისფერი თმა, ისინი ზღვის წყალს  
გთავაზობენ, შენ კი მათ შენივ კულულებს აძლევ...  
შენ ჩურჩულე: ისინი უკვე ამ სამყაროს ჩემით ავსებენ,  
და მე შენს გულში ვრჩები ღარტაფად.  
ამბობ: საშენოდ მიითვალე ფოთლეული წელიწადების -  
მოხვიდე და მეამბორო, სწორედაც დროა!

ნაბლისფერია ფოთლეული წელიწადების, შენი თმა - არა.

## შუალამე

შუალამე. სიზმრის ხანჯლებით შეკინძული მკვესავ  
თვალეში.

არ დაიყვირო ტკივილისგან: ღრუბლები, როგორც  
თავსაფრები, მიფარფარებენ.

ბნელით ბნელამდე ცეკვის ჟინით, ის ჩვენს შორის  
განეფინა აბრეშუმის ხალიჩასავით.

შავი ფლეიტა გამოგვიჭრეს ცოცხალი ხისგან, და, აი,  
უკვე მოცეკვავე ქალიც გამოჩნდა.

ზღვის ქაფით დართულ თითებს ძირავს იგი ჩვენს  
თვალში:

აქ ვინმეს კიდევ სურს, რომ იტიროს?

არავის. ასე ბზრიალებს იგი, გალაღებული, და  
ცეცხლოვანი დაფდაფია, ხმას რომ იმაღლებს.

რგოლებსაც გვიგდებას, ჩვენ ხანჯლებზე ვაცვამთ ამ  
რგოლებს.

ნუთუ, ის ასე შეგვაუღლებს? ნამსხვრევებივით  
გაიჟღერებს, და კვლავ ვიცი ამიერიდან:

არ მოუკლიხარ

ბალბისფერ სიკვდილს.

\* \* \*

თეთრად მოგიჩანს ბნელში ტანი, ხეო ვერხვისა.  
დედაჩემის თმა თეთრად აღარ შეიფერება.

ხარობს სინათლე, უკრაინა ამწვანებულა.  
შინდაბრუნებას ველარ შეძლებს მზისფერი დედა.

რატომ ყოვნდები წყაროსთვალთან, წვიმის ღრუბელო?  
ჩუმად რომ ტირის იქ ყველასთვის, დედაჩემია.

ოქროვან მარყუჟს შემოიქსოვ, მრგვალო ვარსკვლავო.  
დედაჩემის გულს მოსაკლავად ესტუმრა ტყვია.

ვინ ამოგაგდო, მუხის კარო, ანჯამებიდან?  
სანდომიანი დედა აღარ დამიბრუნდება.

## ქვიშა ურნებიდან

ობივით მწვანე ფერი მოსავს დავინყების სახლს.  
ქარსშეტოვებულ ყველა კართან შელურჯდება  
თავნაჭრილი შენი მედოლე.  
ის ხავსისგან და სარცხვინელის მწარე თმისგან  
დამზადებულ დაფდაფს შენტვის აახმიანებს;  
დაჩირქებული ფეხისთითით შენს წარბს ხატავს იგი  
ქვიშაზე.  
უფრო გრძელს ხატავს, ვიდრე იყო, და - სინითლეს შენი  
ტუჩების.  
აქ ურნებს ავსებ და გულს ინაყრებ.

\* \* \*

ღრჭიალი რკინის ქალამნებისა, საბრალობელი -  
ალუბლის ხეზე.  
ჩაფხუტებიდან შენთვის ზაფხული ამოქაფდება.  
გუგული, შავად შეფერილი,  
მის სურათს ხატავს ცის კარებზე ალმასის დეზით.

შიშველი თავი გამოუჩანს ფოთლეულში შეკიდულ  
მხედარს.  
მტრის ფოლადოვან სუდარაზე მილურსმული შენი  
ლიმილი  
მას ბუნდოვნად თავის გერბზე გამოუსახავს.  
აღთქმული იყო მისთვის ბალი მეოცნებეთა,  
და მზად უპყრია ოროლები, ვინძლო ვარდი  
გადაიფურჩქნოს...

თუმცალა ჰაერს გამომსჭვალავს შეუმოსავი, ვინც  
უმეტეს შენი მსგავსია:  
გამხმარ ხელებზე მიათასმავს რკინის ქალამნებს,  
გამოიძინებს ბრძოლას და ზაფხულს. ალუბალი  
სისხლად სწორედ მისთვის იღვრება.

## ბნელი თვალი სექტემბერში

ქვამოსხმული დრო. და ტკივილის დაღალკავეები  
ნაკადულებად ევლებიან ირგვლივ მზერას დედამიწისა,  
მთვრალი ვაშლისა, ცოდვიანი შეგონების მონაბერით  
გარუჯულისა: ლამაზია და არმონყალე იმ თამაშისა,  
რასაც ისინი თამაშობენ ყალბადჩენილ  
ანარეკლში მისი მერმისის.

უკვე მეორედ ყვავილობს ნაბლი:  
ორიონის მალიადი უკუქცევის  
მწირადელვარე  
იმედის ნიშნად: მას მაღლით უხმობს  
ცის თვალდავისილი მეგობრების  
ვარსკვლავუხვი გულმოდგინება.

სიზმრის კარებთან, შეუნიღბავი,  
უცილობლობს ეული თვალი.  
სავსებით ჰყოფნის საცოდნელად,  
რაც რამ ხდება ყოველდღიურად:  
აღმოსავლეთის სარკმელთან ღამით  
მას განცდის სუსტი  
მოგზაური გამოუჩნდება.

შენ ანობ მახვილს სისველეში მისი თვალისა.

## ქვა ზღვიდან

ჩვენი სამყაროს თეთრი გული, ჩვენივე ნებით რომ  
დავკარგეთ დღეს, სიმინდის ჩენჩოს ჭკნობის ჟამს:  
ჩაგვიგორდება ხელებიდან ისე მსუბუქად, როგორც  
გორგალი.

ასე დაგვირჩა დასართავად ძილის ახალი, მწითური  
მატყელი ქვიშიანი სამარხიდან ჩვენი სიზმრისა:  
გული ან აღარ, სამაგიეროდ - თავის თმა სიღრმისეული  
ქვისა,  
ულარიბესი მორთულობა მისი შუბლისა, რომელიც  
ტალღებს და ნიჟარებს ჩაფიქრებია.

ის, შესაძლოა, რომელიმე ქალაქის ბჭესთან,  
დამისეულმა აიტაცოს ჰაერში ნებამ,  
აღმოსავლურმა მისმა თვალმა მოუთხროს სახლზე,  
სადაც ჩვენ ვწევართ,  
ჩვენს ბაგეებზე, დაფარულზე ზღვიურ სიშავით,  
ჰოლანდიური ტიტებით მორთულ ჩვენივე თმაზე.  
ისე უპყრიათ მათ ლახვრები, როგორც ჩვენ გვეპყრა  
ჩვენი სიზმარი, თეთრი  
გული ჩვენეული სამყაროსი ასე ჩაგორდა და დაიშალა.  
ასე დაეხვა  
მის თავს ირგვლივ კულულა ნართი: მატყლი სრულიად  
უცნაური,  
ნაცვლად გულისა.

ო, ძგერა, რაიც გაჩნდა და გაქრა! სასრულეთში  
საბურველნი ქარდაქარ ფრენენ.

## საფრანგეთის გახსენება

შენც გაიხსენე ჩემთან ერთად: პარიზის ზეცა, პარიზის  
დიდი უდროობა შემოდგომური...  
საყვავილეში შევიძინეთ ჩვენ გულები სათოვლისა:  
ლურჯები იყვნენ, წყალშიც ლურჯად გამოყვავილდნენ.  
მოულოდნელად ჩვენს ოთახში მოვიდა წვიმა.  
გვესტუმრა ჩვენი მეზობელი, Monsieur Le Songe, ჩია  
კაცუნა.

ბანქოს ვუსხედით, მე წავაგე თვალისგუგები;  
შენ თმა მასესხე, მე წავაგე, მან ჩვენ მოგვცელა.  
მერე კი კარი გაიხურა, თან გაჰყვა წვიმა.  
მკვდრები ვიყავით, მაგრამ მაინც შეგვეძლო სუნთქვა.

## შერდილული ქალბატონის სიმღერა

როცა მოდის და ტიტებს წყვეტს უტყვი ქალი:  
ვინ მოიგებს?

ვინ წააგებს?

სარკმელში ვინ გამოჩნდება?

და მის სახელს უწინარეს ვინ გამოთქვამს, ვინ იქნება?

არის ერთი, მას ჩემი თმა ხელთ უპყრია.

მას ჩემი თმა, როგორც მკვდარი, ხელთ უპყრია.

ხელთ უპყრია, როგორც ზეცას ეპყრა იმ წელს,

სიყვარული რომ მენვია.

მერე რარიგ თავმომწონედ ხელთ უპყრია.

ის მოიგებს.

არ წააგებს.

არც სარკმელში გამოჩნდება.

იმ სახელის გამომთქმელი არ იქნება.

არის ერთიც, მან თვალეები გამომტაცა.

მას მერე აქვს, რაც ჭიშკარი ირაზება.

თავის თითზე ბეჭდებივით წამოუცვამს.

და უპყრია ისე, როგორც ნამსხვრევეები სურვილის და

საფირონის:

ის ძმა იყო უკვე ჩემი, შემოდგომა როცა იყო;

იგი დღეებს და ღამეებს ითვლის უკვე.

ის მოიგებს.

არ წააგებს.

სარკმელში არ გამოჩნდება.

იმ სახელის საბოლოოდ გამომთქმელიც ის იქნება.

არის სულ სხვა, ვინც იმას ფლობს, რაც გამოვთქვი.

როგორც ნასკვი, ილლიის ქვეშ მას უპყრია.

ხელთ უპყრია, როგორც საათს უმძიმესი თავისი დრო.

მას კარდაკარ დაატარებს, არ იცილებს.

ის წააგებს.

არ მოიგებს.

ის სარკმელში გამოჩნდება.

იმ სახელის უწინარეს გამომთქმელიც ის იქნება.

მას ტიტებთან ერთად თავი წაეცლება.

## ელვა ღამისა

სხივმოკაშკაშედ ეკიდა ცეცხლი ჩემი დაისის სატროს  
კულულებს:  
ახლა კი მე მას უმსუბუქესი ხისგან შეჭედელ კუბოს  
ვუგზავნი.  
როგორც სანოლი რომაული ჩვენი სიზმრების, ისიც  
ტალღებს აუტაციათ;  
ისიც ჩემსავით თეთრი პარიკით არის მოსილი და  
ლაპარაკობს ხმის ჩახლენამდე:  
ისე მეტყველებს, როგორც - მე, როცა გულებში  
შესვლის ნება მეძლევა.  
მან სიყვარულზე ის ფრანგული სიმღერა იცის,  
შემოდგომაზე რომ მიმღერია,  
როცა მე მწუხრის ქვეყანაში ვმოგზაურობდი და დილის  
მხარეს ვწერდი წერილებს.

გრძნობის კორომში გამოთლილი მშვენიერი ნავია  
კუბო.  
ერთ დროს, შენს თვალზე ახალგაზრდა, მეც  
დავშვებულვარ სისხლქვემდინარედ.  
ახლა კი შენ ხარ ისეთი ნორჩი, როგორც არის მარტის  
თოვლში მკვდარი ფრინველი.  
ახლა კი იგი შენ გესტუმრება და თავის ფრანგულ  
სიმღერას მღერის.  
თქვენ მსუბუქი ხართ: ჩემს გაზაფხულს თქვენ  
ბოლომდე გამოიძინებთ.

მე გახლავართ უმსუბუქესი:  
მე უცხოთა წინაშე ვიმღერ.

## წელიწადები შენით ჩემამდე

მოგეტალღება თმა კვლავ და კვლავ, როცა მე ვტირი.  
შენი თვალების სილურჯით შლი  
სუფრას ჩვენი სიყვარულისა: ზაფხულსა და  
შემოდგომას შორის საგებელს.  
ჩვენ ვსვამთ, რაც იმან ააქაფქაფა, ვინც არ ვიყავით  
არც მე, არც შენ ან ვინმე მესამე:  
ცარიელს და უკანასკნელს ხარბად ვისრუტავთ.

ერთმანეთს ვუმზერთ სარკეებში უღრმესი ზღვისა და  
უმაღ საკვებს ვუნვდით ერთმანეთს:  
ღამე ღამეა, ალიონით იწყება და  
მე მანვენს შენთან.

## სიშორის ქება

შენი თვალების თავწყაროში  
შეშლილი ზღვის მეთევზეთა ბადეები გალაღებულან.  
შენი თვალების თავწყაროში  
თავის სიტყვას ზღვა არ ღალატობს.

აქ განვიშორებ  
გულს, რომელიც კაცთა შორის დავანებულა,  
ჩემს შესამოსელს და ფიცის ციალს:

უკუნში უკუნს აღმატებული, ვარ უშიშვლესი.  
მე ერთგული ვარ მხოლოდ მაშინ, როცა ვღალატობ.  
მე შენ მაშინ ვარ, როცა მე მე ვარ.

შენი თვალების თავწყაროში  
აფრებს ვშლი და ძარცვას ვოცნებობ.

ბადეს ბადევე მოიბადებდა:  
განვინვალებით ერთმანეთში გადახლართულნი.

შენი თვალების თავწყაროში  
ჩამომხრჩვალნი თოქს ჩამოახრჩობს.

## მთელი ცხოვრება

ლურჯი ფერი აქვთ ძილ-ღვიძილის მზეებს, ვით შენს  
თმას შეცისკრებისას.  
ისევე სწრაფად იზრდებიან, როგორც ბალახი - ჩიტის  
საფლავზე.  
მათაც იზიდავს თამაში, ჩვენ რომ ვთამაშობდით ჩვენს  
სიზმარში ვნების გემებზე.  
მათაც უხვდებათ სატევრები დროის კლდეებზე.

ხოლო ღრმა ძილის მზეებს ფერი ულურჯესი აქვთ: შენი  
კულუღი ერთხელ იყო მხოლოდ ასეთი:  
ვით ღამის ქარი, ვრჩებოდი შენი დის საშოში,  
გასაყიდად გამოტანილში;  
ჩამოშლილიყო ჩვენს თავზემთ, ხეზე, შენი თმა, შენ კი  
ამ დროს იქ არ იყავი.  
ჩვენ მთლად სამყარო ვიყავით და შენ იყავი ბურქი  
ჭიშკართან.

ხოლო მზეები სიკვდილისა თეთრნი არიან, როგორც  
არის თმა ჩვენი ბავშვის:  
ზღვის მოქცევიდან იგი მაშინ ამოვიდა, დიუნებში  
კარავს რომ შლიდი.  
ბედნიერების დანა იშიშვლა მან ჩვენს თავზე ჩამქრალი  
მზერით.

## გვიან და ღრმად

ავსული, როგორც მოქარგული მეტყველება, იწყება  
ღამე.

ჩვენ მდუმარეთა ვაშლებს მივირთმევთ.

ვირჯებით საქმით, ნებიერად რომ ანდობენ თავ-თავის  
ვარსკვლავს;

ჩვენივ ცაცხვების შემოდგომას ვახლავართ, როგორც  
მოფიქრალი სინითლე დროშის,

ცეცხლოვანი სამხრეთელი სტუმრები როგორც.

ჩვენ ახალ ადამს - ქრისტეს - ვიფიცებთ, რომ  
შევაუღლებთ მტვრის მისხალს მტვერთან,

ფრინველებს - ყარიბ ფეხსაცმელთან,

წყალში ჩასულ კიბესთან - ჩვენს გულს.

ვიფიცებთ ქვიშის ნმინდა ფიცით ქვეყნიერებას,

სიამოვნებით ვიფიცებთ ჩვენ მას,

უსიზმრო ძილის სახურავებზე, მაღალი ხმით ვიფიცებთ  
ჩვენ მას

და ვაფრიალებთ დროის ჭალარას...

ხოლო ისინი გაჰყვირიან: სიცრუეს ამბობთ!

დიდი ხანია, ცნობილია ჩვენთვის ეს ცოდნა.

დიდი ხანია, ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ განა რა ხეირია?

თქვენ აღთქმის თეთრ ფქვილს ფქვავთ სიკვდილის  
თეთრ წისქვილებში,

თქვენ ის გამოგაქვთ ჩვენი ღების და ძმების თვალწინ -

ჩვენ ვაფრიალებთ დროის ქალარას.

თქვენ ჩვენ ჩაგვძახით: სიცრუეს ამბობთ!

ჩვენ კარგად ვიცით ეს ყველაფერი,

დაე, ჰგებდეს ეს ბრალი ჩვენზე.

ჰგებდეს იგი ყველა ჩვენგანზე, მოხეტიალე ყველა  
ნიშანზე,

დაე, ჰგებდეს ზღვა მოყაშყაშე,

უკუქცევის ბორგნეული ქარისკვეთება,

შუალამის დღე,

დაე, ჰგებდეს ის, რაც დღემდე არ არსებულა!

დაე, ჰგებდეს სამარიდან აღმდგარი კაცი.

## CORONA

ჩემი ხელიდან აგემოვნებს შემოდგომა თავის  
ფოთლეულს: ჩვენ დავმეგობრდით.  
დროს ნაჭუჭისგან ვასუფთავებთ და სიარულს  
შევასწავლით:  
დრო ბრუნდება ნიგვზის ნაჭუჭში.

სარკეში - კვირა,  
სიზმრად სძინავთ,  
ბაგე არ ცრუობს.

ჩემი მზერა ეშვება სატროფოს სარცხვინელისკენ:  
ერთმანეთს ვუმზერთ,  
ჩვენ ერთმანეთს ბნელს ვეუბნებით,  
ჩვენ ერთმანეთი ისე გვიყვარს, ვით ყაყაჩოს და  
მეხსიერებას,  
ჩვენ ისე გვძინავს, როგორც ღვინოს - ნიჟარებში,  
როგორც ზღვას - მთვარის სისხლის ნაკადში.

სარკმელთან ვდგავართ, ერთმანეთს ვართ  
გადაჭდობილი, ქუჩიდან კი გვაცქერდებიან:  
დროა, იცოდნენ!  
დროა, დანებდეს ქვა ყვავილობას,  
ფორიაქმა აიკლოს გული.  
დროა, დრო დადგეს.

დროა.

## სიკვდილის ფუგა

შავი რძე დილასისხამისა ჩვენ ვსვამთ მწუხრიჟამს  
ვსვამთ მას შუადღეჟამს და დილაჟამს ვსვამთ მას  
ღამეჟამს

ვსვამთ და ვსვამთ ჩვენ მას  
ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერთა შინ სივინროვეს სადაც  
არ გრძნობენ

სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან  
თამაშობს ის წერს

წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი  
ოქროსფერი თმა

წერს და გამოდის სახლიდან და ვარსკვლავები  
ციმციმებენ სტვენით უხმობს თავის ნაგაზებს  
სტვენით გაიხმობს იგი თავის ებრაელებს და აიძულებს  
მათ მიწაში თხარონ სამარე

ახლა კი რამე საცეკვაო დაუკარით ასე გვიბრძანებს

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ გსვამთ დილაჟამს და შუადღეჟამს გსვამთ შენ  
მწუხრიჟამს

ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან  
თამაშობს ის წერს

წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი  
ოქროსფერი თმა

სულამით შენი ფერფლისფერი თმა ჩვენ ვთხრით სამარეს  
ჰაერთა შინ სივინროვეს სადაც არ გრძნობენ

ზოგს ნიადაგში უფრო ღრმად ჩასვლას სხვებს  
სიმღერას და ცეკვას უბრძანებს  
ნაეტანება ქამარზე ფოლადს ამოაშიშვლებს ცისფერია  
მისი თვალეზი  
ნიჩბები უფრო ღრმად ჩაასეთ თქვენ კი ისევ  
საცეკვაოს დაკვრა განაგრძეთ

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ გსვამთ დილაჟამს და შუადღეჟამს გსვამთ შენ  
მნუხრიჟამს

ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი  
ოქროსფერი თმა  
სულამით შენი ფერფლისფერი თმა ის გველებთან  
განაგრძობს თამაშს

ყვირის სიკვდილი უფრო ტკბილად დაუკარით  
სიკვდილი ხომ ოსტატია გერმანეთიდან  
ყვირის შეეხეთ ვიოლინოს მეტი სიბნელით მერე ჰაერში  
კვამლივით ახვალთ  
მერე სამარეს ჰპოვებთ ღრუბლებში სივინროვეს სადაც  
არ გრძნობენ

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ გსვამთ შუადღეჟამს სიკვდილი ხომ ოსტატია  
გერმანეთიდან  
ჩვენ გსვამთ მნუხრიჟამს და დილაჟამს ჩვენ შენ გსვამთ  
და გსვამთ

სიკვდილი ხომ ოსტატია მისი თვალი არის ცისფერი  
ის შენ ტყვიასხმულს მოგახვედრებს ის გესვრის  
ზუსტად  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი  
ოქროსფერი თმა  
თავის ნაგაზებს ის ჩვენ გვიქსევს ის ჰაერში გვჩუქნის  
სამარეს  
ის გველებთან განაგრძობს თამაშს სიკვდილი ხომ  
ოსტატია გერმანეთიდან

მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
სულამით შენი ფერფლისფერი თმა

## ყარიბობისას

ეს ის ჟამია, თანამგზავრად მტვერს რომ აგიჩენს,  
შენს პარიზულ სახლს - შენივ ხელთა  
მსხვერპლშესანირად,  
შენს შავ თვალს - შენივ უშავეს თვალად.

ეს სამკვიდროა, რომ უპყრია შენი გულის მოსართავები.  
გაგემლებოდა თმა, დაშურებულს - მაგრამ მას ეს  
აკრძალული აქვს.  
მათ არ უწყიან, დამდგარან და ხელეპს გიქნევენ.

## ეგვიპტეში

უცხო ქალის თვალს უნდა უთხრა: იყავი წყალი.  
ისინი, წყალში ვინც შეიცან, უცხოს თვალში უნდა ეძიო.  
შენ წყლიდან უნდა გამოიხმო: რუთ! ნოემი! მირიამ!  
შენ უნდა მორთო იგი, როცა უცხოსთან წვეები.  
შენ უნდა მორთო იგი უცხოს ღრუბლიანი თმით.  
შენ უნდა უთხრა მირიამს და ნოემის და რუთს:  
შემომხედეთ, მე მასთან ვწევარ!  
შენ საუცხოოდ უნდა მორთო შენს გვერდით უცხო.  
შენ უნდა მორთო იგი რუთის, მირიამის, ნოემის  
ტანჯვით.

უცხო ქალს ასე უნდა მიუგო:  
შეხედე, მათთან ერთად ვინეკი!

## ნებელჰორნი

ბაგით სარკეში, გამრუდებულში,  
ცხაურის გისოსს მიკრული ხელით,  
ჩაიმუხლებდე ქედმაღლობის სვეტის წინაშე:

მოიახლოვეთ სიბნელე და  
დამასახელეთ,  
წარმადგინეთ მე მის წინაშე.

\* \* \*

სილურჯეს, ჯერაც მისი თვალის მაძიებელს, ვენაფები  
უპირველესი.  
შენს ნაფეხურებს ვენაფები და ასე ვხედავ:  
შენ, მარგალიტი, გაგორდები ჩემს თითებს შორის, და  
შენ იზრდები!  
იზრდები ისე, როგორც ყველა, ვინც დაივინყეს.  
მიგორავ: სევდის კუპრისფერი სეტყვის მარცვალი  
აცვივა თავშალს, დამშვიდობების ხელისქნევით  
ერთიანად გამოთეთრებულს.

\* \* \*

ვინც, შენსავით და ყველა მტრედივით, ბნელიდან  
ხაპავს დღის შუქს და მიმწუხრს,  
ვარსკვლავს ამომჩხვლევს თვალებიდან, იელვებს  
ვიდრე,  
ბალახს ამომგლეჯს წარბებიდან, ითეთრებს ვიდრე,  
გამომიხურავს კარს ღრუბლებში, შევალწევ ვიდრე.

ვინც, როგორც შენ და ყველა მიხაკი, სისხლს თვლის  
სარგებლად და ღვინოდ სიკვდილს,  
ჩემი პეშვიდან გამობერავს საკუთარი თასისთვის მინას,  
აღისფრად ფერავს სიტყვით, მე რომ არასდროს  
მითქვამს,  
და ნამსხვრევ-ნამსხვრევ მიმოფანტავს შორი ცრემლის  
ქვით.

## ცეცხლის ნაჭდევი

ჩვენ ძილს დავხსნოდით, რაკილა უკვე ურვის საათის  
მექანიზმში ვიმყოფებოდით  
და, როგორც წნელებს, ჩვენ ვდრეკდით ისრებს,  
და უმაღლეს უკუსხლტებოდნენ და დროს როზგავდნენ  
სისხლისდენამდე,  
და მზარდი მწუხრის დასაცავად ხმას იმაღლებდი,  
და "შენ" თორმეტჯერ ვუთხარ შენი სიტყვების ღამეს,  
და ის განიხვნა და განხვნილი დარჩა ასევე,  
და ერთი თვალი მის კალთას ვანდე, შენ ჩაგიმაგრე  
თმაში მეორე  
და მე მათ შორის ცეცხლსადენი დავახვიე, არტერია  
გაშიშვლებული -  
და იქიდან ამოინთხა ცინცხალი ელვა.

\* \* \*

ვინც გულს მკერდიდან ლამისაკენ აასწრაფებს, ვარდს  
მოიპოვებს.

მისია ვარდის ფურცელიც და ეკალიც - მისი.  
სწორედ მის თეფშზე დაასვენებს ვარდი თავის შუქს,  
აღივსებიან სურნელებით მისნი სასმისნი,  
თავბრუს ახვევენ მას ჩრდილები სიყვარულისა.

ვინც გულს მკერდიდან ლამისაკენ მიმართავს და  
მალლა ატყორცნის:

ის არ ააცდენს,  
ის ქვას ქვას უწვდენს,  
საათიდან სისხლი ჟღერს მისთვის,  
ის დრო-ჟამს ზომავს თავისი დროით:  
მას უფლება აქვს ითამაშოს ულამაზესი ბურთებით და  
ისაუბროს შენზე და ჩემზე.

## ბროლი

ჩემს ბაგეებთან არ ეძიო შენი ტუჩები,  
არც კართან - უცხო,  
არც თვალში - ცრემლი.

შვიდი ღამის მაღლა ალისფერი ალისფრისკენ  
დაშურებულა,  
შვიდ გულზე უფრო ღრმაა კარზე ხელის კაკუნი,  
წყარო ხმაურობს შვიდ ვარდზე გვიან.

## სუდარა

ის, მსუბუქისგან შენ რაც მოქსოვე,  
მომისხამს მე ქვის პატივსაცემად.  
შეყვირებებს რომ ავშლი წყვდიადში,  
მათ კვლავ წყვდიადი შეეგებება.

ხშირად, ენა რომ ბორძიკს დაინყებს,  
ის დავინყებულ ნაკეცებს აჩენს,  
და მიუტევეებს, ვინც ახლა ვარ,  
იმას, ვინც ვიყავ.

მაგრამ ფერდობთა მამალვთაება  
გამოყრუებულ დაფდაფს შემოკრავს,  
და ნაკეცები როგორც ჩნდებოდა,  
სიბნელე შუბლს კრავს.

## ღია ზღვაში

პარიზი, გემი, ჩაშვებული ჭიქაში ლუზა:  
შემოვსხდომივართ სუფრას ორნი, შენ გადღეგრძელებ.  
ვსვამ ისე დიდხანს, გიბნელდება ჩემი გული და  
ვსვამ ისე დიდხანს, მის ცრემლებში ცურავს პარიზი,  
ვსვამ ისე დიდხანს, რომ გეზს იღებს შორი ნისლისკენ,  
სადაც სამყარო გვებურება, სადაც ყველა "შენ" არის ის  
ტოტი,  
რომელსაც ჩუმ და მოფარფატე ფოთლად ვკიდევარ.

\* \* \*

მარტო ვარ, მწიფე სიშავბნელით სავსე ჭიქაში  
მე ფერფლის ყვავილს მოვათავსებ. ბაგეო დისა,  
შენ ამბობ სიტყვას, სარკმლების წინ რომ ხარობს მერე,  
და უხმოდ მეკვრის, რაც ოდესმე მიოცნებია.

უკვე ყვავილებმოთავებულ დროში ვყვავილობ,  
ნაგვიანევი ფრინველისთვის დღვირს ვაგროვებდი:  
ზაფხულგამოვლილს, ჩემთვის მოაქვს ცოცხალწითელი  
ფრთით თოვლის ფიფქი, ნისკარტით კი - ყინულის  
თესლი.

## ტოლჩები

კლაუს დემუსს

დროის გრძელ სუფრებს  
მოუღებენ ღმერთის ტოლჩები.  
ბოლომდე სვამენ ხილულთა თვალებს და  
თვალდავსილთა თვალებსაც სვამენ,  
გულებს მბრძანებელ აჩრდილებისა,  
მნუხრიჟამის ჩაცვივრულ ლოყებს.  
მომღებნთა შორის მათი ძალა უძლეველია:  
როგორც სისავსე, ისე მიაქვთ ბაგეებთან სიცარიელე;  
არ იღვრებიან, ვით შენ ან მე, აქაფებულნი.

\* \* \*

ყოველთვის-სა და არასდროს-ს შორის  
როცა ირწევა სიყვარულის ქანქარა, ღამით,  
ეხლება მაშინ შენი სიტყვა გულის მთვარეებს  
და საელჭექო შენი ლურჯი  
თვალი ზეცას შეუნვდენს მიწას.

შორეული და სიზმარეულშავადნაფერი  
კორომიდან ქარს მოაქვს ჩვენსკენ უკანასკნელი  
ამონასუნთქი,  
და რაც განქარდა, ეხეტება დიდი, როგორც მომავლის  
ლანდი.

რაც ოდენ ქვემოთ ეშვება და ზეამაღლდება,  
სულის სიღრმეში დამარხულს უღირს:  
ის ბრმად, ვით მზერა, რომელსაც ვუმზერთ,  
დროს ბაგეზე ეამბორება.

\* \* \*

ასე ვიძინებ, ხოლო თვალი მრჩება ფხიზელი.  
ბოლომდე ვცლიდით, წვიმა როცა ტოლჩას ავსებდა.  
ღამეა გულის მადევარი, გული კი - წველის -  
მცელავო ქალო, თიბვა უკვე დაგაგვიანდა.

ასე თოვლივით თეთრი თმა გაქვს, ქარო ღამისა!  
თეთრი შემომრჩა, თეთრს ვკარგავ და მეკარგებოდა!  
ის საათების თვლით დაბმულა, მე კი - წლებისა.  
ჩვენ წვიმას ვსვამდით. ბაგე წვიმას ენაფებოდა.

\* \* \*

ისე შეცვლილხარ, სხვა ხარ ისეთი,  
როგორსაც მე შენ ვერ გცნობ სრულიად:  
იქ, ჭისწყაროთა უცხო მხარეში  
ყოველგან რომ ძგერს, შენი გულია,

სადაც არ არის ბაგე მწყურვალნი  
და სახეს ჩრდილი არ ეკარება,  
სადაც თავწყაროდ შუქს ჰპოვებს წყალი  
და შუქი, როგორც წყალი, ქაფდება.

ყველა ციალი შენით ციალებს,  
ჭების წყლებს შენი შუქი ჰფენია,  
სრულ დავიწყებას უნდა მიეცეს  
თამაში, შენ რომ მოგიგონია.

## საიმედო ციხესიმაგრე

მე ვიცი ყველა სახლის მიმწეხრი:  
შენსაზე ბევრად ღრმა თვალია, იქ რომ მზერას  
მიმოატარებს.

ფრონტონზე გლოვის დიდი დროშა ააფრებულა:  
მისი მაუდი წენგოსფერი - არ კი იცი, რომ ის შენი  
მოქსოვილია.

მაღლაც ისე ფრენს, თითქოს შენვე არ მოგექსოვოს.  
სალამს მოგიძღვნის ჭიშკართან სიტყვა, შენ რომელსაც  
დაემშვიდობე,

და რაც შეგეხო შენ აქ, წველიც, გულიც, ყვავილიც,  
ის, რა ხანია, იქ სტუმრობს და შენ მას მერე არ  
შეგხვებია.

თუმცა, იმ სახლში შენ სარკიდან გამოჩინდები,  
ასე გიხილავს შენ სამივე, ყვავილი და გული და წველი.  
და ის, უღრმესი ის თვალია, შენს ღრმა თვალს რომ  
დასწაფებია.

\* \* \*

წამოიშალა უთეთრესად მტრედების გუნდი: რომ  
მიყვარდე, მომეცა ნება!  
უხმო სარკმელში, ვხედავ, უხმო კარი ირწევა.  
მდუმარ ოთახში მდუმარე ხე შემოისახა.  
ისე ახლოს ხარ, თითქოს შენ აქ სულაც არ იყო.

მე მაღალ ყვავილს გამოგიწვდი, შენ გამომართმევ:  
ის არც თეთრია, არც წითელი, არც ცისფერი - მაგრამ  
მაინც დაისაკუთრებ.  
ის იქ დარჩება სამუდამოდ, სადაც არ იყო.  
არც ჩვენ ვყოფილვართ, მაშ, დავრჩებით ჩვენც მასთან  
ერთად.

## ძილი და საკვები

ლამის სუნთქვაა შენი ზენარი, და უკუნეთიც შენ  
მოგინვება.

მოგიალერსებს საფეთქელზე, ძილისთვის და  
სიცოცხლისთვის გამოგაფხიზლებს,  
გაგნებს სიტყვაში, სურვილში, ფიქრში,  
თითოეულ მათგანთან სძინავს, გამოგიტყუებს.  
ის მარილს გვარცხნის წამნამებიდან და შენვე გიწვდის,  
შენვე მოგართმევს ქვიშას, რომელსაც აყურადებს  
შენივე ჟამს ყურმიდებული.  
ხოლო რადაც ის ვარდი იყო, ჩრდილი და წყალი,  
შენ დაგარწყულებს.

## თანამგზავრი

დედაშენია, ვისი სულიც შენს თავს ზემოთ ფრენს.  
დედაშენია, ვისი სულიც ღამეულ მგზავრს რიფებს  
შორის გაგაგნებინებს.  
დედაშენია, ვისი სულიც გიფრთხობს ზვიგენებს.

აი, ეს სიტყვა დედაშენის გამოზრდილია.  
ვინც დედაშენმა გამოზარდა, ქვიდან ქვამდე შენს  
სარეცელს გაიზიარებს.  
ვინც დედაშენმა გამოზარდა, მიემთხვევა ნათლის  
ნამცეცებს.

\* \* \*

თვალეზი:

წვიმის ნიაღვარში გაბრწყინებული,  
როცა ღმერთმა შესმა მიბრძანა.

თვალეზი:

ოქრო, ღამეჟამმა პეშვებში რომ ჩამიჩხრიალა,  
ჭინჭარს რომ ვკრეფდი  
და ანდაზებს ჩრდილებს ვუთხრიდი.

თვალეზი:

მწუხრი, ჩემს თავს ზემოთ გაელვებული, ჭიშკარში რომ  
გამოვიჭერი  
და მერე, ჩემივ საფეთქელთა ყინულეთში  
გამოზამთრებულს,  
მარადისობის საუფლოში ამხედრებულს მიმიხაროდა.

## მარადისობა

ღამის ხის ქერქი, დანა ჟანგადდაბადებული  
შენ სახელებს და დროს და გულებს ჩაგჩურჩულებენ.  
სიტყვა, რომელიც თვლემდა, როცა ჩვენ ჩაგვესმოდა,  
ჩასრიალდება ფოთლოვანში:  
შემოდგომა ენამჭევრი იქნება ალბათ,  
და კიდევ უფრო ენამჭევრი - ხელი, მისი  
შემგროვებელი,  
და დავიწყების ყაყაჩოსებრ უჭკნობი - ბაგე, ამ ხელს  
რომ კოცნის.

## ზვირთცემა

ჟამო, ფრთას ისხამ დიუნებში.

ქვიშის მარცვლით შეკრული დრო ჩემს მკლავებში  
ამღერებულა:  
მე ვწევარ მასში, მარჯვენაში დანა მიპყრია.

აქაფდი, ტალღავ! გაბედე და გამოდი, თევზო!  
სადაც წყალია, კიდევ ერთხელ შეიძლება სიცოცხლის  
ჩენა,  
სიკვდილთან ერთხმად კიდევ ერთხელ ამ სამყაროს  
გადმომღერება,  
ღარტაფიდან კიდევ ერთხელ ამოხმობა: ნახეთ,  
ჩვენ გვერგო თავშესაფარი,  
ნახეთ, ქვეყანა ჩვენი იყო, ნახეთ,  
როგორ ვეგზეთ ჩვენ ვარსკვლავს!

\* \* \*

გულებიდან და თავებიდან  
ლამის წველნი განიშლებიან,  
და ცელთა მიერ ნათქვამ სიტყვას  
სიცოცხლისკენ გადახრის ღამე.

ამ ღამესავით მდუმარენი,  
სამყაროსკენ დავშურებულვართ:  
მზერანი ჩვენნი,  
მიმოცვლილნი, ნუგეშინის მოსაპოვებლად,  
გზას მიიკვლევენ ცეცებით და  
ბნელად გვიხმობენ.

მზერადავსილი  
შენი თვალი ჩემს თვალში დუმს ამიერიდან,  
მე, მოყარიბე,  
დავწვდები და შენი გული ბაგესთან მიმაქვს,  
შენ დასწვდები და შენი ბაგით ემთხვევი ჩემს გულს:  
ის დაარწყულებს ჟამთა წყურვილს,  
რასაც ახლა ვსვამთ,  
დროს აღავსებენ ჟამნი იმით,  
რაც ჩვენ ახლა ვართ.

თუ გვაგემოვნებს?  
არა ბგერა, არა ნათელი  
სხლტება ჩვენს შორის, ამის სათქმელად.

ო, წველნო, წველნო.  
წველნო ღამისა.

\* \* \*

დაუცხრომელო გულო, ვისთვისაც, კელაპტართა და  
ჟამთა შუაგულ,  
კერპთა მსახური აშენებს ქალაქს,  
შენ ზე მიიწევ  
ტბორებისკენ, აღვებთან ერთად:  
სადაც ფლეიტა ღამისეულში  
მისი დუმილის მეგობარს კვეთს და  
წყლებს გამოუჩენს.  
ნაპირზე  
აზრი, შენიღბული, მიმოდის და სმენად ქცეულა:  
რამეთუ არც რა  
გამოხდება კუთვნილი სახით,  
და სიტყვას, შენ რომ თავზე დაგნათის,  
გვიმრის ფოთოლში მოფუსფუსე ხოჭოს რწმენა აქვს.

\* \* \*

თითქოს ვარცხნიდეს ქალის ცხედარს, თმას ისე  
ვარცხნის  
იმას, ვინც კვართქვეშ დაატარებს თავის ლურჯ  
ნამსხვრევს.

ის გამოთასმულს დაატარებს სამყაროს ნამსხვრევს.  
იცის სათქმელი, მაგრამ სიტყვებს ნაზ ღიმილს არჩევს.

ის თავის ღიმილს ამოურევს ერთ თას ღვინოში:  
უნდა დალიო, ყოფნა თუ გსურს ამ სამყაროში.

ყოველთვის, როცა ფიქრიანად ჩასცქერს ცხოვრებას,  
შენ ხარ სურათი, რომელშიც ის ამ ნამსხვრევს ხედავს.

\* \* \*

რაკი, სიტყვებით დაბრმავებული,  
აღმოაცენებ შენ მას ლამიდან,  
ხეს, რომლის ჩრდილიც ამავე ხეზე უნინ ყვავილობს:  
დაეხურება ფერფლისქუთუთო, რომლის ქვეშ იყო,  
თვალი დისა  
თოვლში ფიქრს რომ გამოახვევდა -

სრულიად ჰყოფნის ფოთლეული ამიერიდან  
ქარის ქროლვის და გამოთქმულის ამოსაკითხად,  
და მოჯარული ვარსკვლავები  
ახლა დროის სარკეში ჩანან.

ტაფობში ფეხი ჩაიმყარე, მოზიდე თალი:  
იქ ის, შენი და, დაგდევენებია,  
ხოლო სიკვდილი, მომდინარე თვალის ქრილიდან,  
პურს გიყოფთ თბილი მიღების ნიშნად,  
ისიც თქვენსავით თასს ეტანება.

და თქვენ მას ღვინოს შეუზავებთ სანელებლებით.

## ლანდშაფტი

ამ მიწის კაცნო - თქვენ, მაღალო აღვის ხეებო!  
ბედნიერების შავო ტბორებო - სიკვდილისკენ  
დედამინის ამრეკლავებო!

ამ ბრწყინვალეებით გარემოცულს გხედავდი, დაო.

## სიჩუმევ!

სიჩუმევ! გულში ჩაგასობ ეკალს,  
რაკილა ვარდი, რაკილა ვარდი  
ჰგიებს სარკეში ჩრდილთან ერთად, სისხლად იღვრება!  
სისხლად იღვრება იმ დროიდან, ჰოს და არას  
ერთმანეთში როცა ვურევდით,  
როცა ვწრუპავდით,  
რაკილა ჭიქა, მაგიდიდან რომ ხტებოდა, ზარს  
გამოსცემდა:  
რეკვით გვამცნობდა ღამეს, რომელიც ბნელს  
მოიდებდა ჩვენზე ხანგრძლივად.

ჩვენ ვსვამდით ხარბი ბაგეებით:  
ნაღველივით გემო ჰქონდა,  
მაგრამ მაინც ქაფდებოდა, მსგავსად ღვინისა -  
ხოლო მე შენი თვალების ჭავლს ავდევენბოდი,  
და ენა სიტკბოს ჩაგვლულლულებდა...  
(ასე ლულლულებს, იგი ჯერაც ასე ლულლულებს.)

სიჩუმევ! ეკალს განუმსჭვალავს ღრმად შენი გული:  
ვარდთან ერთად გამოკონილა.

## წყალი და ცეცხლი

რა ჟამსაც კოშკში გამოგამწყვდიე და სიტყვა წარვთქვი  
ურთხელთა მიმართ,  
იქიდან ცეცხლის აღმა ისკუპა და აგიზომა კაბა  
უეცრად, საქორწილო შენი სამოსი:

ნათელ არს ღამე,  
ნათელ არს ღამე, ჩვენ რომ გულები აღმოგვიჩინა,  
ნათელ არს ღამე!

თავის ნათებას ის ზღვას გაუნვდენს,  
სრუტის მთვარეებს ძილს შემოურღვევს და აქაფებულ  
სუფრებზე შედგამს,  
ის მათგან დრო-ჟამს ჩამომბანს წმინდად:  
შენ, მკვდარო ვერცხლო, ისევ გაცოცხლდი, თასად და  
ჯამად გადაიქეც, როგორც ნიჟარა!

ბობოქრობს სუფრა ჟამით ჟამამდე,  
კათხები ქარით ამოივსება,  
ზღვა მიმოიპყრობს, მოქაფავს ხორავს:  
გზაბნეულ თვალს, ჭექნაკრავ ყურს,  
თევზსა და მცურავს.

ბობოქრობს სუფრა ღამით ღამემდე,  
და ჩემს თავს ზემოთ მიცურავენ დროშები ხალხთა,  
და ჩემს მხარდამხარ კაცთა ხელი ნაპირისკენ კუბოებს  
ხოფავს,

ხოლო ჩემს ქვემოთ ცაობს, ვარსკვლავობს, ვით ჩემს  
მხარეში იოანეს დროს!

და მზერა შენსკენ მომიმართავს,  
მზეცეცხლოვანო:  
იფიქრე დროზე, ღამე მთის ფერდობს ჩვენთან ერთად  
რომ მიუყვებოდა,  
იფიქრე დროზე,  
იფიქრე, სწორედ ის რომ ვიყავ, ვინც ამჟამად ვარ:  
ოსტატი კოშკთა, საპყრობილეთა,  
ქროლვა ურთხლებში, ზღვაში მომლხენი,  
სიტყვა, რომელშიც შენი ტანი ჩაიფერფლება.

\* \* \*

დათვალე ნუში,  
დათვალე, მწარე რაც იყო და ფხიზელს გტოვებდა,  
და მიმათვალე:

შენს თვალს ვეძებდი, რომ განხვენი და არვინ გიმზერდა,  
იმ საიდუმლო ძაფს ვნასკვავდი,  
რომელზეც ცვარი, შენგან ნაფიქრი,  
ტოლჩებისკენ ჩასრიალებდა, დაცულებისკენ  
ჯადოსიტყვიით, არვის გული რომელმაც ჰპოვა.

პირველად სრულად იქ შეხვედი სახელში, შენი  
რომელიც არის,  
შენსკენვე მტკიცე ნაბიჯებით ეშურებოდი,  
უროები თავისუფლად ირწეოდნენ შენი დუმილის  
ზარსაკიდ ღერძზე,  
შენ განწყდებოდა მოსმენილი,  
გარდაცვლილმა მოგხვია მკლავი,  
და თქვენ, სამმა, მიმწუხრი განვლეთ.

გამამწარე,  
მიმათვალე ნუშებს.

## მსმენოდა

მსმენოდა,  
წყალში ქვა არისო და წრეც არისო  
და წყლის თავს - სიტყვა,  
ქვის გარშემო წრის შემომწერი.

მე ვნახე წყლისკენ დაშვებული ჩემი ალვის ხე,  
მე ვნახე, სიღრმეს მისი ხელი როგორ სწვდებოდა,  
ვნახე ღამისთვის ცისკენ ლოცვად აღვლენილი მისი  
ფესვებიც.

მე მისკენ როდი ავჩქარებულვარ,  
ოდენ პურისგულს ვკრებდი ფსკერიდან,  
რომელსაც შენი თვალის იერი და შენი თვალის  
სიდიადე აქვს,  
მე შენ ყელიდან შემოგახსენი ყელსაბამი შეგონებათა  
და იმ მაგიდას მოვავლე ქობად, რომელზეც პურის  
გული იდო ამიერიდან.

და ჩემი ალვა ველარ ვიხილე.

## ნაჯახებით მოთამაშე

ლამისმიერი შვიდი საათი, და წელიწადიც სიფხიზლის -  
შვიდი:

შენ, ნაჯახებით მოთამაშე,  
წევხარ აღმდგარი ცხედრების ჩრდილში  
- ო, ხეები, რომლებსაც არ ქრი! -,  
დადუმებულთა ბრწყინვალეების თავებთან წევხარ,  
ფეხებთან სიტყვათ სილატაკისა,  
წევხარ და ისევ ნაჯახებით თამაშს განაგრძობ -  
და ბოლოს ბრწყინავ, როგორც ისინი.

## ტახად სახული

ტახად სახული,  
ნაბიჯმძიმე შენი სიზმარი ტყეს შერევია  
სალამოსპირზე.  
თეთრად ელავენ,  
ვით ყინული, საიდანაც ამოირღვა,  
ტახის ეშვები.

ის მწარე კაკალს  
ამოჩიჩქნის ბალახებიდან,  
რომლებმაც ხეებს გამოსტაცეს თავისი ჩრდილი,  
კაკალი,  
შავი, როგორც გული, შენმა ფეხმა რომ მოიშორა.  
როცა აქ შენვე მიმოდიოდი.

ის კაკალს დაფქვავს  
და მოღრუტუნე მისი სვე-ბედი კორომს აღავსებს,  
მერე გეზს იღებს  
ზღვისპირისკენ, თავქვე ეშვება,  
იქითკენ, სადაც  
ზღვის ძლიერება  
რიფებს მრისხანედ დაფუძნებია.

და იქნებ  
სწორედ ამ ნაყოფმა, მისმა ნაყოფმა,  
ელვარე თვალი მონუსხა და  
ქვებს ცრემლები დააღვრევინა.

## ასიზელი

უმბრიის ღამე.

უმბრიის ღამე ზარისა და ზეთისხილის ფოთოლთა  
ვერცხლით.

უმბრიის ღამე ქვით, რომელიც აქეთ მოგქონდა.

უმბრიის ღამე მოტანილი ქვით.

დადუმებულა, სიცოცხლისკენ რაც ამაღლდა,  
დადუმებულა.

ხელადები მი-და-მოავსე.

თიხის ხელადა.

თიხის ხელადა, რომელსაც მტკიცედ შეეზარდა  
მეთუნის ხელი.

თიხის ხელადა, აჩრდილის ხელს რომ სამუდამოდ  
მოუმწყვდევია.

თიხის ხელადა, აჩრდილის დამლით.

ქვა, ქვა, საითაც გაიხედავ.

შეუშვი ვირი.

მორაქჩაქე ეს ცხოველი.

მორაქჩაქე ცხოველი თოვლში, უშიშვლესი ხელი რომ  
ფანტავს.

მორაქჩაქე ეს ცხოველი სასახლეში ჩავარდნილი  
სიტყვის წინაშე.

მორაქჩაქე ცხოველი, ძილს რომ ღოდნის ხელიდან.

ელვა, ნუგეში რომ არ სურს, ელვა.  
გარდაცვლილები - ფრანცისკ, ისინი მონყალებას  
ითხოვენ ჯერაც.

## ცვალებადი გასაღებით

შენ ცვალებადი გასაღებით  
აღებ სახლის კარს,  
რომელშიც აღწევს მღუმარის თოვლი.  
იცვლება შენი გასაღები,  
შენი პირიდან ან ყურიდან ან თვალიდან  
დადენილი სისხლის მიხედვით.

იცვლება შენი გასაღები და - შენი სიტყვა,  
ფიფქთან ერთად რომ შეიძლება შემოაღწიოს.  
შესაბამისად იმ ქარისა, შენ რომ გაძევებს,  
ამ სიტყვას თოვლი მოეგრაგნება.

## აქ

აქ - ეს გულისხმობს აქ, ალუბლის ფერს სადაც სურს,  
უფრო შავი იყოს, ვიდრე იქ იყო.  
აქ - ეს გულისხმობს ამ ხელს, მას რომ ყოფნაში შველის.  
აქ - ეს გულისხმობს გემს, რომლითაც გადავურჩი  
ქვიშის მდინარეს:

მისაბლული წევს  
ის იმ ძილში, შენ რომელიც მიმოაბნიე.

აქ - ეს გულისხმობს კაცს, ჩემთვის ნაცნობს:  
თეთრია მისი საფეთქელი,  
მსგავსი ხვატისა, ის რომ აქრობდა.  
შუბლში მესროლა თავისი კათხა,  
მაგრამ დაბრუნდა  
ერთი წლის მერე,  
ნაჭრილობევი რომ დაეკოცნა.  
წყევლის და ლოცვის სიტყვებს ამბობდა,  
მერე ხმა აღარ ამოუღია.

აქ - ეს გულისხმობს აი, ამ ქალაქს,  
რომელსაც შენ და ღრუბელი მართავთ,  
რომელსაც მისი მწუხრები მართავს.

## ნატურმორტი

წყვილი სანთელი, წყვილი ალი, წყვილი ნათება.

და ეს აქ, ამის ქვემორე: თვალი,  
დაუწყვილები და დახურული,  
სალამოს მომხაოებელი, რომელიც დადგა  
ისე, რომ მწუხრად არ ქცეულიყო.

წინ კი - ის უცხო, შენ აქ რომლის სტუმარიც გქვია:  
ნარშავი, ნათელს მოკლებული,  
რომლითაც ბნელი ასაჩუქრებს ყოფიერებებს,  
შორეთიდან,  
რათა დარჩეს დაუვინყარი.

და ესეც, ყრუში დაკარგული:  
ბაგე,  
ქვიანში გაქვავებულ-განმტკიცებული,  
გამოხმობილი იმ ზღვის მიერ,  
წლებს რომ ახვენს საკუთარ ყინულს.

## და მშვენიერი

და მშვენიერი, შენ რომელსაც ჩეჩავდი, და თმა,  
რომელსაც ჩეჩავ:

ნეტავ, რომელი სავარცხელი  
ვარცხნის მას ისევ, ამ მშვენიერ თმას?  
ნეტავ, რომელი სავარცხელი  
და ვისი ხელით?

და ქვები, შენ რომ აგროვებდი,  
შენ რომ აგროვებ:  
საით დასცემენ ქვები ჩრდილებს,  
და რა სიშორით?

და იგივე ქარი, სადღაც ზემოთ მიმოხლილი,  
და იგივე ქარი:  
კრებს და თავს უყრის ის ამ ჩრდილებს?  
მას შენში ურევს?

## ტყიანი

ტყიანი, მონამყვირალები ირმების მიერ,  
ქვეყნიერება მოეჯარვის უკვე იმ სიტყვას,  
ზაფხულით - გახანგრძლივებულით - გახურებული,  
შენს ტუჩებზე რომ მონდომებით დაყოვნებულა.

შორს გაიტაცებს მას სამყარო, ასდევნებიხარ,  
მისდევ და სავალს ველარ იგნებ - და შენ შეიგრძნობ,  
როგორ გირკალავს მკლავს ციური მანანას ირგვლივ  
ქარი, რომელსაც ენდობოდი უტყვად, ხანგრძლივად.

იმას, ძილიდან ვინც მოვიდა  
და ძილს მიეცა,  
ნებაც მიეცა, დაარწიოს გრძნებით შეკრული.

შენ მას მიაწევ თავქვე დინებით,  
რომელშიც ჭარლი ირეკლება,  
ბუდეების არსად-თან ახლოს.

შენ მას მიაწევ ქვემოთ-ქვემოთ, ნაკაფის გავლით,  
რომელსაც ღრმად ტყის ხურვებაში თოვლი სწადია,  
და რწევა-რწევით გარდაიწვდი იმავ სიტყვისკენ,  
იქ რომ სახელდება იმას, რაც შენ გაგთეთრებია.

## მწუხრი სიტყვათა

მწუხრი სიტყვათა - სიჩუმეში ჯადოჯობით მიწისქვეშა  
წყალს რომ ეძებენ!

ერთი ნაბიჯი, და - მეორე,  
იქვე - მესამე, რომლის კვალი  
შენი ჩრდილით არ ნაიშლება:

პირს იხსნის  
დროის ნაიარევი  
და სისხლის ტბორში დაძირავს მიწას -  
ქოფაკნი სიტყვაღამის, ქოფაკნი  
შენს შუაგულში  
ხმას იმაღლებენ:  
რას ზეიმობენ? ველურ წყურვილს  
და ველურ შიმშილს...

უკანასკნელი მთვარე ჩნდება, რათა გიშველოს:  
გრძელ ვერცხლისფერ ძვალს -  
იმ გზასავით შიშველს, შენ რომ აქ მოგიყვანა -  
ხროვას მიუგდებს,  
მაგრამ მაინც ვერაფერს გშველის:  
სხივი, რომელიც გააღვიძე,  
აქვე ქაფდება,  
ტივტივ მოცურავს ის ნაყოფი,  
დიდი ხნის წინ შენ რომ ჩაკბიჩე.

## ფერდობი

ჩემს გვერდით ცხოვრობ, ჩემი მსგავსი:  
ქვად მოსული  
ჩაშვავებულ ლოყაზე ღამის.

ო, ეს ფერდობი, საყვარელო,  
სადაც ვგორავთ შეუსვენებლივ  
ჩვენ, ქვანი,  
ღარაკ-ღარაკ მბრუნავნი.  
ჯერიდან ჯერზე კიდევ უფრო მომრგვალებულნი.  
მსგავსნი. უცხონი.

მონამთვრალევი, ო, ეს თვალი,  
აქ ჩვენსავით რომ ეხეტება,  
და, ზოგჯერ, ჩვენ ის  
ერთარს გვხედავს გაკვირვებული.

## ვიცი

და შენ, შენც ასე -:  
დაჭუპრებული.  
ვით ყოველივე ღამითრწეული.

ირგვლივ ეს თრთოლვა-ფრთებისცემანი:  
რაც ჩამესმის და რასაც ვერ ვხედავ!

და შენ,  
ვით დღისგან თავდახსნილი თითოეული:  
დაჭუპრებული.

და თვალნი, შენ რომ გეძიებენ.  
ჩემი თვალიც - ამ თვალთა შორის.

მზერა:  
სულ ერთი ძაფით მეტი, შენ რომელიც შემოგვევლება.

ეს გვიანი, გვიანი შუქი.  
ციმციმებენ ძაფები: ვიცი.

## მინდვრები

ყოველთვის ერთი, ხე ალვისა  
აზრის კიდეზე.

ყოველთვის თითი, სამანთან რომ  
ამაღლებულა.

ხოლო მისგან შორს  
მნუხრს ორნატი შეუყოვნდება.  
მაგრამ ღრუბელი:  
ის არ ყოვნდება.

ყოველთვის თვალი.  
ყოველთვის თვალი, რომლის ქუთუთოს  
შენ გაახელ, როცა შენიშნავ  
მის ჩამოხრილ დედმამიშვილებს.  
მინცივ ეს თვალი.

მინცივ ეს თვალი, რომლის მზერა  
იმ ერთს, ალვას, მოეხლართება.

## ხსოვნა

ლეღვითნაყრული იყოს გული,  
მასში ჟამი გაიხსენებს  
ნუშისთვალს მკვდრისას.  
ლეღვითნაყრული.

ზღვის სუნთქვაში კი - სიპი,  
ჩაშლილი  
შუბლი,  
დაიკო ფრიალო კლდეთა.

და ირგვლივ შენი ქალარისა ფართოვდება  
სამზეური ღრუბლის  
სანმისი.

## ლამით დაბერილი

ჰანა და ჰერმან ლენცებს

ტუჩები, ლამით დაბერილი,  
ყვავილებისა;  
ტანები ნაძვის ხეებისა,  
დაფვარული, მიმოჭდობილი;  
ხავსი - გამხმარი, ქვა - მორყეული,  
შემზადებულან მყინვარის თავს  
უსასრულო ფრენისთვის ჭკები:

ეს მოდამოა, სადაც ისინი  
შესვენებულან, ვისაც ვენიეთ:

მათ მიერ ჟამი აღარასდროს დასახელდება,  
ფიფქს აღარასდროს დაითვლიან,  
წყლებს საგუბრამდე აღარასდროს აუყვებიან.

ისინი დგანან განრიდებით ამ სამყაროში,  
ყოველი თავის ღამესთან ერთად,  
ყოველი თავის სიკვდილთან ერთად,  
მიუკარები, თავშიშველი, ნიშანდებული  
ახლოეულით და შორეულით.

იმ ვალს იხდიან, მათ სანყისს რომ სული ჩაუდგა,  
ვალს იმ სიტყვისა,  
ამ ზაფხულივით უკანონო რომელიც არის.

სიტყვა - შენ იცი:  
მიცვალეზული.

ჩვენ ის განვბანოთ,  
ჩვენ ის დავვარცხნოთ  
და მისი თვალი  
ცისკენ მივმართოთ.

## პოლ ელუარის სახსოვარი

იგივე სიტყვები ჩაუსვენე საფლავში ცხედარს,  
რომლებსაც ერთ დროს მეტყველებდა, რათა ეცოცხლა.  
თავი მათ შორის დაუვანე,  
განაცდევინე  
ლტოლვის ენები,  
მარწუხენები.

ქუთუთოებზე დაასვენე გარდაცვლილს სიტყვა,  
რომელსაც იგი არ ეტყვის იმას,  
ვინც მას შენობით ესიტყვებოდა,  
სიტყვა,  
რომლის პირ მისი გულის სისხლმა იჩქეფა,  
როცა შიშველმა ხელმა, მსგავსმა მისივე ხელისა,  
იმისმა ხელმა, ვინც შენობით ესიტყვებოდა,  
მიაღურსმა ხეების მერმისს.

შენ მას ეს სიტყვა დაასვენე ქუთუთოებზე:  
იქნებ,  
მის თვალში, სილურჯეს რომ ინახავს ჯერაც,  
შეაღწიოს სულ სხვა სილურჯემ,  
და მაშინ ის, ვინც მას შენობით ესიტყვებოდა,  
იოცნებებს, რომ მას "ჩვენ" უთხრას.

## შიბოლეთი

ჩემს ქვებთან ერთად,  
მსხვილ ცრემლებთან,  
გისოსების მიღმა დაღვრილთან,

ბაზრის მოედნის შუაგულში  
მათ შემათრიეს,  
იქ,  
სადაც დროშა აღემართათ, რომლის წინაშეც  
ფიცს ვერ დავდებდი ვერანაირად.

ფლეიტა,  
მრჩობლი ფლეიტა ღამის:  
იფიქრე ბნელ  
წყვილ დაფიონზე  
ვენის, მადრიდის.

ააფრიალე შენი დროშა ანძაზე,  
ხსოვნავ.  
ქიმზე ანძისა,  
სადღეისოდ, სამარადისოდ.

გულო:  
აქ, ბაზრის მოედნის შუაგულ,  
დაე, იყავ შესაცნობელი.  
აღმოიძახე ეს, შიბოლეთი, სამშობლოდან  
შორს დაშთენილმა.

თებერვალი. No pasarán.

მარტორქაო:  
შენ უნცი ქვები,  
შენ უნცი ნყლები,  
გამომყევი და  
ესტრემადურას  
ხმებთან  
მიგიყვან.

## ჩვენ გხედავთ

ჩვენ გხედავთ, ცაო, დიახ, ჩვენ გხედავთ.  
შენ გამოდევნი ნყება-ნყება  
ჩუტყვავილებს,  
ჩირქოვან ნყლულებს.  
ასე ამრავლებ მარადისობას.

გხედავთ, მიწაო, დიახ, ჩვენ გხედავთ.  
ნყება-ნყება განასხვისებ  
სულებს,  
აჩრდილებს.  
ასე სუნთქავენ დროის ხანძრები.

## კენოტაფი

მიმოაბნიე, უცხოვ, შენი ყვავილები, უშფოთველად  
მიმოაბნიე:

შენ მათ გაუნვდენ ქვედამართულ სიღრმეებს:  
ბალებს.

ვინც აქ უნდა წოლილიყო, იგი  
არსად წევს. მაგრამ მის გვერდით სამყარო წევს,  
ის სამყარო, რომელმაც თვალი  
მრავალფერადი ყვავილობის წინაშე განხვნა.

მაგრამ მან, რაკი ბევრი ნახა,  
ბრმეები არჩია:  
ის ვიდოდა და ბევრად მეტს კრეფდა:  
ის კრეფდა სურნელს -  
და ეს მათ, ამის მნახველებმა, არ აპატიეს.

ამის მერე კი წავიდა და იშვიათ წვეთს დაეწაფა -  
მან ზღვა დალია.  
თევზნი ზღვისანი -  
თუ შეერთვნენ თევზნი ზღვისანი?

## თქვი შენც

თქვი შენც,  
თქვი, როგორც უკანასკნელმა,  
თქვი შენი სიტყვა.

თქვი -  
არა არ კი განწვალო ჰო-სგან.  
შენს სიტყვას აზრი მიანიჭე:  
უბოძე ჩრდილი.

უბოძე ჩრდილი საკმარისად,  
ისევე მრავლად,  
როგორც შენს ირგვლივ თვლი საჭიროდ ანაწილებდე  
შუალამესა და შუადღესა და შუალამეს შორის.

მიმოიხედე:  
ნახე, რარეგ მოზღვავედნა სიცოცხლე ირგვლივ -  
სიკვდილისას! სიცოცხლე ირგვლივ!  
მართალს მეტყველებს, ვინც ჩრდილს მეტყველებს.

თუმცა კი, უკვე მჭიდროვდება შენი სადგომი:  
საით აწილა, განჩრდილულო, აწილა საით?  
წამოიმართე. მალლით იმართე.  
შენ გაილევინ და გახდები კიდევ უფრო ვერსაცნობი,  
უფაქიზესი!

უფაქიზესი: ძაფი,  
რომლითაც მას, ვარსკვლავს, ქვემოთ დაშვება ნებაგს:

ქვემოთ ცურავდეს რათა, ქვემოთ,  
სადაც იგი საკუთარ თავს ჩაჰკვირვებია: მოყარიბე  
სიტყვათა მსუბუქ ტალღაზე მბრწყინავს.

## ჟამნითელი ტურებით

ზღვაში დამნიფდა ბაგე, დაისი  
რომლის სიტყვებსაც აქ იმეორებს,  
წინაშე თავის ამ ქვეყნებისა.  
ის მათ ბუტბუტით იმეორებს,  
ჟამნითელი ტურებით ამბობს.

ბაგე, ზღვის მიერ დამნიფებული,  
ზღვის მიერ, სადაც თინუსს ცურვა ეამებოდა  
ელვარებაში,  
კაცთაკენ რომ მიმართავს ნათელს.

ვერცხლი თინუსის, სხივშემსჭვალული,  
ვერცხლოვანი სარკე თინუსის:  
აღმოუჩვენებს თვალებს  
მეორე - მოყარიბე - დიდებას  
შუბლთა.

ვერცხლი და ვერცხლი.  
ორჯერადი ვერცხლი სიღრმისა.

ეგ ნავი იქით მიმართე,  
ძმაო.  
შენი ბადე კი ამის მერე ჩააგდე,  
ძმაო.

აღმოზიდე და

ჩვენს სახლებში მიმოაბნე,  
ჩვენს მაგიდებზე მიმოყარე,  
ჩვენს თეფშებზე მიმოაბნე -

უყურე, როგორ სივდებიან ჩვენი ტურები,  
ისინიც, მსგავსად დაისისა, ჟამნითლულები,  
ისინიც მისებრ მობუტბუტენი -  
და ბაგე ზღვიდან  
უსასრულო კოცნისათვის  
ამოინთქმება.

## ARGUMENTUM E SILENTIO

რენე შარს

მისაბლულია  
ოქროსა და დავინწყებას შორის:  
სილამე.  
ორივ მას არის ჩაფრენილი.  
ორივ მისგან საზრდოობდა მოქმედების  
თავისუფლებით.

დადე,  
ამიერ შენც იქით დადე, ამო-  
ნათება რასაც ნებას დღეებთან ერთად:  
სიტყვა, ვარსკვლავზე გადამფრენი,  
ზღვის თავს ლივლივა.

სიტყვა თვითეულს.  
თვითეულს სიტყვა, რომელიც მაშინ უმღერდა იმას,  
როცა მიპარვით აცხრებოდა ზურგიდან ხროვა -  
თვითეულს სიტყვა, რომელიც მას უმღეროდა და  
ხევდებოდა.

მას, ღამეს,  
მფრენი ვარსკვლავის თავს, ზღვის თავს ლივლივა,  
მასვე, უთქმელი,  
სისხლი რომ არ გადმოაჩქევა,  
შხამით აღსავსე კბილმა როცა ბგერები ჩაჭრა.

მას სიტყვა უტყვი.

პირისპირ სხვათა, რომლებიც მალე,  
ვით მეძავეებით, მოალყულნი მტანჯველთა სმენით,  
ლამის დროსაც და დროებებსაც გადასწვდებიან,  
ის დაამონმებს ბოლო ჟამზე,  
ბოლო ჟამზე, როცა ოდენ ბორკილების ჟღარუნი ისმის,  
ის დაამონმებს იმას, ვინც იქ წევს  
დავინყებასა და ოქროს შორის,  
ოდითგანვე ძმებად მათი დამწყვილებელი -

რამეთუ, მითხარ, სად  
ინათებს, თუ არა მასთან,  
ვინც თავის ცრემლის ნიაღვარში  
დაძირულ მზეებს ნათესს უჩვენებს  
კვლავაც და კვლავაც?

## მევენახენი

ნანი და კლაუს დემუსებს

ისინი მისი თვალების ყურძენს აბინავებენ  
შემოდგომაზე,  
მთელ ამ ნატირალს გამონურავენ და დანურავენ, ამას  
აგრეთვე:  
ასე სურს ღამეს,  
ღამეს, რომელსაც აი, ესენი, ქვის კედლები,  
ჩამოყრდნობია,  
ამას მოითხოვს ქვა,  
ქვა, რომელზეც მისი ჭიგო ესიტყვება გაუთავებლად  
პასუხის დუმის -  
ჭიგო იმისი, რომელიც ერთხელ,  
რომელიც ერთხელ შემოდგომაზე,  
როს წელიწადი სასიკვდილოდ ჩაივსება, როგორც  
მტევანი,  
გამოგონილის შახტს ჩასძახებს, უტყვის გავლით,  
ერთხელ და გაბმით.

ისინი ნაყოფს მოისთვლიან შემოდგომაზე, ისინი  
ყურძენს დანურავენ,  
დროს, ვით მის თვალს, გამონურავენ,  
ნაჟურს, ნატირალს  
აყურებენ მზის საცხედრეში,  
ღამესავით მტკიცე ხელით რომ ამზადებენ:  
რათა სწყუროდეს მერე ბაგეს, მოგვიანებით -

მას მიმსგავსებულ ბაგეგვიანურს:  
ბრმის შესახვედრად მორკალულ და დათრგუნულ  
ბაგეს,  
სასმელი სიღრმივ რომლისკენაც შექაფქაფდება,  
როს ცა ეშვება ჩაეშვება ცვილისფერ ზღვაში,  
რათა შორიდან, ვით სინათლის ნამწვი, ბრწყინავდეს,  
ტუჩები როცა სველდებიან ბოლოსდაბოლოს.

## TENEBRAE

აქვე ვართ, ღმერთო,  
ახლოს ვართ და ხელით სანვდომნი.

ღმერთო, ერთმანეთს  
უკვე ისე ვეჭიდებით, თითქოს  
შენი სხეულია თითოეული  
ჩვენთაგანის სხეული, ღმერთო.

ილოცე, ღმერთო,  
ჩვენ აქვე ვართ,  
ილოცე ჩვენთვის.

ქართორხეულნი ვისწრაფოდით,  
ვისწრაფოდით, ღარტაფთან და კრატერთან რომ  
დავხრილიყავით.

დასარწყულებლად ვვიდოდით, ღმერთო.

სისხლი იყო, სისხლი,  
შენ რომ დაღვარე, ღმერთო.

თვალს ჭრიდა იგი.

შენს ხატებას არეკლავდა ჩვენს თვალში, ღმერთო,  
თვალი და ბაგე განხვნილი და ცარიელი დაგვირჩა,  
ღმერთო.

ჩვენ შევსვით, ღმერთო.

სისხლი და ხატი, ამ სისხლში რომ ჰგებდა, ღმერთო.

ჩვენ აქვე ვართ,

ილოცე, ღმერთო.

## ყვავილი

ქვა.

ქვა ჰაერში, მე რომელსაც დავედევნე.  
შენი თვალი, ამ ქვასავით ბრმა.

ჩვენ ვიყავით

ხელები და

წყვიდიან ვხაპავდით, ვპოვებდით

სიტყვას, რომელიც ზაფხულს მალლა აუყვავა:

იგივე ყვავილი.

უსინათლოთა სიტყვა - ყვავილი.

შენი თვალი და ჩემი თვალი:

წყლისთვის

მზრუნველნი.

ზრდა.

გულისკედელ-გულისკედელ

ჩამოფურცვლილი.

და ერთი სიტყვაც, ამის მსგავსი, და უროები

დაიწყებენ სივრცეში რწევას.

## სითეთრე და სიმსუბუქე

ქვიშის ნამგალა დიუნები, აურაცხელი.

ქარის ჩრდილში, ათასჯერადი: შენ.  
შენ და მკლავი,  
რომლითაც შიშვლად შეგეზარდე, მე,  
დაკარგული.

სხივები. უხვად მოგვეფრქვევიან.  
ჩვენ ვფლობთ სინათლეს, ტკივილს და სახელს.

რაც გვამოძრავებს,  
სითეთრეა,  
რასაც ჩვენ ვცვლით,  
უნონადია.  
თეთრია და მსუბუქია:  
დაე, მიწყვი მოგ ზაურობდეს.

სიშორეები, მთვარესთან ახლოს, ისე, როგორც ჩვენ.  
ისინი კლდეებს აშენებენ, რომლებზეც მერე  
მოგ ზაური ეს სითეთრე დაილენება,  
ხოლო ისინი აშენებენ  
ისევ და ისევ:  
სინათლის ქაფით და შხეფებით სავსე ტალღებით.

ეს მოგ ზაური სინათლეა, კლდეებიდან მანიშნებელი.  
ის უხმობს

შუბლებს,  
ასარეკლად რომ გვათხოვეს,  
სწორედ იმ შუბლებს.

შუბლები.  
იქით მივსრიალებთ ჩვენ მათთან ერთად.  
და ამ შუბლთა სანაპირონი.

შენ გძინავს?

ძილი.

კვლავაც ირჯება ზღვის წისქვილი,  
ყინულივით ნათელი და გაუგონარი,  
ჩვენივ თვალებში.

## თოვლის სანოლი

თვალნი, სინათლენართმეულნი, შავი ჭირის მათათა  
კალთებში: აი, მოვდივარ,  
გულში მტკიცედ ამოზრდილი.  
აი, მოვდივარ.

კედელი მთვარის სარკის, ირიბი. დაქანებული.  
(გაელვარება, დალაქული სუნთქვის ლაქებით. აქა-იქ -  
სისხლი.  
სული, ღრუბლებში გახვეული, კიდევ ერთხელ თითქმის  
და ფორმა.  
ჩრდილი, ბრჭყალებში მოქცეული, ათივე თითის.)

თვალნი, ქვეყანანართმეულნი,  
შავი ჭირის მათათა კალთებში,  
თვალნი და თვალნი, ისევ და ისევ:

თოვლის სანოლი ჩვენ ორს ქვემოთ, თოვლის სანოლი.  
ულევი ბროლი,  
დროღრმივ დაგისოსებული, ვვარდებით და  
ვვარდებით და ვწევართ, ვვარდებით.

და ჩვენ ვვარდებით:  
ვიყავით და ვართ.  
ჩვენ ვართ ერთხორც ღამესთან ერთად.  
გასასვლელეებში, გასასვლელეებში.

## ღამე

ხრეში და ჩამონახრეში და ნამსხვრევეების სუსტი ჩქამი,  
მსგავსი ჟამთა ნუგეშინისა.

თვალთაცვალეზა, უდროო დროს, ბოლოსდაბოლოს,  
ხატშეუცვლელი,  
გახევებული  
თვალის ბადურა - :  
ნიშანია მარადისობის.

მოაზრებადი:  
შორ სიმაღლეში, სამყაროს მართვის ბერკეტები,  
ვარსკვლავის მსგავსი,  
სიალისფრე ორთა ბაგეთა.

მოსმენადი (ალიონზე?): ქვა,  
რომელიც მეორე ქვას დამიზნებოდა.

## ხელი

მაგიდა, ჟამთახისგან ნაკეთი,  
ბრინჯი და ღვინო.  
თანხლებული  
მდუმარებით, მირთმევით, შესმით.

ხელი, რომელსაც ვეამბორე,  
უნათებს პირებს.

## ლანდშაფტის ჩანახატი

ოვალური საფლავეები, ქვევით. ოთხტაქტში  
ნელინადების სვლისა ზემორე  
საფეხურდაცერებულთა ირგვლივ.

ლავა, ბაზალტი, სამყაროსგულ-  
განმჭოლმხურვალე ქანები მთისა.  
თავწყაროსტუფი,  
შუქი სადაც გვეშურებოდა, წინმსწრები  
სუნთქვის.

ზეთისხილისფრად, ზღვამჭოლმტვირთი იგივ  
ჟამი ხელშეუხები. მიმართული  
ცენტრისკენ, ლეგა,  
ქვისუნაგირა, ზემორე მისა,  
დანახშირებულ-დაკოპებული,  
ნიშაელვარე  
შუბლი მხეცისა.

## ვინროდნარმართვა

\*

მონანევარია  
ალაგსა შინ  
იმავე უტყუარი ნაკვლევით:

ბალახი, ურთიერთშორიშორჩანერილ. ქვანი, თეთრნი,  
ღეროთა ჩრდილებით:  
არღა ნაიკითხო - მოიხილე!  
არღა მოიხილო - დაემართე!

ვიდოდე, შენსა ჟამს  
არა ჰყავს დებიცა. შენ მყოფობ -  
შინ მყოფობ. ბორბალი, ნელინელ,  
თავისა თვისისგან იბრუნვის, მანანი  
ცოცვიან,  
ცოცვიან მოთალხო მინდორზე, ღამე  
ვარსკვლავთ არ მოისაკლისებს, არსად  
არავინ მოგიძიებს.

\*

არსად  
არავინ მოგიძიებს -

ადგილს, ისინი სადაც იწვნენ, მას უვის  
სახელი - არცა რა  
სახელი. ისინი იქ არცა წოლილან. რაღაცვე

მათ შორის წოლილა. ისინი  
არ განმჭოლუჭვრეტდნენ.

არ ჭვრეტდნენ, არა,  
მეტყველებდნენ  
სიტყვებზე. ერთიც  
არ გამოფხიზლებულა, იგივე  
ძილი  
მათზედ გარდმოვიდა.

\*

ვიდოდა, ვიდოდა. არსად  
მოგიძიებს -

მე, მე ვარ,  
მე ვინეჭ თქვენს შორის, ვმყოფობდი  
განხვნილი, ვმყოფობდი  
სმენადი, მე შემოგნიკნიკებდით, თქვენს სუნთქვას  
მივაყურადებდი, მევე  
ვარ ეს ჯერაც, თქვენ  
გძინავთ დიახაც.

\*

ვარ ჯერაც ჟამიერ -

წლები.  
წლები, წლები, ეგ თითი

მიმოჩხვერს ზე-და-ქვე, მიმოჩხვერს  
მი-და-მო:  
პირაპირები ნაწიბურის, შეგრძნობადი, აქ  
დაშორიშორდნენ ერთმანეთს, აქ  
შეეზარდნენცა ურთიერთს კვალადვე - ვინ  
მიმოაფარა?

\*

მიმოაფარა  
ვინ?

ვიდოდა, ვიდოდა.  
ვიდოდა სიტყვა, ვიდოდა,  
ვიდოდა განმჭოლი ღამისა,  
ჰსუროდა ნათება, ჰსუროდა ნათება.

ფერფლი.  
ფერფლი, ფერფლი.  
ღამე.  
ღამით-ღამე. - დაემართე  
თვალსა, ცრემლიანსა.

\*

დაემართე  
თვალსა,  
ცრემლიანსა -

გრიგალნი.

გრიგალნი, ოდიტგან,  
ნანევარნამქერი, სხვა იგი,  
შენ  
უნყი დიახაც, ჩვენ  
ნიგნში ამოგვიკითხავს, მყოფობდა  
თვალსაზრისი.

მყოფობდა, მყოფობდა  
თვალსაზრისი. როგორ  
ნავეტანეთ ურთიერთს  
სანვდომად - სანვდომად ამ  
ჩვენი  
ხელებით?

დანერვილ იყო აგრეთვე, რომ.  
სად? ჩვენ  
ამას ზედა დუმილს გავუნვდენდით,  
შხამნასვამს, ვეებას,  
იგივე  
მწვანე  
დუმილი, დუმფარა, კვლავ  
გამოკიდებოდა აზრი მცენარეულს -  
მწვანე, დიახ,  
გამოკიდებოდა, დიახ,  
თვალთმაქცი  
ზეცის ქვეშ.

იმასვე, დიახ,

მცენარეულს.

დიახ.

გრიგალნი, ნა-  
ნევარნამქერი, შთენილიყო  
ჟამი, შთენილიყო  
ქვითურთ მცდელობისა - ის  
სტუმართმოყვარე იყო, ის  
არ ამეტყველებულა. რარიგ  
სასიკეთოდ გვიჩნდა ყოველივე:

მარცვლოვანი,  
მარცვლოვანი და ბოჭკოიანი. ღეროვანი,  
მკვრივი;  
მტევნოვანი და სხივკონოვანი; თირკმლოვანი,  
გლუვი და  
კოშტოვანი; დამთმობი, გან-  
ტოტვილი -: იგი, ის  
არ ამეტყველებულა, ის  
ესიტყვებოდა,  
ესიტყვებოდა მშრალ თვალებს ნებისად, ვიდრე არ  
დახუჭა იმანვე ისინი.

ესიტყვებოდა, ესიტყვებოდა.  
მყოფობდა, მყოფობდა.

ჩვენ  
არ დაგვითმია, ვიდრე

შუაგულ, იგივე  
ფოროვანაღნაგი, და  
ისიც მოვიდა.

ჩვენზე გარდმოვიდა, მოვიდა  
განმჭოლი, კემსა  
შეუმჩნევლად, მიაკემსა  
აპკი საბოლოო,  
და  
უმალ სამყარომ, ათასბროლიადმა,  
იხუვლა, იხუვლა.

\*

იხუვლა, იხუვლა.

კვალადვე -

ღამენი, განრევილი. წრეები,  
მწვანე ან ცისფერი, წითელნი  
კვადრატნი: აგერა,  
სამყარო თავისავ შინაგანს ჩამოთესს  
თამაშში ახალ  
ჟამთა თანა. - წრეები,  
წითელი ან შავი, ნათელნი  
კვადრატნი, არცა რა  
ფრთოსანი აჩრდილი,  
არცა რა  
საზომი მაგიდა, არცა რა  
კვამლისული, აღფრენად და შეთანთამაშებად.

\*

აღფრენად და  
შეთანთამაშებად -

მნუხრიყამს, თანაერთ  
ქვადქცეულ კეთრის,  
თანაერთ  
ჩვენის ოტებულ ხელთა,  
ნორჩ გადმონაფრქვევში,  
ტყვიანინალის მახლობელ  
ჩაშლილი კედლის  
თავს:

ხილვადი, ხელ-  
ახლად: ეგევე  
ღარაკნი, ეგევე

გუნდნი, იმ დროთანი, ეგევე  
ფსალმუნნი. ო, ო-  
სანნა.

მაშ,  
ჯერაც მკვიდრობენ ტაძრები. ერთ  
ვარსკვლავს  
ჯერაც იმედია შთენია ნათელი.  
არცა რა,  
არცა რა დაკარგულა.

ო-  
სანა.

მნუხრიჟამს, აქ,  
გასიტყვებანი, დღეისარუხისად,  
იმავ მინისქვეშანყალთნაკვალევებად.

\*

(- - დღეისარუხისად,  
იმავ  
მინისქვეშანყალთნაკვალევებად -

მონანვეარია  
ალაგსა შინ  
იმავ  
უშეცდომო  
ნაკვლევით:

ბალახი.  
ბალახი,  
ურთიერთშორიშორჩანერილ.)

*მთარგმნელის მინანერი: ამ ლექსის წინამდებარე თარგმანი  
ედგენება ამავე ლექსის ბესიკ ადგიშვილისეულ თარგმანს  
(იხ. მისი წიგნი "ბოლო ლირიკა", თბილისი 2000, გვ. 149-155).*

\* \* \*

მინა ჰგიებდა მათში, და  
თხრიდნენ.

თხრიდნენ და თხრიდნენ, და ილეოდა  
ასე დღე მათი, და ღამე მათი. არ ადიდებდნენ ისინი  
უფალს,  
ვისაც, სმენოდათ, ნებავდაო ეს ყველაფერი,  
ვინაც, სმენოდათ, უწყოდაო ეს ყველაფერი.

თხრიდნენ და უკვე არაფერი აღარ ესმოდათ;  
არც ბრძენკაცებად ქცეულან და არც სიმღერა  
მოუგონიათ,  
არ შეუქმნიათ ახალი ენა.  
მარტოდენ თხრიდნენ.

მოდგა სინყნარე, მაგრამ მერე გრიგალიც მოდგა,  
მოზღვავებული იყო ყველა ზღვა.  
ვთხრი, თხრი, მატლიც თხრის,  
და, რაც იმღერს, იქ ამბობს: თხრიან.

ო, ვინ, ო, არც ვინ, ო, არვინ, ო, შენ:  
საით ვიდოდა ის, არსაით რაიც ვიდოდა?  
ო, შენ თხრი, მეც ვთხრი, ვიმარხვი შენსკენ,  
და ეღვიძება ჩვენს თითზე ბეჭედს.

\* \* \*

სიტყვა შესახებ სიღრმის-კენ-სვლისა,  
ჩვენ რომელიც ამოვიკითხეთ.  
წლებს ჩაუვლიათ მას მერე, სიტყვებს.  
ჩვენვე ვართ ისევ.

იცი, ეს სივრცე უსასრულოა,  
იცი, ფრენა სულ არ გჭირდება,  
იცი, სიღრმეს გვიღრმავებს ჩვენ ის,  
რაც შენს თვალში ენერებოდა.

\* \* \*

ღვინოს და გაუჩინარებას, ამ  
ორივეს მინებებული:

მივაჭენებდი თოვლიანში, გესმის თუ არა,  
მივაჭენებდი ღმერთს შორეთში - ახლოეთში, იგი  
მღეროდა,

ეს იყო  
ჩვენი ბოლო ჯირითი  
ადამიან-ბარიერთა თავს.

იკაკვებოდნენ, როს  
თავზემთ ჩვენ ჩავესმოდით, ისინი  
წერდნენ,  
მათგან მოსახულ  
ერთ-ერთ ენაზე  
მოჩხიბავდნენ ჩვენეულ ჭიხვინს.

## ციურიხი, კაფე "ყარყატი"

ნელი ზაქს

მრავალზე იყო საუბარი, იყო  
მცირედზე. იყო "შენ"-ზე და  
"მაგრამ-შენ"-ზე,  
დაბინდვაზე ნათლისმიერით,  
იმ ებრაულზე,  
იმ შენს უფალზე.

ამა-

ზე.

ეს დღე ამაღლების დღე იყო, მკვიდრად  
აღმართულიყო გაღმით ტაძარი, წყალზე  
ოქროდ მოლივლივებდა.

შენს ღმერთზე იყო საუბარი, მე ვმეტყველებდი  
მის წინააღმდეგ,  
აღვავსებდი გულს, რომელიც ჩემი იყო,  
იმედით  
მისი  
უმაღლესი, ნაღალადები,  
მომჩივანი მისი სიტყვისა -

მზერა მესროლა შენმა თვალმა, მერე მიგანა,  
თვალს გაესიტყვა  
შენი ბაგე, მე კი ჩამესმა:

ჩვენ  
ხომ არ ვიცით; იცი,  
ჩვენ  
ხომ არ ვიცით,  
რა  
სჯობს.

## სამიდან მესამე, ოთხიდან მეოთხე

ფურჩალა პიტნა, პიტნა ფურჩალა,  
მზემ რომ სახლის წინ ფრთა გაუშალა.

ეს დრო, შენი დრო, ნასათუთარი,  
ჩემს პირთან მისი ეს საუბარი.

ამ უტყვ ბაგესთან, დუმილთან ბაგის,  
სიტყვათა თანა, მთქმელთა უარის.

ვინროთა თანა და შორეულთა,  
ამ დასასრულთა - ახლოეულთა.

მხოლოდ ჩემთან და მხოლოდ ჩვენ სამთან,  
წილად ფსკვნილ, წილად თავისუფალთან.

ფურჩალა პიტნა, პიტნა ფურჩალა,  
მზემ რომ სახლის წინ ფრთა გაუშალა.

\* \* \*

მერე რამდენი ვარსკვლავეთი,  
გამონვდილი რომ არის ჩვენთვის. მე ვიყავ,   
როცა შემოგხედე - მერედა, როდის? -,  
გარეთ  
სულ სხვა სამყაროებთან.

გალაქტიკურნი, ო, ეს გზანი,  
ო, ეს ჟამი, ჩვენ რომელმაც  
ლამეები ჩამოგვივსო  
ტვირთში ჩვენი სახელებისა. განა როდია,  
მე ეს ვიცი, მართალი, თითქოს  
ჩვენ გვიცხოვრია, ბრმად  
განვლო სუნთქვამ ერთადერთმა  
იქ-სა და არა-აქ-სა და ჟამით-ჟამამდე-ს შორის,  
თვალი, ჩამქრალის მიმართულებით, ხეობებში,  
კომეტისებრ ნუილით ქროდა,  
იქ, სადაც იგი ჩაინაცრა, იდგა  
დრო ძუძუს კერტებივით მანათობელი,  
რომელსაც უკვე ზემოთ და ქვემოთ  
და მისგან შორსაც ეზრდებოდა იგი, რაც  
არის ან რაც იყო ან რაც იქნება -,

მე ვიცი,  
ვიცი და შენ იცი, და ჩვენ ვიცოდით,  
ჩვენ არ ვიცოდით, ჩვენ  
ვიყავით დიახაც აქ და სულაც არა იქ,

და ზოგჯერ, როცა  
ოდენ არარა იდგა ჩვენს შორის, ჩვენ ვპოვებდით  
სავალს სრულად ერთმანეთისკენ.

\* \* \*

შენი

მიღმეთშიყოფნა ამ ღამით.

სიტყვებით ისევ დაგაბრუნე, შენ ახლა აქ ხარ,  
არის ყოველი ნამდვილი და - მოლოდინი  
იმ ნამდვილისა.

ჩვენი სარკმლის წინ

ლობიო მაღლა-მაღლა მიცოცავს: ერთი იფიქრე,  
ვინ იზრდება ჩვენს გვერდით და  
ვინ უმზერს ამას.

ღმერთი, ჩვენ როგორც წაგვიკითხავს, არის  
ნაწილი და ის მეორე ნაწილიც არის, მიმოფანტული:  
სიკვდილში

ყველა მოცელილისა

შეეზრდება იგი თავის თავს.

იქით

მიგვიძღვის სწორედ მზერა,

ჩვენ ვურთიერთობთ

ამ

ნახევართან.

\* \* \*

ორივ ხელისკენ, მეზრდებოდნენ

სადაც ვარსკვლავნი, შორს

ყველა ცისგან და ყველა ცის

სიახლოვეს:

რა

სიფხიზლეა! რარიგ

გვეხსნება ჩვენ სამყარო, რარიგ განმსჭვალავს

ჩვენივე შუაგულს!

შენ იქ ხარ,

სადაც შენი თვალია, შენ ხარ

ზემოთ და შენ ხარ

ქვემოთ, ვპოვებ

გასასვლელს.

ო, მოყარიბე ცარიელი ეს

შუაგული, სტუმართმოყვარე. მე ვწყდები და

ვეცემი შენსკენ, ეცემი

ჩემსკენ, და ერთმანეთს

მონყვეტილნი, ჩვენ ვხედავთ

განმჭოლ:

ჩვენ

დავუკარგავთ

სწორედ

იგივეს,

სწორედ იგივეს  
დავვინყებოვართ,  
სწორედ  
იგივეს  
ჩვენ - -

## თორმეტი წელი

მართლად-

შთენილ და მართლად-

ქცეულ სტრიქონთა რიგი: . . . და იგივე შენი

სახლი პარიზში - შენი ხელების

მსხვერპლშენირვის ადგილად რომ გადაქცეულა.

სამჯერ ჩასუნთქვა,

მერე სამჯერ გამობრწყინება.

.....

სიმუნჯეა საცნაური, სიყრუვია საცნაური  
ამ თვალთა მიღმა.

მე ვხედავ შხამის ყვავილობას.

თითოეულ სიტყვაში, ხატში.

წადი. და მოდი.

სიყვარული შლის თავის სახელს: შენ

მოგანერს იგი თავის თავს.

\* \* \*

გავედი ყველა ჩემი ფიქრით  
სამყაროს გარეთ: იქ შენ გპოვებდი,  
ჩემო წყნარო, შენ, ჩემო ხსნილო,  
და - შენ მიგვიღე.

ვინ  
იტყვის, რომ ჩვენ ყველაფერი ამოგვიქრა,  
მაშინ, როცა თვალი ჩაგვემსხვრა?  
გამოიღვიძა ყოველივემ, ყოველივე ზეაიმართა.

ვეებერთელა მზე მოცურდა ლივლივით, ნათლად  
იდგნენ იქ მისი სული და - სული პირისპირ მისდა, და  
რა მკაფიოდ,  
მიმთითებლურად გაუჩუმდნენ მას ისინი  
მისივ სავალზე.

ციმციმ  
განიხვნა შენი წიაღი,  
და ეთერს მშვიდად შეერია ამონასუნთქი,  
და რაც მოლრუბლდა, განა, ეს ის არ იყო სწორედ,  
განა, ეს ხატი არ იყო და ჩვენგან არ იყო,  
განა, არ იყო  
ეს სწორედ ის, რაც სახელია?

\* \* \*

შემოდგომის უტყვი სუნები. იგივე  
ასტრა, გადაუმტყდარი,  
სამშობლოსა და უფსკრულს შორის  
შენივ ხსოვნის გავლით ვიდოდა.

შენი თანმხლები იყო უცხო  
დაკარგულობა, მომხდარიყო  
თითქმის -  
გეცხოვრა.

## ფსალმუნი

არავინ არის მიწისგან და თიხისგან ჩვენი ხელმეორედ  
გამომძქერნავი,  
არავინ განსჯის ჩვენს ფერფლს.  
არავინ.

დიდება იყოს შენი, არავინ.  
შენს გასახარად  
ყვავილობა მოგვსურვებია.  
შენსკენვე  
სწრაფვად.

ოდენ არარა  
ვიყავით და ვართ და  
ვიქნებით, მოყვავილე:  
არარა და -  
არავისვარდი.

სულნათლიერი ბუტკოთი ჩვენით  
და ზეციურადუდაბური ამ მტვრიანათი,  
გვირგვინით ჩვენით, ნითელქმნილით  
ალისფერ სიტყვით, ჩვენ რომ ვიმღერდით  
ო, ეკალსა,  
ეკალსა ზედა.

## ტიუბინგენი, იანვარი

თვალეები, გადმო-  
ბირებული სიბრმავისაკენ.  
მათი – “ესერა,  
გამოცანა, არის წმინდად-  
გადმომხლტომარე”, მათმიერნი  
მოგონებანი  
ჰოლდერლინის ცურვილთა კოშკთა, თოლიების-  
მიმოკვივლში.

დამხრჩვალ დურგალთა სტუმრობანი  
ამ  
დაძირულ სიტყვათა თანა:

რომ მოსულიყო,  
მოსულიყო ადამიანი,  
რომ მოსულიყო სამყაროში ადამიანი,  
ნათელი წვერით  
უხუცესთა: იგი შეძლებდა,  
ამ დროებაზე  
მომეტყველე, იგი  
შეძლებდა  
მარტოდენ ლულულს, ოდენ ლულულს,  
კვლავ-და-კვლავ-  
ლულულს.

(“პალლაკმ. პალლაკმ”.)

## ქიმიური

მდუმარება, როგორც ოქრო, მოხარშული  
ქვანახშირად ქცეულ  
ხელებში.

ვეება, რუხი,  
ახლობელი, მსგავსად ყოვლისა, რაც განქარდა,  
ხატება დისა:

ყველა სახელი, თანა-  
დამწვარი  
ყველა სახელი. საკურთხებლად  
რამდენი ფერფლი. რამდენი  
მინა, მოპოვებული  
მსუბუქ, ასე მსუბუქ  
სულთა-  
წრეების  
თავზე.

ვეება. რუხი. ყოვლად უ-  
ნიდო.

შენ, მაშინ.  
შენვე, ფითრისფერი,  
შენვე, კოკრით, დაფლეთილით.  
შენ, ღვინის ჭავლში.

(განა მართალი არ არის, რომ  
ამ საათმა ჩვენც განგვიტევა?  
კარგი,  
კეთილი, რარიგ მოკვდა და მიინავლა აქ შენი სიტყვა.)

მდუმარება, როგორც ოქრო, მოხარშული  
ქვანახშირად, ქვანახშირად ქცეულ  
ხელებში.  
თითნი, მხრჩოლავნი, ვით გვირგვინნი, მათ გარშემო  
შარავანდედნი - -

ვეებანი. რუხნი. უ-  
კვლონი. და  
ხელ-  
მნიფურნი.

## მანათობელი ხე

სიტყვა,  
რომელსაც მიგაკარგე სიამოვნებით:  
სიტყვა  
არასდროს.

ჰგებდა,  
და ეს შენც იცოდი ხანით-ხანამდე,  
რომ ჰგებდა  
თავისუფლება.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?  
მე ვიმღერდი მანათობელ ხესთან ერთად, საჭესთან  
ერთად.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ შენ ცურავდი?  
განხვნილი იწექ შენ ჩემს წინაშე,  
ჩემს წინაშე შენ იწექ, იწექ  
წინაშე  
ჩემი წინ-  
მხლტომი სულის.  
მე მივცურავდი შენთვის და ჩემთვის. არ მივცურავდი.  
ხე მიცურავდა მანათობელი.

მიცურავდა კი? აკი, ზანზარა

ჰგებდა ირგვლივ. უსასრულო ტბორი ჰგებდა.  
კუპრისფერი და უსასრულო. ასე ეკიდა,  
ასე ეკიდა სამყაროს თავქვე.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?  
ეს დრეიფი -  
ო, ეს დრეიფი.

არასდროს. თავქვე სამყაროისა. მე ვიმღერდი.  
განხვნილი  
იწექ წინაშე ჩემი  
მესაჭე სულის.

## კაჭარი

სალამოჟამნი დაიმარხნენ შენი  
თვალის ქვეშ. და, ასე, ბაგით თავ-  
მოყრილი მარცვლები სიტყვის - მშვენიერი,  
უხმო სიმრგვალე -  
თანაუდგანან ვარსკვლავმცენარეს,  
მცოცავს მათი შუაგულკენ. ქვა,  
ოდესლაც რომ საფეთქლებთან ახლოს იყო, აქ  
აღმოხდება:

თანაერთ ყველა  
აფეთქებული  
მზისა, ჰგიებდი,  
სულო, ეთერში.

\* \* \*

ეს  
აღარ არის  
შენთან ერთად დროდადრო  
დროში დაძირული  
სიმძიმე. იგი  
სხვა სიმძიმეა.

ეს არის წონა, უკან მომტანი სიცარიელის,  
თანა-  
მგზავრი რომ იყო შენი.  
არ გააჩნია მას სახელი, ისე, როგორც შენ. შესაძლოა,  
თქვენ იყოთ ერთი. შესაძლოა,  
რომ შენც ერთხელ მიწოდო  
ასე.

## MANDORLA

ნუში - რა ჰგეებს ნუშის გულში?

არარა ჰგეებს.

არარა ჰგეებს ნუშის გულში.

ჰგეებს და ჰგეებს.

არარაში - მასში ვინ ჰგეებს? მეფე იგი.

იქ მეფე ჰგეებს, მეფე იგი.

იგი იქვე ჰგეებს და ჰგეებს.

კულულო იუდეველისა, არ გათეთრდები.

და შენი თვალი - შენი თვალი საით ჰგეებს?

შენი თვალი ჰგეებს ნუშის საპირისპიროდ.

შენი თვალი, იგი ჰგეებს არარაის საპირისპიროდ.

მეფისკენ ჰგეებს.

ჰგეებს და ჰგეებს.

არ გათეთრდები, ხალხის კულულო,

მეფურადღურჯო, ნუშისა გულო.

\* \* \*

არავისად მიკრული ლოყით -  
შენად, სიცოცხლევ.  
შენად, ხელის ნარჩენებით  
მიგნებულისად.

თითებო.  
შორით, ყარიბობით,  
ჯვარედინებზე, ხანად და ხანად,  
სულისმოთქმა  
თავისუფლად დაშთენილი ასოებითურთ,  
ოდესმე მტვრიან სასთუმალ-  
ზედა.

გახევებული მარაგი გულის: იგივე  
მხრჩოლავი  
მსახური ნათლის და სიყვარულის.

ალი ნახევარ  
სიცრუის ჯერაც  
არა ერთ ან ორ  
ღამემთევარ იმ ფორაში,  
მას რომ ეხება.

მაღლითკენ ჩქამი საკეცისა,  
სუნთქვის-  
ხეში ზემორე თქვენდა:

უკანასკნელი  
სიტყვა, თვალი რომელმაც გკიდათ,  
ჯერარს, ამიერ თავისშივე იყოს და დაშთეს.

.....

შენად მიკრული,  
სიცოცხლეო,  
მიგნებულო ხელის ნარჩენით.

\* \* \*

ნათელნი  
ქვანი განვლიან ჰაერს, ნათელ-  
თეთრნი; ნათლის-  
მომტანნი.

სურთ  
არ დაეშვან, არ ჩაიქცნენ,  
და არ გახდნენ მოხვდრილები. და მიიწვევენ  
მალლა,  
უმცირეს  
ასკილთა მსგავსად, განიშლებიან,  
მოლივლივებენ ისინი  
შენსკენ, ჩემო წყნარო,  
ჩემო ნამდვილო -:

მე გხედავ, შენ მათ აგროვებ ჩემი  
ახალი, ჩემი  
ნებისმიერკაცისხელებით, შენ მათ ათავსებ  
მორიგ-ნათელში, რომელსაც არვინ  
არც სატირლად და არც სახელის დასარქმევად არ  
საჭიროებს.

## ანაბაზისი

ეს  
გალავნებს შორის ვინროდ ჩანერილი  
უგზოდ-ჭემმარიტი  
მალივ და უკანვე  
გულნათელ მერმისში.

იქ.

მარცვალ-  
ტალღამჭრელი, ზღვისმიერ-  
ფერები, შორ  
მოუცურველში ერთობ.

მერე:  
ტივტივების-,  
გლოვისტივტივების-მესერი  
თანაერთ  
წამინამადლამაზად მხლტომარე  
სუნთქვისრეფლექსების -: ციმციმ-  
ზანზალაკთაბგერება(დუმ,  
დუნ-, უნ-,  
*unde suspirat*  
*cor*),  
და-  
ნარჩუნებული, შე-  
ნარჩუნებული, ჩვენი.

ხილვადი, სმენადი, იგივე  
თავისუფალ-  
ქმნადი კარვისიტყვა:

ერთობა.

\* \* \*

სატყორცნი ჯოხი, სუნთქვის გზებზე,  
ასე ყარიბობს იგი, ფრთა-  
მძლავრი, იგივე  
ნამდვილი,  
ვარსკვლავთ-  
სავალზე, სამყაროთა-  
ნამსხვრევებით ნაამბორები, დროის-  
მარცვლებით დანაჭდევით, დროისმტვრით, თანა-  
დაობლებული თქვენთან ერთად,  
ლავის ნამსხვრევით, განა-  
წევრები, განმისხლული, გან-  
ქარწყლებული,  
გატანილი და განაგდები,  
გარითმული საკუთარ თავთან, -  
ასე ბრუნდება  
გაფრენილი, ასე ბრუნდება იგი  
კვლავ და შინ,  
სულ რაღაც ერთი გულისცემით, რაღაც ერთი  
ათასწლეულით  
შიგნივდამდგარი, ვით  
ერთადერთი მაჩვენებელი ისარი იმ წრის,  
რომელიც სულმა,  
რომელიც მისმა  
სულმა აღწერა,  
რომელიც არის  
იმავე  
სულით  
გადანომრილი.

## დღისით

დაბამბული ცა. ისევ და ისევ  
მკაფიო ფრთა ირჯება წერად.

მეც, გაიხსენე,  
მტვრის-  
ფერი, მოველ  
ვითარცა წერო.

\* \* \*

უფლება გაქვს, თოვლით  
მშვიდად გამიმასპინძლდე:  
ყოველთვის, როცა თუთის მხარდამხარ  
განველიდი ზაფხულს,  
ისმოდა მისი უკანასკნელი  
ფოთლის ყვირილი.

\* \* \*

არდასიზმრულის მიერ ნადევნი,  
თხრის დაუძინრად გზისგამლევი პურისქვეყანა  
მთას სიცოცხლისას.

შენ მისი პურის რბილობიდან  
ახლად გამოსრეს ჩვენს სახელებს,  
რომლებსაც მე,  
შენი  
თვალის ალი-კვალი თვითეულ თითზე,  
ვუსინჯავ  
ადგილს, რომლის გავლითაც  
შემიძლია ვიფხიზლო შენსკენ  
ნათელ  
შიმშილის კელაპტრით პირში.

\* \* \*

კარის ღრეჩოში  
ორნატებში ზეციური მონეტისა  
შენ ტენი სიტყვას,  
რომელიც მე მოვაშანდაკე,  
მოცახცახე ჩემი მუშტებით  
როცა ჩვენს თავზე სახურავი  
ავამტვრიე, კრამიტ-კრამიტ,  
მარცვალ-მარცვალ, იქ, მაღლივ, სილატაკის-  
ნაჭუჭის სპილენძისებრ-  
ციალის  
გამო.

\* \* \*

მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა  
მე ვაგდებ ბადეს, შენ  
დაყოვნებით რომ ამძიმებ  
ქვათა მიერ წერილ  
ჩრდილებით.

\* \* \*

შენი გვიანი სახის წინაშე,  
მარტოდმარტო-  
მოარული შორის  
ჩემდაც შემცვლელ ღამეთა,  
მოვიდა რაღაც დასარჩენად,  
რაც ერთხელ უკვე ჩვენთან იყო,  
ფიქრის მიერ არ-  
შეხებული.

\* \* \*

დარდსწრაფნი განმჭოლ,  
ჭრილობათა  
მოელვარე სარკესთან ჩავლით:  
აჰა, სიცოცხლის  
ორმოცი ხე დაცურდება, ქერქშემოცლილი.

ეულო აღმა-  
მცურავო ქალო, შენ  
ითვლი ყველას, თითოეულ მათგანს  
ეხები.

\* \* \*

რიცხვები, წნული  
ხატებთან ხვედრის  
და უკუ-  
ხვედრის.

ზედ შეგდებული  
თავის ქალა, რომლის  
უძილო ძილისპირ მიმო-  
ხლილი ჩაქუჩი  
მსოფლიო რიტმით  
განადიდებს ამ ყოველივეს.

\* \* \*

სავალნი შენი ხელის მტევნის  
ჩრდილთ-ნამსხვრევებში.

ოთხ-თითიანი-ორნატიდან  
აღმოვთხრი ჩემთვის  
გაქვავებულ ლოცვა-კურთხევას.

\* \* \*

იდგე, ჩრდილში  
ჭრილობისა ჰაერსა შინა.

იდგე-არვის-თვის-და-არაფრის-თვის.  
შეუცნობი,  
შენთვისვე  
მხოლოდ.

ყოველივეთი, სივრცე რაშიც მოიპოვება,  
თუნდაც  
უენოდ.

\* \* \*

სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი.  
თორმეტჯერადი ხრახ-  
ნულით მისივ  
რქას ჩანაჭდევი  
სიტყვის ბეჭედი.

უკანასკნელი შეჯახება, მისგან მართული.

ფრი-  
ალო, ვინრო  
დღისხეობაში ბიძგმიცემული  
ბორანი აღმით:

ის გამონვლილვითნაკითხულის  
გადამტანია.

\* \* \*

დაფთამზეები,  
ლეგამავი უდაბნოს თავზე.  
ხე-  
მაღალი აზრი  
იკრებს სინათლის ბგერას: ჰგებენ  
ჯერაც სიმღერები სასიმღეროდ იმიერ  
კაცთა.

\* \* \*

სიტყვის ნატანი, ვულკანური,  
ზღვის ყაშყაშით გარემოცული.

ზემორე  
მასა მონიაღვრე  
უბადრუკთა ნაშიერთა: მან  
ალამი ააფრიალა - ხატის და ასლის  
დროებაში ქედმაღლური გადაჯვარება.

ვიდრე შენ სიტყვის მთვარეს გარე-  
ტყორცნი, იქიდან  
მიქცევას უმზერს სასწაული  
და გულის-  
მსგავსი კრატერი  
შობს და შიშველია დასაწყისთა,  
მეფურ-  
არსთა ხილულსაქმნელად.

\* \* \*

გზამოშანთული  
შენი ენის ელვარე ქარით  
ჭრელი უბნობა და-  
თმენილის - ას-  
ენისწვერა ჩემი-  
ლექსი, ეს არალექსი.

ამო-  
ბურღული,  
თავისუფლად  
გზა კაცთაგანის-  
სახოვან თოვლში,  
მონანიეთოვლში, მიმართ  
სტუმართმოყვარე  
ოთახთა და მაგიდათა, ცინულოვანთა.

ღრმად  
ჟამთაბზარში,  
ფიჭაყინულის  
თანაერთ  
იცდის, სუნთქვისბროლი,  
უეჭველი შენი  
სამხილი.

## ნავსადგური

იგივ იარაპირმოკრული: სად-,  
შენც ჩემსავით რომ ყოფილიყავ, სულ-  
ამოხდელი ოცნებებით  
თავაშვებულ სუფრაზე შედგმულ  
არყითსავსებოთლისყელებზე

- შენ მომისართე,  
ზღვის კულულო, ხვედრად ჩემი ბედნიერება,  
შენ მომიხოფე მრავლად ტალღა, კრულვაყომრალო,  
გზა გაიკვლიე  
ადულებულ ნიაღში გავლით,  
ყინულოვანმწუხარკალამო -,

სად-  
ით  
არ იყავ ხეტებული შენ ჩემთან ერთად,  
მერხებზე თუნდაც  
იმავე დედილო კლაუზენტან, მან კი დიახაც  
უნყის, რა ხშირად, ვით ჩაგმღეროდი  
მე შენ ყელამდე, ჰაიდიდელდუ,  
მთელი თავისი ფოთლეულით, სამშობლოს თხმელა  
რარიგ მოცვლურჯი,  
ჰაიდუდელდი,  
შენ, ვით  
ფლეიტა ასტრალური  
მიღმეთიდან სამყაროსკიდის - და ესეც იყო,

ჩვენ ვცურავდით, დედიშობილა, ვცურავდით ასე  
იმავ უფსკრულლექსს,  
ხანძრისფრადნითელ შუბლზე დაჭდეულს -  
ჩაუქრობლად მიიკვალავდა  
თავის გზებს სიღრმის-  
ნიალ მომწყდარი ოქრო მაღლითკენ -,

აქ,  
დაბერილი იალქნებით,  
ჩაიქროლებდა მოგონება აგრეთვე ამის, ნება-ნება  
როკდნენ ხანძრები, გან-  
წვალული, შენ,  
განწვალული ზემორე  
ორივ შავ-  
ლურჯი ხსოვნის-  
კარჭაპზე,  
თუმცა ბიძგმიცემული აგერვე ახლაც  
ათასი-  
მკლავით, რომლითაც მე შენ გაკავებდი,  
გადაჯვარული, ვარსკვლავგანატყორცნ-ბუნაგთა  
მიღმა,  
ჩვენივე ჯერაც მიწყვი მთვრალი, დანაფებული,  
სამყაროსკიდის ბაგეები - სახელვდებ მათვე მხოლოდ  
და მხოლოდ -,

ვიდრემდე მიღმეთს დრომოხავსულ საათისკოშკზე  
ჩაიცვლებოდეს უხმაუროდ ბუდის და რიცხვთა  
ეგ საფარველი - ქიმერდოკი,  
მიმომცურველი,

განსამყაროულ-თეთრადქმნილი  
ასოები მაღალ ამნეთა  
